დამტკიცებულია
კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის
01/01-71 (29.06.2026 წ.)
ბრძანებით

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

წინამდებარე დებულება შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და აწესრიგებს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს მოქმედების პრინციპებსა და წესს, აგრეთვე კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში სადოქტორო პროგრამის განხორციელებისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ მინიმალურ სტანდარტს.

მუხლი 2. სადოქტორო პროგრამის დანიშნულება და მიზანი

2.1 „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა – აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაა, რომელიც არის სასწავლო კომპონენტისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ერთობლიობა და რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-8 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს;2.2 სადოქტორო პროგრამის მიზნებია:
ა) ახალი ცოდნის შექმნა ან/და არსებული ცოდნის განვითარება, ცოდნის რეალიზებისა და გავრცელების ხელშეწყობა ორიგინალური, თანამედროვე და ინოვაციური კვლევების განხორციელების გზით;
ბ) დოქტორანტის კვლევითი და ტრანსფერული უნარების გაღრმავების გზით, დამოუკიდებელი კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისთვის მომზადება;
გ) სადოქტორო პროგრამის გავლის შედეგად დოქტორანტის ინტელექტუალური ზრდა და აკადემიურ-ეთიკური ნორმების განმტკიცება;
დ) დოქტორანტის ინტეგრაცია საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში.

თავი II. სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭო

მუხლი 3. სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭო

3.1. სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოში (შემდგომში „სადისერტაციო საბჭო“) შედის :სამართლის სკოლის დეკანი, პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი; დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სკოლის ყველა პროფესორი, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორი.სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება, შევიდნენ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირები.
3.2. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობას სამართლის სკოლის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი.

მუხლი 4. სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება

4.1. სადისერტაციო საბჭო:
ა.იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებისა და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის დამტკიცების შესახებ;
ბ. ამტკიცებს სადოქტორო თემის სათაურს და/ან მასში შესატან ცვლილებას;
გ. იღებს გადაწყვეტილებას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღის შესახებ;
დ. იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული სტატიებისა და კონფერენციაში მონაწილეობის მიზანშეწონილობის თაობაზე;
დ. ქმნის სადისერტაციო კომისიას და ამტკიცებს კომისიის შემადგენლობას (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარეს);
ე. სადისერტაციო კომისიის დადგენილების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ;
ვ. იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.
ზ. ახორციელებს უნივერსიტეტში მოქმედი შიდა ნორმატიული რეგულაციებისა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 5. სადისერტაციო საბჭოს მუშაობის წესი

5.1. სადისერტაციო საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს წინამდებარე დებულების შესაბამისად.
5.2. სადისერტაციო საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, წელიწადში მინიმუმ ორჯერ მაინც.
5.3. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს საბჭოს სხდომაზე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგელობის ნახევარზე მეტი.
5.4. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა არანაკლებ 2/3, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ამ დებულებით. სადისერტაციო საბჭოს თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ხმა. სხდომაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა შესაძლებელია განსახილველ საკითხზე წევრების მიერ წერილობითი ფორმით (ელექტრონული ფოსტით გამოგზავნილი შეტყობინების ჩათვლით) გამოთქმული მოსაზრებითა და თანხმობით.
5.5. სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი. წერილობითი ფორმით გამოთქმული მოსაზრება თან დაერთვის ოქმს.
5.6. სადისერტაციო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს სხდომის ოქმის წარმოებას.
5.7. სადისერტაციო საბჭოსა და საბჭოს თავმჯდომარის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება რომელიმე დოქტორანტს, უნდა ეცნობოს მას წერილობით (მათ შორის შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის გამოყენება).
5.8. სადისერტაციო საბჭოს სხდომებს შორის საბჭოს მუშაობას ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე.
5.9. მდივნის დაუსწრებლობის შემთხვევაში თავმჯდომარე უფლებამოსილია მდივნის მოვალეობა დააკისროს საბჭოს ერთ-ერთ წევრს.
5.10. სადისერტაციო საბჭოს სხდომის მოწვევის ინიციატივის უფლება გააჩნიათ: სკოლის დეკანს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს ან სადისერტაციო საბჭოს წევრს. საბჭოს პირველ სხდომას, თავმჯდომარის არჩევამდე, უძღვება საბჭოს უხუცესი წევრი.

მუხლი 6. სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი

6.1. სადისერტაციო საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი.
6.2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოს შემადგენლობასთან ერთად ამტკიცებს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი, სამართლის სკოლის დეკანის წარდგინების საფუძველზე.

6.3. სადისერტაციო საბჭოს მდივანს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით, ღია კენჭისყრით, ირჩევს სადისერტაციო საბჭო დამსწრე პირების ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 7. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:
ა. საჭიროებისამებრ იწვევს და უძღვება საბჭოს სხდომებს;
ბ. სადისერტაციო საბჭოს სხდომებს შორის ხელმძღვანელობს საბჭოს მუშაობას;
გ. ამზადებს წარდგინებას დოქტორანტისათვის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე;
დ. უზრუნველყოფს დოქტორანტებისათვის სავალდებულო თემატური სემინარების ორგანიზებას;
ე. სადისერტაციო საბჭოს წელიწადში ერთხელ აბარებს ანგარიშს ჩატარებული საქმიანობის და მომავალში ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ;
ვ. იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის სადისერტაციო თემის იმავე სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეცვლის შესახებ;
ზ. იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის შესახებ;
თ. ამტკიცებს სადისერტაციო თემების ნუსხას და/ან მათში შესატან ცვლილებას;
ი. ახორციელებს ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 8. სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოს მდივანი.

8.1. სადისერტაციო საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს მდივანი, რომელიც:
ა. უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმების წარმოებას უნივერსიტეტში საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად.
ბ. აღრიცხავს დოქტორანტის სადისერტაციო დოკუმენტაციას;
გ. ეხმარება თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში;
დ. ხელმძღვანელობს საბჭოს არქივისა და საქმისწარმოების საკითხებს;
ე. კონსულტაციას უწევს და ეხმარება დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე და დაცვის შემდეგ სათანადო დოკუმენტაციის მომზადებაში;
ვ. უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ განთავსებას ვებგვერდზე;8.3. სადისერტაციო საბჭოს მდივანი ვალდებულია სადისერტაციო საბჭოსა და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ნებისმიერი გადაწყვეტილება აცნობოს ადრესატს წერილობით (მათ შორის შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის გამოყენება).

თავი III. დოქტორანტურაში სწავლა

მუხლი 9. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

9.1. კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს პირს, რომელსაც მინიჭებული აქვს კვლევის მაგისტრის აკადემიური ხარისხი სამართალში ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.
9.2. ამ მუხლის 9.1 პუნქტით გათვალისწინებული კვლევის მაგისტრის აკადემიური ხარისხი მიღებული უნდა იყოს არანაკლებ 120 ECTS კრედიტის მოცულობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ერთიანად ან, პროგრამის ორ ნაწილად განხორციელების შემთხვევაში, ორივე ნაწილის სრულად დასრულების, ჯამურად არანაკლებ 120 ECTS კრედიტის დაგროვებისა და სამაგისტრო ნაშრომის წარმატებით დაცვის საფუძველზე.
9.3. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება ასევე აქვს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე იმ პირს, რომელიც 2026 წლის 1 სექტემბრამდე ჩაირიცხა არანაკლებ 120 ECTS კრედიტის მოცულობის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე და დაასრულა აღნიშნული პროგრამა.
9.4. დოქტორანტობის კანდიდატს შესაბამის სფეროში უნდა ჰქონდეს ერთ-ერთი შემდეგი გამოცდილება ან მიღწევა:
ა) არანაკლებ ერთი სამეცნიერო ნაშრომი ან პუბლიკაცია;

ბ) სამეცნიერო-კვლევით პროექტში ან სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა;
გ) შესაბამის სფეროში პროფესიული საქმიანობის არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება.
9.5. დოქტორანტობის კანდიდატი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას არანაკლებ B2 დონეზე. ინგლისური ენის ცოდნა დასტურდება ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტით ან საშუალებით:
ა) შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატით, მათ შორის IELTS-ის არანაკლებ 6.0 ქულით, TOEFL-ის არანაკლებ 78 ქულით ან B2 დონის დამადასტურებელი სხვა საერთაშორისო სერტიფიკატით;
ბ) სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი მოქმედი სერტიფიკატით;
გ) ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომით ან სხვა ოფიციალური დოკუმენტით, თუ აღნიშნული პროგრამის დასრულებიდან გასული არ არის ორ წელზე მეტი;
დ) კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული შიდა გამოცდის წარმატებით ჩაბარებით, რომელიც უზრუნველყოფს კანდიდატის ინგლისური ენის ცოდნის B2 დონესთან შესაბამისობის დადგენას.
9.6. თუ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენა ქართულია და დოქტორანტობის კანდიდატის მშობლიური ენა არ არის ქართული, კანდიდატი ვალდებულია დაადასტუროს ქართული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა შესაბამისი სერტიფიკატით ან წარმატებით ჩააბაროს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული შიდა გამოცდა ქართულ ენაში.
9.7. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამითა და ამ დებულებით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობებს.
9.8. უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის საფუძველზე სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე პირის ჩარიცხვა ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვით.
9.9. უცხოეთში მიღებული განათლება ან კვალიფიკაცია აღიარებული უნდა იყოს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. უცხოეთში მიღებული განათლების შესაბამისობა დგინდება სწავლის შედეგებისა და მინიჭებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით.
9.10. დოქტორანტობის კანდიდატის პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები, წარსადგენი დოკუმენტები, შესარჩევი პროცედურები და შეფასების წესი განისაზღვრება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით, ამ დებულებითა და უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 10. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტურაში მიღება ცხადდება მხოლოდ დამტკიცებული სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, ორ წელიწადში ერთხელ.

მუხლი 11. დოქტორანტობის კანდიდატის მიერ წარსადგენი დოკუმენტები
11.1. დოქტორანტობის კანდიდატმა სადისერტაციო საბჭოს მდივანს უნდა წარუდგინოს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის სახელზე შედგენილი განცხადება (დანართი №1), რომელშიც მიეთითება შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება. განცხადებას უნდა დაერთოს:
ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან პასპორტის ასლი. უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ წარდგენილი უცხოენოვანი დოკუმენტი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქართულ ენაზე ნათარგმნი და დამოწმებული;
ბ) ამ დებულების მე-9 მუხლით განსაზღვრული აკადემიური კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომისა და დიპლომის დანართის სათანადოდ დამოწმებული ასლები. კავკასიის უნივერსიტეტის

კურსდამთავრებულის დიპლომისა და დიპლომის დანართის ნამდვილობას ადასტურებს უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლა;
გ) თუ დიპლომი ჯერ არ არის გაცემული — შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ და აკადემიური მოსწრების ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სრულად დასრულება და ჯამურად არანაკლებ 120 ECTS კრედიტის დაგროვება;
დ) სამართლის ორ ნაწილად განხორციელებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემთხვევაში — დიპლომი, დიპლომის დანართი ან სხვა ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება პროგრამის ორივე ნაწილის სრულად დასრულება, ჯამურად არანაკლებ 120 ECTS კრედიტის დაგროვება, სამაგისტრო ნაშრომის წარმატებით დაცვა და კვლევის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭება;
ე) ამ დებულების 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში — სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი და დიპლომის დანართი ან სხვა ოფიციალური დოკუმენტები, რომლებითაც დასტურდება კანდიდატის 2026 წლის 1 სექტემბრამდე არანაკლებ 120 ECTS კრედიტის მოცულობის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა და აღნიშნული პროგრამის სრულად დასრულება;
ვ) უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში — სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი. არანაკლებ ხუთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად გაცემული დიპლომის წარდგენის შემთხვევაში შესაბამისი დოკუმენტით უნდა დასტურდებოდეს აღნიშნული კვალიფიკაციის მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრება;
ზ) ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი:
ზ.ა) შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატის სათანადოდ დამოწმებული ასლი, მათ შორის IELTS-ის არანაკლებ 6.0 ქულით, TOEFL-ის არანაკლებ 78 ქულით ან B2 დონის დამადასტურებელი სხვა საერთაშორისო სერტიფიკატით;
ზ.ბ) სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული შესაბამისი მოქმედი სერტიფიკატის ასლი;
ზ.გ) ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი ან შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული სხვა ოფიციალური დოკუმენტი, თუ აღნიშნული პროგრამის დასრულებიდან გასული არ არის ორ წელზე მეტი. უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში კანდიდატმა ასევე უნდა წარმოადგინოს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტი.
11.2. ამ მუხლის 11.1 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის არქონის შემთხვევაში კანდიდატი აბარებს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ შიდა გამოცდას, რომლითაც დგინდება ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა.
11.3. კანდიდატმა, რომლის მშობლიური ენა არ არის ქართული, უნდა წარმოადგინოს ქართული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი. სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში კანდიდატი აბარებს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ შიდა გამოცდას ქართულ ენაში.
11.4. ამ მუხლის 11.1 პუნქტით განსაზღვრულ განცხადებას ასევე უნდა დაერთოს:
ა) ავტობიოგრაფია (CV), რომელშიც ასახულია კანდიდატის განათლება, პროფესიული საქმიანობა და სამეცნიერო გამოცდილება;
ბ) კანდიდატის მიერ არჩეულ სფეროში სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ორი სპეციალისტის რეკომენდაცია;
გ) სამოტივაციო წერილი;
დ) ამ დებულების 9.4 პუნქტით განსაზღვრული ერთ-ერთი წინაპირობის დამადასტურებელი დოკუმენტი:
დ.ა) არანაკლებ ერთი სამეცნიერო ნაშრომის ან პუბლიკაციის ასლი ან მისი გამოქვეყნების დამადასტურებელი ოფიციალური ინფორმაცია;
დ.ბ) სამეცნიერო-კვლევით პროექტში ან სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ.გ) შესაბამის სფეროში არანაკლებ ორწლიანი პროფესიული საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ე) სადოქტორო კვლევითი პროექტი — კვლევის განაცხადი, დანართი №2-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;
ვ) ფოტოსურათი — უნივერსიტეტში მოქმედი საქმისწარმოების წესით განსაზღვრული ფორმით;
ზ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, თუ მისი წარდგენის ვალდებულება გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან.
11.5. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველმა, ამ მუხლით გათვალისწინებულ შესაბამის დოკუმენტებთან ერთად, უნდა წარმოადგინოს:
ა) სტუდენტის შესაბამის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ სამართლებრივი აქტის ან მისი ამონაწერის სათანადოდ დამოწმებული ასლი;
ბ) აკადემიური მოსწრების ოფიციალური დოკუმენტი;
გ) გავლილი სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სილაბუსები ან მათი შინაარსის დამადასტურებელი სხვა ოფიციალური დოკუმენტები;
დ) მობილობისა და კრედიტების აღიარებისათვის საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შესაბამისი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა დოკუმენტები.
11.6. მობილობის წესით ჩარიცხვა და კანდიდატის მიერ მოპოვებული კრედიტების აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის შესაბამისი სამართლებრივი აქტებისა და ამ დებულების მოთხოვნათა დაცვით. მობილობის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს ამ დებულების მე-9 მუხლით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობებს.
11.7. კანდიდატს უფლება აქვს დამატებით წარმოადგინოს:
ა) პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
ბ) დამატებითი პროფესიული ან სამეცნიერო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
გ) სხვა შესაბამისი დოკუმენტი, რომელსაც კანდიდატი საჭიროდ მიიჩნევს თავისი გამოცდილებისა და შესაძლებლობების შეფასებისათვის.
11.8. უნივერსიტეტი უფლებამოსილია კანდიდატს მოსთხოვოს წარდგენილი დოკუმენტის დედანი ან დამატებითი ინფორმაცია დოკუმენტის ნამდვილობის, მასში ასახული მონაცემების ან პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან შესაბამისობის დასადგენად.

მუხლი 12. საკონკურსო გასაუბრებაზე დაშვების წინაპირობები და შეფასების კრიტერიუმები

12.1. კანდიდატის მიერ აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში იგი დაიშვება გასაუბრებაზე.
12.2. კანდიდატი გასაუბრებას გადის მიმღები კომისიის წინაშე, რომლის შემადგენლობასაც კავკასიის სამართლის სკოლის დეკანის წარდგინებით, ამტკიცებს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი; ბრძანება ქვეყნდება მიღების გამოცხადებასთან ერთად.
12.3. კანდიდატის საანკეტო მონაცემებს კომისიას მოახსენებს სადისერტაციო საბჭოს მდივანი.
12.4. კანდიდატი დოქტორანტურაში ჩარიცხულად ჩაითვლება, თუ მის მიერ მიღებულ შეფასებათა საშუალო არითმეტიკული იქნება არანაკლებ 51 ქულა.
12.5. სადოქტორო პროგრამაზე მიმღები კომისიის წევრები კონკურსანტს აფასებენ შეფასების ფორმის მიხედვით (დანართი #4). სადოქტორო კვლევითი განაცხადის შეფასება (დანართი # 3) უნდა აისახოს კონკურსანტის შეფასების ფორმაში.
12.6. საერთო შეფასების მაქსიმალური ქულაა – 100.
12.7. კონკურსის შემთხვევაში, კანდიდატის შერჩევისას, კომისიის შეხედულებისამებრ, გაითვალისწინება მინიმალური დოკუმენტების გარდა, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია და მასალები.

მუხლი 13. დოქტორანტურაში ჩარიცხვა

13.1. კონკურსანტები, რომლებიც წარმატებით გაივლიან გასაუბრებას ჩაირიცხებიან სამართლის სკოლის სადოქტორო პროგრამაზე.

13.2. პირი სამართლის სკოლის დოქტორანტურაში ჩაირიცხება კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით.
13.3. დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში კავკასიის უნივერსიტეტსა და დოქტორანტს შორის იდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მხარეთა უფლებები და მოვალეობები.

მუხლი 14. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული ვადის (6 სემესტრის) ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე დოქტორანტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებით არაუმეტეს 4 სემესტრის განმავლობაში (დასაშვები ვადა) სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

მუხლი 15. დოქტორანტის სტატუსის შეჩერება

15.1. დოქტორანტი სასწავლო პროცესში მონაწილეობისა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს შესრულების უფლებას მოიპოვებს შესაბამისი სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდეგ.
15.2. დოქტორანტი ვალდებულია უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ რეგისტრაციის ვადებში დარეგისტრირდეს სასწავლო კურსებზე, გააფორმოს სემესტრული ხელშეკრულება და გადაიხადოს სწავლის სემესტრული გადასახადი მასთან გაფორმებული ჩარჩო ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი არ გაივლის დროულ რეგისტრაციას, - ის გადადის გვიანი რეგისტრაციის რეჟიმში.
15.3.სემესტრში ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები რეგულირდება აკადემიური კალენდრის მიხედვით.
15.4 .დოქტორანტს აკადემიური შვებულება ეძლევა მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში დადგენილი წესების შესაბამისად.

მუხლი 16. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა

1.სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები მოცემულია „სტუდენტის სტატუსის შესახებ დებულებაში“.

თავი IV. სადოქტორო პროგრამა

მუხლი 17. სადოქტორო პროგრამის შემუშავება და წარდგენა

17.1. სადოქტორო პროგრამის შემუშავება ხდება:
ა) სკოლის შესაბამისი სფეროს აკადემიური პერსონალის მიერ;
ბ) პარტნიორ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით;
გ) სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულებასთან ერთად, უნივერსიტეტსა და შესაბამის დაწესებულებას შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.
17.2. სადოქტორო პროგრამას ხელმძღვანელობს კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. სადოქტორო პროგრამის თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ-პროფესორი.
17.3. სადოქტორო პროგრამას განიხილავს და შესაბამისი ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი.
17.4. სადოქტორო პროგრამას თან უნდა ერთვოდეს პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების სილაბუსები.
17.5. სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში შეიძლება მონაწილეობდეს:
ა) უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი;

ბ) პარტნიორი სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი;
გ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული პერსონალი.
17.6. სადოქტორო პროგრამაზე შესაბამის აკადემიურ წელს მისაღებ დოქტორანტთა რაოდენობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის მმართველი საბჭო.
17.7. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული უნდა იყოს შესაბამისი სფეროს მინიმუმ 5 (ხუთი) აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის მინიმუმ 3 (სამი) პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი.
17.8. სკოლის თითოეული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი ერთდროულად შეიძლება იყოს არაუმეტეს 3 (სამი) დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი. გამონაკლისის სახით, ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის 1:5 თანაფარდობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის მიზნით.
17.9. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 3 (სამი) წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით ან/და პრაქტიკული პროექტით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მის კომპეტენტურობას.

მუხლი 18. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა

18.1 . სამართლის სკოლის დოქტორანტურაში სწავლა მიმდინარეობს სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.18.2 . დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი (6 სემესტრი) და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ხორციელდება არანაკლებ 2 წლის განმავლობაში.
18.3 სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებისაგან და სრულდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულებითა და დაცვით.

მუხლი 19. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი
19.1. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.
19.2 დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი მოიცავს შემდეგ სალექციო კურსებს:
ა. სამეცნიერო წერის თანამედროვე სტანდარტები და სამართლებრივი კვლევის მეთოდები (სავალდებულო)– 10 ECTS კრედიტი;
ბ. სწავლების ინოვაციური მეთოდები (სავალდებულო) – 5 ECTS კრედიტი;
გ. ორი თემატური სემინარი (სავალდებულო) - 40 (20+20) ECTS კრედიტი.
დ. პროფესორის ასისტენტობა (სავალდებულო) – 5 ECTS კრედიტი;

მუხლი 20. სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსები
20.1. სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსები შედგება ლექციათა ციკლის, პრაქტიკული სამუშაოების, პრეზენტაციისა და ათვისებული მასალის წერითი გამოკითხვისაგან.
20.2. სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კომპონენტი წარმატებით დასრულებულად ითვლება, თუ დოქტორანტი ცალ-ცალკე გადალახავს შუალედური და დასკვნითი შეფასებებისათვის განსაზღვრულ მინიმალურ კომპეტენციის ზღვრებს და შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულათა ჯამით მიიღებს არანაკლებ 60 ქულას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულის 59%, ხოლო დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი — დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის 60%, თუ შესაბამისი სასწავლო კომპონენტის სილაბუსით უფრო მაღალი ზღვარი არ არის განსაზღვრული.
20.3. სასწავლო კომპონენტის დამატებითი შეფასების უფლება, დამატებითი შეფასების ჩატარების წესი და სასწავლო კომპონენტის განმეორებით გავლის საფუძვლები განისაზღვრება მოქმედი

კანონმდებლობით, უნივერსიტეტის შესაბამისი სამართლებრივი აქტითა და სასწავლო კომპონენტის სილაბუსით.

მუხლი 21. პროფესორის ასისტენტობა

21.1. პროფესორის ასისტენტობა არის პროგრამის სავალდებულო კომპონენტი, რაც გულისხმობს დოქტორანტის ჩაბმას სასწავლო პროცესში სამართლის სკოლის აკადემიურ პერსონალისათვის დახმარების გაწევის და მომავალი შესაძლო პედაგოგიური მოღვაწეობისათვის პრაქტიკული მომზადების მიზნით.

21.2. დოქტორანტს, რომელიც კავკასიის უნივერსიტეტში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, „პროფესორის ასისტენტობის“ სასწავლო კომპონენტი შეიძლება ჩაეთვალოს გავლილად, თუ მის მიერ განხორციელებული პედაგოგიური საქმიანობის შინაარსი, მოცულობა და შედეგები შეესაბამება აღნიშნული სასწავლო კომპონენტის სილაბუსით განსაზღვრულ მიზნებსა და სწავლის შედეგებს. შესაბამისობის დასადგენად დოქტორანტი წარადგენს პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

21.3. „პროფესორის ასისტენტობის“ სასწავლო კომპონენტის ფარგლებში შესრულებულ საქმიანობას, სასწავლო კომპონენტის სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგებისა და შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად, ცალ-ცალკე აფასებენ პროფესორის ასისტენტობის ხელმძღვანელის და სკოლის შესაბამისი ადმინისტრაციული წარმომადგენელი (დანართები №12 და №13). ამ მუხლის 21.2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დოქტორანტის პედაგოგიური საქმიანობის შესაბამისობას აფასებენ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი და სკოლის შესაბამისი ადმინისტრაციული წარმომადგენელი. მათი შეფასების საფუძველზე დოქტორანტს უფიქსირდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით განსაზღვრული შესაბამისი შეფასება და კომპონენტი ეთვლება გავლილად.

მუხლი 22. თემატური სემინარი

22.1. დოქტორანტურაში სწავლის პირველი სემესტრიდან დოქტორანტი ამზადებს ორ თემატურ სემინარს და იცავს კომისიის წინაშე. თემატური სემინარის თემა არ უნდა შეადგენდეს სადისერტაციო თემის ნაწილს.

22.2. დოქტორანტი თემატური სემინარის თემას არჩევს, წერს და იცავს სადისერტაციო თემის სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით და კონსულტაციით. სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებული თემის სათაურს დოქტორანტი განცხადების ფორმით წარმოადგენს რეგისტრაციის შემდეგ სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა, აღნიშნულს განიხილავს და თემის აქტუალურობაზე ვიზირებას აძლევს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/სადოქტორო პროგრამის ადმინისტრაციული დირექტორი.

22.3. თემატური სემინარის გაფორმების, წარდგენის და შეფასების წესს განსაზღვრავს შესაბამისი დებულება **(დანართი #6).**

22.4. თემატური სემინარი ფასდება 100-ქულიანი სისტემით და მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს.

22.5. შუალედური შეფასების ფარგლებში თემატური სემინარის ნაშრომს, შესაბამისი შეფასების ფორმებით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, დამოუკიდებლად აფასებენ თემატური სემინარის ხელმძღვანელი — მაქსიმუმ 30 ქულით და რეცენზენტი — მაქსიმუმ 30 ქულით. ხელმძღვანელისა და რეცენზენტის მიერ მინიჭებული ქულების ჯამი წარმოადგენს შუალედურ შეფასებას, რომლის მაქსიმალური შეფასებაა 60 ქულა.

22.6. თემატური სემინარის საჯარო დაცვაზე დაშვების წინაპირობაა შუალედური შეფასებისათვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრის — შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულის 59%-ის — გადალახვა. თუ დოქტორანტი აღნიშნულ ზღვარს ვერ გადალახავს, იგი განმეორებით რეგისტრირდება შესაბამის სასწავლო კომპონენტზე.

22.7. დასკვნითი შეფასების ფარგლებში თემატური სემინარის საჯარო დაცვას მაქსიმუმ 40 ქულით აფასებს შესაბამისი მიმართულების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ან მასთან გათანაბრებული პირებისაგან შემდგარი კომისია. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს უნივერსიტეტის აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალი, აგრეთვე, თემატური სემინარის საკვლევი საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაბამისი სფეროს პრაქტიკოსი პროფესიონალი.

დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის 60%, რაც შეადგენს 24 ქულას.
22.8. თემატური სემინარის ერთიანი საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულათა შეკრებით. თემატური სემინარის მინიმალური დადებითი შეფასებაა 60 ქულა.
22.9. თემატური სემინარი წარმატებით დასრულებულად ითვლება, თუ დოქტორანტი ცალ-ცალკე გადალახავს შუალედური და დასკვნითი შეფასებებისათვის განსაზღვრულ მინიმალურ კომპეტენციის ზღვრებს და შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულათა ჯამით მიიღებს არანაკლებ 60 ქულას. თემატური სემინარის გაფორმების, წარდგენის, რეცენზირების, საჯარო დაცვისა და შეფასების დეტალური წესი განისაზღვრება ამ დებულების დანართი №6-ით, ხოლო შეფასების კრიტერიუმები და შეფასების ფორმები — დანართებით №5.1–№5.4.
22.10. თემატური სემინარის საჯარო დაცვის თარიღი, დრო და ჩატარების ადგილი აუდიტორიის მითითებით ან, დისტანციური ფორმით ჩატარების შემთხვევაში, დასწრების შესაბამისი ელექტრონული ინფორმაცია — წინასწარ უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მუხლი 23. დოქტორანტურის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი

23.1. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულება იწყება სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ და გრძელდება არანაკლებ ორი წლის განმავლობაში. სასწავლო კომპონენტის დასრულების შემდეგ დოქტორანტი რეგისტრირდება სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე.
23.2. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი მოიცავს სადისერტაციო კვლევის განხორციელებას, სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასა და საჯარო დაცვას.
23.3. სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე რეგისტრაციიდან პირველივე სემესტრში დოქტორანტი ვალდებულია სკოლის სადისერტაციო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს სადისერტაციო თემის სათაური.
23.4. სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე რეგისტრაციიდან პირველივე სემესტრში დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან შეთანხმებით ადგენს ინდივიდუალურ კვლევით გეგმას.
ინდივიდუალური კვლევითი გეგმა უნდა მოიცავდეს:
ა) დოქტორანტისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მონაცემებს;
ბ) სადისერტაციო ნაშრომის თემასა და კვლევის მიზანს;
გ) საკვლევ კითხვას ან/და კვლევის ძირითად ამოცანებს;
დ) სადისერტაციო ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურას;
ე) კვლევის მეთოდოლოგიას;
ვ) სადისერტაციო კვლევის ძირითადი ეტაპებისა და სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის შესრულების გრაფიკს;
ზ) ორი სამეცნიერო სტატიის მომზადებისა და გამოქვეყნების გეგმასა და გრაფიკს;
თ) სამეცნიერო კონფერენციაში მოხსენებით მონაწილეობის გეგმასა და გრაფიკს;
ი) კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა შესაბამის ინფორმაციას.
ინდივიდუალური კვლევითი გეგმის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი. კვლევის მიმდინარეობისას გამოვლენილი საჭიროების ან სხვა დასაბუთებული გარემოების არსებობის შემთხვევაში ინდივიდუალური კვლევითი გეგმა შეიძლება განახლდეს დოქტორანტისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შეთანხმებით.
23.5. აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად სადისერტაციო ნაშრომის წარდგენამდე დოქტორანტს შესაბამის კვლევის სფეროში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ ორი სამეცნიერო სტატია და სადისერტაციო კვლევის თემასთან დაკავშირებული მოხსენებით მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული არანაკლებ ერთ სამეცნიერო კონფერენციაში.
23.6. ორივე სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში ან საკონფერენციო მასალებში. შესაბამის გამოცემას უნდა ჰქონდეს ISSN ან ISBN, საერთაშორისო სარედაქციო საბჭო/კომიტეტი და საერთაშორისო გავრცელება. ორივე სტატია შინაარსობრივად უნდა უკავშირდებოდეს სადისერტაციო კვლევის თემას და ასახავდეს კვლევის ფარგლებში მიღებულ ძირითად შედეგებს.

საკონფერენციო მასალებში გამოქვეყნებული ნაშრომი სამეცნიერო სტატიად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს სრულ სამეცნიერო ნაშრომს, გავლილი აქვს რეცენზირება და გამოქვეყნებულია ამ პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამის გამოცემაში.
ამ პუნქტით გათვალისწინებული ორი სამეცნიერო სტატიიდან არანაკლებ ერთი გამოქვეყნებული უნდა იყოს შესაბამისი სფეროს უცხოურ საერთაშორისო ინდექსში შეტანილ რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში.
23.7. სამეცნიერო სტატია უნდა გამოქვეყნდეს ქართულ და ინგლისურ ენებზე. აღნიშნული მოთხოვნა არ გულისხმობს ერთი და იმავე სტატიის ორ სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემაში გამოქვეყნების ვალდებულებას. სტატიის ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნება შესაძლებელია ერთი სამეცნიერო გამოცემის ფარგლებში ორენოვანი ფორმით ან შესაბამისი გამოცემის მიერ დადგენილი წესით. თუ დოქტორანტი სტატიას აქვეყნებს უცხოურ ჟურნალში, იგი თავისუფლდება ამ სტატიის ქართული ვერსიის გამოქვეყნების ვალდებულებისაგან.
23.8. სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებულად ჩაითვლება, თუ იგი გამოქვეყნებულია შესაბამისი სამეცნიერო გამოცემის ბეჭდურ ან ელექტრონულ ნომერში ან განთავსებულია სამეცნიერო გამოცემის ოფიციალურ ვებგვერდზე საბოლოო ელექტრონული პუბლიკაციის ან „online first“ ფორმით.
23.9. ამ მუხლის 23.5 პუნქტით გათვალისწინებული სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა წარმოადგენს ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებისაგან დამოუკიდებელ მოთხოვნას. საკონფერენციო მოხსენება უნდა უკავშირდებოდეს სადისერტაციო კვლევის თემას. კონფერენციაში მოხსენებით მონაწილეობა თავისთავად არ ცვლის ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების ვალდებულებას.
23.10. სამეცნიერო-კვლევით კომპონენტზე რეგისტრაციის შემდეგ დოქტორანტი ვალდებულია ყოველი სემესტრის დასრულებისას, ამ დებულების დანართი №11-ით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად, წარადგინოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სემესტრული ანგარიში.
სემესტრულ ანგარიშში უნდა აისახოს:
ა) ინდივიდუალური კვლევითი გეგმით განსაზღვრული საქმიანობის შესრულების მდგომარეობა;
ბ) სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროგრესი;
გ) განხორციელებული კვლევითი საქმიანობა და მიღებული შედეგები;
დ) სამეცნიერო სტატიების მომზადებისა და გამოქვეყნების მდგომარეობა;
ე) სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მდგომარეობა;
ვ) კვლევის პროცესში გამოვლენილი სირთულეები და მათი გადაჭრისათვის დაგეგმილი ღონისძიებები;
ზ) მომდევნო სემესტრში განსახორციელებელი საქმიანობა.
23.11. სემესტრული ანგარიში უნდა მოიცავდეს სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის წერილობით განმავითარებელ შეფასებასა და უკუკავშირს. ხელმძღვანელი დოქტორანტის პროგრესს აფასებს ინდივიდუალური კვლევითი გეგმის შესრულების, შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ხარისხის, კვლევითი საქმიანობის თანმიმდევრულობისა და აკადემიური კეთილსინდისიერების მოთხოვნების დაცვის გათვალისწინებით.
სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი სემესტრულ ანგარიშში მიუთითებს ერთ-ერთ შემდეგ შეფასებას:
ა) კვლევითი პროგრესი დამაკმაყოფილებელია;
ბ) კვლევითი პროგრესი ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელია და საჭიროებს გაუმჯობესებას;
გ) კვლევითი პროგრესი არადამაკმაყოფილებელია.
23.12. ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელი ან არადამაკმაყოფილებელი კვლევითი პროგრესის შემთხვევაში სემესტრულ ანგარიშში უნდა მიეთითოს გამოვლენილი ხარვეზები, გასაუმჯობესებელი საქმიანობა, დოქტორანტისათვის საჭირო მხარდაჭერა, შესაბამისი რეკომენდაციები და მათი შესრულების ვადა. არადამაკმაყოფილებელი პროგრესის განმეორებითი შეფასება ხორციელდება ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო სემესტრის დასრულებისა.
23.13. დოქტორანტის მიერ ხელმოწერილი სემესტრული ანგარიში და მასში ასახული სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის წერილობითი განმავითარებელი შეფასება წარედგინება სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელსა და ადმინისტრაციულ დირექტორს და ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

23.14. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სემესტრული ანგარიშების წარდგენა და კვლევითი პროგრესის პერიოდული განმავითარებელი შეფასებების გავლა სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების სავალდებულო წინაპირობაა.
23.15. სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვებისათვის დოქტორანტს შესრულებული უნდა ჰქონდეს:
ა) სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კომპონენტები;
ბ) ინდივიდუალური კვლევითი გეგმით განსაზღვრული ძირითადი ეტაპები;
გ) ამ მუხლით განსაზღვრული ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების მოთხოვნა;
დ) არანაკლებ ერთ სამეცნიერო კონფერენციაში მოხსენებით მონაწილეობის მოთხოვნა;
ე) სემესტრული ანგარიშების წარდგენისა და კვლევითი პროგრესის პერიოდული განმავითარებელი შეფასებების მოთხოვნები;
ვ) აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევის ეთიკის მოთხოვნები.

თავი V. დოქტორანტის ხელმძღვანელობა

მუხლი 24. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

24.1 . დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს კავკასიის უნივერსიტეტის, საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური ან/და სამეცნიერო პერსონალი, რომელსაც აქვს სამართლის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სადისერტაციო ნაშრომის თემატიკის შესაბამისი კვალიფიკაცია, შესაბამის სფეროში კვლევის გამოცდილება და დოქტორანტის კვლევის სათანადო ხელმძღვანელობისათვის საჭირო კომპეტენცია.
24.2 ხელმძღვანელის მოწვევის შემთხვევაში, დოქტორანტს სავალდებულოა ჰყავდეს თანახელმძღვანელი, რომელიც იქნება უნივერსიტეტის პროფესორი. აკადემიური თანამდებობის დაკავების ნაწილში არსებული მოთხოვნა არ ვრცელდება საერთაშორისო ხელმძღვანელზე/თანახელმძღვანელზე;
24.3 სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქვს სადისერტაციო ნაშრომის თემატიკის და პრობლემატიკის შესაბამისი კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი ან/და პროფესიული გამოცდილება, აქვს ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება, ან/და გავლილი აქვს შესაბამისი აქტივობა (ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა) და ასევე, ბოლო 3 (სამი) წლის განმავლობაში უსდ-ს მიერ განსაზღვრულ უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს.
24.4 . დოქტორანტისთვის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასამტკიცებლად საჭიროა სტუდენტმა წარმოადგინოს კვლევითი ინტერესის შესახებ წერილი (დანართი # 1-11).
24.5. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე, ამტკიცებს სკოლის სადისერტაციო საბჭო დოქტორანტის ჩარიცხვიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა.
24.6. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოტივირებული შუამდგომლობით საბჭომ შეიძლება ერთ სადისერტაციო თემაზე დაამტკიცოს ორი სამეცნიერო ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელები). ამასთან, ერთ-ერთი თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვა (პარტნიორი) დაწესებულების თანამშრომელი, იმ შემთხვევაში თუ კავკასიის უნივერსიტეტსა და ამ დაწესებულებას შორის გაფორმებულია ხელშეკრულება.
24.7.სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ხდება დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის თანმიმდევრულად შესრულების პროგრესის პერიოდული დაკვირვება, განმავითარებელი შეფასება და უკუკავშირის მიცემა. კონტროლს უწევს დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის შესრულებას.
24.8. სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შეცვლა ან ხელმძღვანელობის შეწყვეტა შესაძლებელია სადოქტორო პროგრამის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული საფუძვლის არსებობისას, მათ შორის:

ა) დოქტორანტისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შეთანხმების საფუძველზე;
ბ) ინტერესთა კონფლიქტის ან ხელმძღვანელის მიუკერძოებლობის დამაბრკოლებელი სხვა გარემოების არსებობისას;
გ) სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ ამ დებულებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობისას ან არაჯეროვნად შესრულებისას;
დ) სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ხანგრძლივი მიუწვდომლობისას;
ე) სადისერტაციო კვლევის თემის ან მიმართულების ისეთი არსებითი ცვლილებისას, რომელიც სხვა კვალიფიკაციის ან გამოცდილების მქონე ხელმძღვანელის ჩართვას საჭიროებს;
ვ) ჯანმრთელობის მდგომარეობის, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ან სხვა ობიექტური გარემოების არსებობისას, რომელიც ხელმძღვანელობის გაგრძელებას შეუძლებელს ან არსებითად გართულებულს ხდის;
ზ) დოქტორანტის ან სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, თუ არსებული ხელმძღვანელობის გაგრძელება ხელს უშლის სადისერტაციო კვლევის სათანადოდ განხორციელებას;
თ) საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით ან ამ დებულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.
24.9. სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შეცვლის ან ხელმძღვანელობის შეწყვეტის შესახებ დასაბუთებული წერილობითი განცხადება სკოლის სადისერტაციო საბჭოს შეიძლება წარუდგინოს დოქტორანტმა, სამეცნიერო ხელმძღვანელმა/თანახელმძღვანელმა, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელმა ან სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ.
სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია განცხადების განხილვისას მოისმინოს დოქტორანტის, სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელისა და სხვა შესაბამისი პირების მოსაზრებები. გადაწყვეტილებას სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შეცვლის ან ხელმძღვანელობის შეწყვეტის შესახებ იღებს სკოლის სადისერტაციო საბჭო განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში.
სადისერტაციო საბჭო, საჭიროების შემთხვევაში, იმავე ან მომდევნო სხდომაზე ამტკიცებს ახალ სამეცნიერო ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს. ხელმძღვანელის ცვლილებამ არ უნდა გამოიწვიოს დოქტორანტის მიერ უკვე შესრულებული კვლევითი საქმიანობისა და მიღწეული შედეგების დაუსაბუთებლად გაუქმება ან შეუსაბამოდ შეზღუდვა.
24.10. დოქტორანტის და სამეცნიერო ხელმძღვანელის ერთობლივი დასაბუთებული მოთხოვნით შეიძლება შეიცვალოს სადისერტაციო თემა, რაზეც გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.
24.11. სადისერტაციო ნაშრომის დასრულების შემდეგ სამეცნიერო ხელმძღვანელი აკეთებს წერილობით დასკვნას, რომელიც შესრულებული უნდა იქნეს დანართ # 8-ის შესაბამისად.

მუხლი 25. სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები.
25.1 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი იზიარებს იმ წესებს, რომელიც მოქმედებს უნივერსიტეტში.
25.2 ეხმარება დოქტორანტს საკვლევი თემის შერჩევაში.
25.3. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ახორციელებს დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების მონიტორინგს
25.4.დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი უზრუნველყოფს დოქტორანტის კვლევითი თუ სასწავლო კომპონენტების წარდგენას დადგენილ ვადებსა და უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ ფორმატში.
25.5.დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი უზრუნველყოფს უნივერსიტეტში პლაგიატზე დადგენილი ნორმების განუხრელად დაცვის შესახებ დოქტორანტის ინფორმირებას.
25.6. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მიღებული ეთიკური ნორმებისა და პროცედურების დაცვას.
25.7.დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი აწარმოებს დისერტაციასთან დაკავშირებულ რეგულარულ შეხვედრებს დოქტორანტთან, აძლევს მითითებებს დისერტაციაზე მუშაობის პროცესში,

ამზადებს დოქტორანტს სხვადასხვა შესრულებული კომპონენტის პრეზენტაციისთვის და ახორციელებს საკვალიფიკაციო კვლევის პროგრესის მონიტორინგს სხვადასხვა ეტაპზე.
25.8. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი უზრუნველყოფს სტუდენტის ჩართვას სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობაში.
25.9. სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ ხელმძღვანელობის შეწყვეტა და მისი შეცვლა ხორციელდება ამ დებულების 24.8 და 24.9 პუნქტებით განსაზღვრული საფუძვლებითა და წესით.

მუხლი 26. დოქტორანტის ფუნქცია-მოვალეობები
26.1 . დოქტორანტი იზიარებს იმ წესებს, რომელიც მოქმედებს უნივერსიტეტში.
26.2. დოქტორანტი სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს დოკუმენტს შერჩეული საკვალიფიკაციო ნაშრომის სათაურისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობის შესახებ.
26.3. დოქტორანტი უნივერსიტეტში დადგენილი წესების შესაბამისად ასრულებს სასწავლო და კვლევითი კომპონენტებს
26.4. დოქტორანტი დადგენილ ვადებსა და უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ ფორმატში წარადგენს კვლევით და სასწავლო კომპონენტებს.
26.5 დოქტორანტი იზიარებს დაწესებულებაში პლაგიატის შესახებ დადგენილ ნორმებს. დოქტორანტი იზიარებს დაწესებულებაში მიღებული ეთიკური ნორმების და პროცედურების დაცვას.
26.6. დოქტორანტი აწარმოებს დისერტაციასთან დაკავშირებულ რეგულარულ შეხვედრებს ხელმძღვანელთან.
26.7. დოქტორანტი ერთვება სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობაში. დოქტორანტი ურთიერთობს ხელმძღვანელთან დისერტაციის მომზადებისა და სხვადასხვა კომპონენტის პრეზენტაციისთვის.

თავი VI. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა

მუხლი 27. სადისერტაციო ნაშრომისადმი წაყენებული მოთხოვნები
27.1 სადოქტორო ნაშრომი წარმოადგენს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. სადისერტაციო ნაშრომი უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ემპირიული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში..
27.2. ქართულენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სადისერტაციო ნაშრომი უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია, კვლევის ძირითადი მიზნებისა და მიღწეული შედეგების გამოკვეთით - ქართულ და ინგლისურ ენებზე.
27.3. ქართულენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ინგლისურ ენაზე სადისერტაციო ნაშრომის შესრულების საკითხს წყვეტს სკოლის სადისერტაციო საბჭო. ნაშრომის ინგლისურ ენაზე შესრულების შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.
27 4. ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დისერტაცია და სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია უნდა შესრულდეს ინგლისურ ენაზე.
27.5. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია უნდა ასახავდეს დისერტაციის ყველა კომპონენტს. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსიის მოცულობა განისაზღვრება სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით, ასევე სკოლის სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი ინსტრუქციით.
27.6. სადოქტორო ნაშრომის უნდა შესრულების ამ დებულებისა (დანართი #7) და აკადემიური სტანდარტების შესაბამისას.

მუხლი 28. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა
28.1 დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომის ოთხი ბეჭდურ ეგზემპლარს და მის ელექტრონულ ვერსიას (PDF ფორმატში) წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს.

28 2. სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა სადისერტაციო საბჭოს უნდა წარუდგინოს:
ა) განცხადება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე დისერტაციის განსახილველად მიღების შესახებ;
ბ) დოქტორანტმა განცხადება იმის თაობაზე, რომ წარდგენილი ნაშრომი სრულად ასახავს მის დამოუკიდებელ კვლევას და აკმაყოფილებს აკადემიური კეთილსინდისიერების ყველა ნორმას. კერძოდ, ნაშრომი არ შეიცავს პლაგიატს, გაყალბებულ მონაცემებს ან სხვა დარღვევებს; ორიგინალურია, ხოლო სხვა ავტორთა მოსაზრებები და წყაროები მითითებულია დადგენილი აკადემიური წესების შესაბამისად. გარდა ამისა, დოქტორანტი ადასტურებს, რომ ნაშრომი შექმნილია მის მიერ და არ ეფუძნება ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებულ ტექსტს ან კვლევას.
გ) სკოლის დეკანის მიერ გაცემული აკადემიური ცნობა (დამადასტურებელი დოკუმენტი) სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების შესრულების შესახებ;
დ) დოქტორანტის ავტორობით ან თანაავტორობით სადისერტაციო თემაზე შესრულებული სამეცნიერო კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და ამ დებულების შესაბამისად გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი;
ე) სამეცნიერო სემინარების, ფორუმებისა და კონფერენციების მასალები, სადაც მოხსენებული იქნა სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები (დოქტორანტი ვალდებულია, მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული ერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მაინც. მისი მონაწილეობა უნდა დასტურდებოდეს სერტიფიკატითა და გამოქვეყნებული მასალებით).
28.3. წარდგენილ სადისერტაციო ნაშრომს თან უნდა დაერთოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელის/თანახელმძღვანელების) წერილობითი დასკვნა, რომელშიც გარდა შეფასებისა, აღნიშნული იქნება, რომ სადისერტაციო ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად.
წარდგენილ სადისერტაციო ნაშრომს თან უნდა დაერთოს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის დასკვნა იმის შესახებ, რომ იგი გაეცნო სადისერტაციო ნაშრომს და რეკომენდაციას უწევს მის წარდგენას საჯარო განხილვაზე.29.6. სადისერტაციო ნაშრომი სადისერტაციო საბჭოს განსახილველად გადაეცემა დამამთავრებელ სემესტრში სასწავლო ვადებით დასრულებამდე.
28.4 სადისერტაციო ნაშრომის წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში სადოქტორო პროგრამის აკადემიური მენეჯერი და ადმინისტრაციული დირექტორი ამოწმებენ დოქტორანტის აკადემიურ სტატუსს, წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულესა და სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკურ შესაბამისობას ამ დებულებითა და უნივერსიტეტის შესაბამისი შიდა აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში დოქტორანტს წერილობით ეცნობება ხარვეზის შესახებ და განესაზღვრება მისი გამოსწორების ვადა.
28.5 თუ დაკმაყოფილებულია 28.2 მუხლის პირობები სადისერტაციო პროგრამის ადმინისტრაციული დირექტორი ნაშრომს აგზავნის პლაგიატის პროგრამაზე შესამოწმებლად. პლაგიატზე შემოწმების წესები რეგულირდება "პლაგიატის ამოცნობის და თავიდან არიდების პროგრამაში („ტურნიტინში") სტუდენტთა ნაშრომის შემოწმების წესით".
28 6. პლაგიატის პროგრამაზე ნაშრომის შემოწმების შემდეგ, პლაგიატის არარსებობის შემთხვევაში, სადოქტორო პროგრამის ადმინისტრაციული დირექტორი ნაშრომს წარუდგენს სკოლის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს.

მუხლი 29. ავტორეფერატი
29.1. ავტორეფერატი სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვარიანტია.
29.2. ავტორეფერატი შედგენილი უნდა იყოს ისე, რომ დაინტერესებული პირი გაეცნოს ნაშრომის ძირითად შედეგებს.
29.3. ავტორეფერატი უნდა შეიცავდეს სატიტულო ფურცელს. მასში ასახული უნდა იყოს: თემის აქტუალურობა, სამუშაოს მიზანი, კვლევის ობიექტი და მეთოდები, ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე, აგრეთვე ინფორმაცია დისერტაციის მოცულობისა და სტრუქტურის შესახებ. ავტორეფერატში გადმოცემული უნდა იყოს დისერტაციის ძირითადი შედეგები თავების მიხედვით და ზოგადი დასკვნები.
29.4. ავტორეფერატში აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი ავტორის მიერ გამოქვეყნებული მხოლოდ იმ ნაშრომების ნუსხა, რომელთა შინაარსი შეესაბამება დისერტაციის თემატიკას და შედის სადისერტაციო ნაშრომში.

29.5. ავტორეფერატი, აგრეთვე, უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ნაშრომის დებულებების განხილვის შესახებ (როგორიცაა: მოხსენებები კონფერენციებზე, ფორუმებზე, სიმპოზიუმებსა და სემინარებზე).
29.6 .ავტორეფერატი უნდა შესრულდეს ქართულ და ინგლისურ ენაზე.
29.7.ავტორეფერატის მთლიანი მოცულობა (ორივე ენაზე) არ უნდა აღემატებოდეს ოთხ ნაბეჭდ თაბახს.

მუხლი 30. სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები

30.1 სკოლის სადისერტაციო საბჭო, სადისერტაციო ნაშრომის სიახლისა და საჯარო დაცვისათვის მზაობის შეფასების მიზნით, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე, გამოყოფს ერთ ადგილობრივ და ერთ საერთაშორისო რეცენზენტს. რეცენზენტების შერჩევისა და დანიშვნის პროცესები უნდა იყოს გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და ობიექტური. რეცენზენტების შერჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ანონიმურობა, რაც ხელს შეუწყობს მიუკერძოებელი, სამართლიანი და ობიექტური დასკვნის მომზადებას. რეცენზიის გაცნობამდე დოქტორანტისთვის ან/და მისი ხელმძღვანელისთვის (თანახელმძღვანელისთვის) რეცენზენტის ვინაობა კონფიდენციალურია.

30.2 ადგილობრივი რეცენზენტი არის უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს; ;

30.3 საერთაშორისო რეცენზენტი არის უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს.

30.4 საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა სავალდებულო არ არის იმ შემთხვევაში, თუკი დოქტორანტს ჰყავს საერთაშორისო ხელმძღვანელი.

30.5 რეცენზენტი არ შეიძლება იყოს:

ა) სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ან მდივანი;

ბ) დისერტანტის მიერ შესრულებული რომელიმე ნაშრომის თანაავტორი;

გ) დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი.

30.6 სადოქტორო (სადისერტაციო) საბჭოს მდივანი რეცენზენტის დანიშვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის ერთი ეგზემპლარის რეცენზენტისთვის გადაცემას.

30.7 რეცენზენტი ვალდებულია სადისერტაციო ნაშრომი შეაფასოს ამ დებულებითა და შესაბამისი შეფასების ფორმით განსაზღვრული კრიტერიუმებით და გასცეს შემაჯამებელი შეფასება სადისერტაციო ნაშრომის სადისერტაციო კომისიისათვის გადაცემის (დადებითი შეფასება) შესახებ;

30.8. რეცენზენტი ვალდებულია სადისერტაციო ნაშრომის მიღებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში მოამზადოს და სკოლის სადისერტაციო საბჭოს წარუდგინოს ამ დებულებით განსაზღვრული წერილობითი რეცენზია და სადისერტაციო ნაშრომის შეფასების ფორმა.

30.9. ორივე რეცენზენტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის დადებითად შეფასების შემთხვევაში, სადისერტაციო ნაშრომი გადაეცემა სადისერტაციო კომისიას.

30.10. ერთი რეცენზენტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის დადებითად, ხოლო მეორე რეცენზენტის მიერ უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის დადებითი დასკვნის არსებობისას, სკოლის სადისერტაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების შესახებ. ორივე რეცენზენტის დასკვნა და ქულობრივი შეფასება გადაეცემა დაცვის კომისიას და გაითვალისწინება სადისერტაციო ნაშრომის ერთიანი დასკვნითი შეფასების გამოთვლისას.

30.11. ორივე რეცენზენტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, სკოლის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტი საჯარო დაცვაზე არ დაიშვება. დოქტორანტს უფლება აქვს, რეცენზენტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით გადაამუშაოს სადისერტაციო ნაშრომი და ხელახლა წარადგინოს იგი აღნიშნული გადაწყვეტილების ოფიციალურად, მათ შორის ელექტრონული ფორმით, გაცნობიდან არაუგვიანეს ორი სასწავლო სემესტრის განმავლობაში.

მუხლი 31. რეცენზენტის მიერ სადოქტორო ნაშრომის შეფასება

31.1. რეცენზენტები, ნაშრომის გაცნობის შემდეგ, წერენ რეცენზიას და ასევე, ნაშრომს აფასებენ შესაბამისი ქულით (30 ქულა), რომელიც ცნობილი ხდება დაცვაზე და არის კვლევითი კომპონენტის ერთიანი 100 ქულიანი შეფასების შემადგენელი კომპონენტი. რეცენზიები ეგზავნება სადისტერტაციო საბჭოს.

31.2 რეცენზენტი ვალდებულია მისთვის სადისერტაციო ნაშრომის გადაცემიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში მოამზადოს წერილობითი რეცენზია და შეავსოს სადისერტაციო ნაშრომის შეფასების შესაბამისი ფორმა (დანართები №9 და №9.1).

31.3. თუ რეცენზენტის მიერ გამოვლენილი ხარვეზები მხოლოდ ტექნიკური ხასიათისაა და გავლენას არ ახდენს სადისერტაციო ნაშრომის შინაარსზე, კვლევის შედეგებზე ან რეცენზენტის შეფასებაზე, დოქტორანტს შეიძლება მიეცეს მათი გამოსწორებისა და შესწორებული ნაშრომის წარდგენის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1 (ერთ) თვეს. კონკრეტულ ვადას, გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზების მოცულობის გათვალისწინებით, განსაზღვრავს რეცენზენტი. ტექნიკური ხარვეზების გამოსწორებას ადასტურებს შესაბამისი რეცენზენტი.

31.4. კონკრეტული კრიტერიუმების გათვალისწინებით (**დანართი 9.1**), რეცენზენტი წარმოადგენს დასკვნას სადისერტაციო ნაშრომზე, რომელიც უნდა შეიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილი გადაწყვეტილებიდან ერთ-ერთს:

ა) ნაშრომის დადებითად შეფასებასა და დაცვაზე უპირობოდ დაშვებას;

ბ) ნაშრომის დადებითად შეფასებასა და უმნიშვნელო ხარვეზების გასწორების პირობით დაცვაზე დაშვებას;

გ) ნაშრომის უარყოფითად შეფასებასა და დაცვაზე დაშვებაზე უარის თქმას.

31.5. რეცენზენტის დასკვნა უნდა მთავრდებოდეს შეფასებით - იმსახურებს თუ არა ნაშრომი დაცვაზე გასვლას.

31.6. რეცენზენტის დასკვნა უნდა დადასტურდეს მისივე ხელმოწერით.

31.7. ერთი რეცენზენტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის დადებითად, ხოლო მეორე რეცენზენტის მიერ უარყოფითად შეფასების შემთხვევაში ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების საკითხი გადაწყდება ამ დებულების 30.10 პუნქტის შესაბამისად. სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის დადებითი დასკვნის არსებობისას საჯარო დაცვაზე დაშვების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის სადისერტაციო საბჭო. ორივე რეცენზენტის ქულობრივი შეფასება გამოიყენება რეცენზენტების შეფასებათა საშუალო არითმეტიკულისა და სადისერტაციო ნაშრომის ერთიანი დასკვნითი შეფასების გამოსათვლელად.

31.8. ორივე რეცენზენტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში ნაშრომი საჯარო დაცვაზე არ დაიშვება. დოქტორანტს უფლება აქვს, შესაბამისი ფინანსური ვალდებულებების გათვალისწინებით, რეცენზენტთა რეკომენდაციების საფუძველზე გადაამუშაოს სადისერტაციო ნაშრომი და ხელახლა წარადგინოს იგი უარყოფითი გადაწყვეტილების ოფიციალურად, მათ შორის ელექტრონული ფორმით, გაცნობიდან არაუგვიანეს ორი სასწავლო სემესტრის განმავლობაში.

31.9. იმ შემთხვევაში, თუ რეცენზენტის მიერ დასკვნის წარმოდგენა ობიექტური გარემოებების გამო (უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა და სხვ.) შეუძლებელია, დეკანი, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციით, ნიშნავს ახალ რეცენზენტს.

31.10. სადისერტაციო ნაშრომი გადაეცემა სადოქტორო (სადისერტაციო) საბჭოს, ხელმძღვანელის დასკვნასთან, რეცენზეტის დასკვნებთან და სხვა სავალდებულო დოკუმენტაციასთან ერთად. საბჭო მომდევნო ათი დღის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას დაცვის კომისიის შემადგენლობაზე და ნიშნავს დაცვის თარიღს.

31.11. სადოქტორო (სადისერტაციო) საბჭოს თავმჯდომარემ დოქტორანტს წერილობით უნდა აცნობოს საბჭოს გადაწყვეტილება ნაშრომის დაცვაზე დაშვებასთან დაკავშირებით, გააცნოს დასკვნა და ასევე, მიუთითოს დაცვის თარიღი.
31.12. დოქტორანტს უფლება აქვს გაეცნოს რეცენზენტის დასკვნას. რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულობრივი შეფასება კი, დოქტორანტისთვის ცნობილი ხდება ნაშრომის დაცვაზე.
31.13. ნაშრომის დადებითად შეფასებისა და უმნიშვნელო ტექნიკური ხარვეზების გამოსწორების პირობით დაცვაზე დაშვების შემთხვევაში დოქტორანტმა შესწორებული სადისერტაციო ნაშრომი უნდა წარადგინოს რეცენზენტის დასკვნის ოფიციალურად, მათ შორის ელექტრონული ფორმით, გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში. ხარვეზების გამოსწორებას ადასტურებს შესაბამისი რეცენზენტი.
31.14. დოქტორანტის მიერ ხელმეორედ წარდგენილი შესწორებული სადისერტაციო ნაშრომი გადაეცემა იმავე რეცენზენტებს, ხოლო თუ ეს ობიექტური გარემოებების გამო (უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა და სხვ.), შეუძლებელია, დეკანი, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციით, ნიშნავს ახალ რეცენზენტს.
31.15. ხელმეორედ წარდგენილი შესწორებული სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომი დაცვაზე არ მიიღება.
31.16. დაცვაზე დაშვებაზე უარის შემთხვევაში, უარყოფილი სადისერტაციო ნაშრომის ერთი პირი და რეცენზენტების წერილობითი დასკვნები შესანახად გადაეცემა სკოლის სადოქტორო (სადისერტაციო) საბჭოს არქივს.
31.17. დოქტორანტს უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით მოხსნას განხილვიდან თავისი ნაშრომი ნებისმიერ ეტაპზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დისერტაციის წარდგენა შეიძლება დისერტაციის მოხსნის თარიღიდან ხელმეორედ 1 წლის განმავლობაში.

მუხლი 32. სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელის უარყოფითი დასკვნის გასაჩივრების წესი

32.1. სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის უარყოფითი დასკვნა უნდა იყოს წერილობითი, დასაბუთებული, ეფუძნებოდეს წინასწარ განსაზღვრულ აკადემიურ კრიტერიუმებს და შეიცავდეს სადისერტაციო ნაშრომის არსებითი ხარვეზების მითითებას. დასკვნა დოქტორანტს ეცნობება ოფიციალურად, მათ შორის ელექტრონული ფორმით.
32.2. თუ დოქტორანტი არ ეთანხმება სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის უარყოფით დასკვნას, მას უფლება აქვს დასკვნის ოფიციალურად გაცნობიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უნივერსიტეტის პრეზიდენტის სახელზე წარადგინოს დასაბუთებული საჩივარი. საჩივარში უნდა მიეთითოს გასაჩივრების კონკრეტული საფუძვლები და, არსებობის შემთხვევაში, მას უნდა დაერთოს შესაბამისი მტკიცებულებები.
32.3. საჩივრის მიღების შემდეგ მის დასაშვებობას ამოწმებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი ან მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი. საჩივარი დასაშვებია, თუ იგი წარდგენილია განსაზღვრულ ვადაში და აკმაყოფილებს ამ მუხლის 32.2 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს. საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ მიიღება წერილობითი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.
32.4. დასაშვები საჩივრის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში უნივერსიტეტის პრეზიდენტი, სამართლის სკოლის დეკანის წარდგინებით, სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად ნიშნავს შესაბამისი სფეროს დამოუკიდებელ სპეციალისტს. დამოუკიდებელ სპეციალისტს უნდა ჰქონდეს სამართლის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და შესაბამისი სამეცნიერო კომპეტენცია. იგი არ უნდა მონაწილეობდეს სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელობაში და არ უნდა ჰქონდეს დოქტორანტთან ან მის ხელმძღვანელთან ინტერესთა კონფლიქტი.
32.5. დამოუკიდებელ სპეციალისტს გადაეცემა სადისერტაციო ნაშრომი, სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის დასკვნა და დოქტორანტის საჩივარი. დამოუკიდებელი სპეციალისტი დოკუმენტაციის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში ადგენს წერილობით და დასაბუთებულ დასკვნას ნაშრომის შემდგომი რეცენზირების ეტაპზე გადაცემის მიზანშეწონილობის შესახებ.
32.6. თუ დამოუკიდებელი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ სადისერტაციო ნაშრომი აკმაყოფილებს შემდგომი რეცენზირების ეტაპზე გადაცემის წინაპირობებს, საჩივარი დაკმაყოფილებულად ითვლება და ნაშრომი გადაეცემა რეცენზენტებს ამ დებულებით განსაზღვრული წესით. ასეთ შემთხვევაში

სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი დაცვის კომისიის სხდომას შეიძლება დაესწროს მხოლოდ სათათბირო ხმის უფლებით და ნაშრომის შეფასებაში მონაწილეობას არ იღებს.
32.7. თუ დოქტორანტი ამ მუხლით განსაზღვრულ ვადაში არ გაასაჩივრებს სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის უარყოფით დასკვნას ან დამოუკიდებელი სპეციალისტიც უარყოფითად შეაფასებს ნაშრომის შემდგომი რეცენზირების ეტაპზე გადაცემას, დოქტორანტს კვლევით კომპონენტში საბოლოო შეფასებად უფიქსირდება „F“ და იგი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის ხელახლა წარდგენის უფლებას.

თავი VII. სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურები

მუხლი 33. დაცვის კომისიის ფორმირებისა და საქმიანობის წესი

33.1. სადოქტორო ნაშრომის შეფასება ხდება კომისიური წესით - დაცვის კომისიის მიერ. თითოეული სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის მიზნით, სკოლის სადისერტაციო საბჭო, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს, დაცვის კომისიას, მათ შორის კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს.
33.2 . დაცვის კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან. დაცვის კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ დოქტორის კადემიური ხარისხის მქონე შესაბამისი სფეროს აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია იძლევა ნაშრომის სიღრმისეულად და სრულყოფილად შეფასების და კვლევის ორიგინალობისა და მისი შედეგების შეფასების შესაძლებლობას. დაცვისა კომისიის მინიმუმ ორი წევრი უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის ადგილობრივი ან/და უცხოეთის უნივერსიტეტის წარმომადგენელი. სფეროს თავისებურების გათვალისწინებით, დაცვის კომისიის შემადგენლობაში საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შედიოდნენ სამთავრობო/არასამთავრობო სექტორისა და შრომის ბაზრის წარმომადგენელ(ებ)ი.
33.3. დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი დაცვის კომისიის მუშაობაში არ მონაწილეობს
33.4 დაცვის კომისია თავის საქმიანობას წარმართავს ამ დებულების შესაბამისად.
33.5. დაცვის კომისია უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცესის წარმართვას და სადისერტაციო ნაშრომის შეფასებას მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე სტანდარტით დადგენილი პროცედურების მიხედვით.
33.6. დაცვის კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის ორგანიზაციულ საქმიანობას. დაცვის კომისიის მდივანი აწარმოებს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ოქმს, ეხმარება კომისიის თავმჯდომარეს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში, ხელმძღვანელობს კომისიის საქმისწარმოებას, სკოლის სადისერტაციო საბჭოს აწვდის სადისერტაციო კომისიის მიერ წარმოებულ დოკუმენტაციას.

მუხლი 34. სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე განსახორციელებელი ქმედებები

34.1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღზე გადაწყვეტილებას იღებს სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.
34.2. კომისიის შემადგენლობის დამტკიცებიდან 1 კვირის ვადაში სადისერტაციო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომის ეგზემპლარების გადაცემას სადისერტაციო კომისიის წევრებისათვის.
34.3. სადისერტაციო საბჭოს მდივანმა დოქტორანტს უნდა აცნობოს საბჭოს თავმჯდომარის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს სადისერტაციო კომისიის სხდომის თარიღი, დრო, ადგილი. დაცვის შეტყობინებიდან დაცვის თარიღამდე უნდა გავიდეს 30 დღე მაინც (შეტყობინების გაგზავნის მიზნით შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის გამოყენება).

34.4. სადისერტაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე, სულ ცოტა ოცი დღით ადრე, კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებას დაცვის დანიშვნის შესახებ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა. სადისერტაციო ნაშრომის დასახელება;

ბ. მისი ავტორი;

გ. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობა;

დ.რეცეზენტის ვინაობა;

ე. დისერტაციის დაცვის თარიღი, დრო და ადგილი.

34.5. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა, დაცვის კომისიის სხდომაზე, არის საჯარო და ღია. ინფორმაცია სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის (სამართლის სკოლის გამყოფილებაში) ვებგვერდზე დაცვამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.

34.6. სადისერტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე კომისიის წევრთა 3/4 და მეტი. თუ დაცვას საპატიო მიზეზით არ ესწრება ერთ-ერთი რეცენზენტი, ამ შემთხვევაში რეცენზია მთლიანად უნდა წაიკითხონ დაცვის მსვლელობისას.

34.7. დაცვას აუცილებლად უნდა ესწრებოდეს სამეცნიერო ხელმძღვანელი. თუ იგი საპატიო მიზეზით არ ესწრება კომისიის სხდომას, კომისიას უგზავნის შესაბამის მოხსენებით ბარათს და დოქტორანტის პიროვნულ დახასიათებას.

34.8 თუ დოქტორანტი დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით ვერ გავიდა დისერტაციის დაცვაზე, ან სადისერტაციო კომისიის კვორუმი არ შედგა, ან დაცვა არ შედგა დოქტორანტისაგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზების გამო, სადისერტაციო საბჭოს მიერ დაინიშნება დამატებითი დაცვა იმავე სემესტრში.

34.9 სადისერტაციო კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი სადისერტაციო ნაშრომის დაცვა.

34.10. სადისერტაციო კომისიის სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი (დანართი № 10)

მუხლი 35. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა

35.1. კომისიის სხდომაზე სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე აცხადებს დისერტანტის ვინაობას და დისერტაციის თემას, ექსპერტებისა და რეცენზენტების ვინაობას. კომისიის მდივანი კომისიას აცნობს დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, დისერტაციის დაცვის პროცედურას და დოქტორანტის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს.

35.2. დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო კამათს, სადისერტაციო ნაშრომის შეფასებას და სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გამოცხადებას. დაცვის პროცესის რეგლამენტს გონივრულად განსაზღვრავს სადისერტაციო კომისია.

35.3. დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაცია გულისხმობს დოქტორანტის მოხსენებას – თემის წარმოდგენას, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს. კომისიის თავმჯდომარის წინადადებით დოქტორანტი კომისიას მოახსენებს თავისი ნაშრომის ძირითად დებულებებს და მიღებულ შედეგებს, მკაფიოდ აყალიბებს მეცნიერულ სიახლეს.

35.4. ნაშრომის პრეზენტაციისას დისერტანტმა უნდა გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა: მაგალითად, სლაიდები, პლაკატები, ვიდეო-კინო გასაშვები ტექნიკა და ა.შ.

35.5. ნაშრომის პრეზენტაციის შემდეგ იმართება სამეცნიერო კამათი. დოქტორანტი უპასუხებს დამსწრეთა მიერ დასმულ შეკითხვებს, რის შემდეგაც კომისიის თავმჯდომარე კომისიას გააცნობს დისერტაციის წინასწარი განხილვის შედეგებს. იწყება რეცენზენტების პაექრობა დოქტორანტთან, რის შემდეგაც სიტყვა ეძლევა თემის სამეცნიერო ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელებს) დოქტორანტის დახასიათებისათვის. იმართება დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა შეუძლიათ როგორც კომისიის წევრებს, ისე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებს.

35.6. სამეცნიერო კამათის დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარის წინადადებით დოქტორანტს ეძლევა დასკვნითი სიტყვა, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს.

35.7. დოქტორანტის დასკვნითი სიტყვის შემდეგ სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად სადისერტაციო კომისიის ხმის მიცემის მქონე წევრები გადაწყვეტილებას იღებენ დახურულ სხდომაზე.

მუხლი 36. სადისერტაციო კომისიის დახურული სხდომა და სადისერტაციო ნაშრომის შეფასება

36.1. სადისერტაციო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კონფიდენციალურად, დახურულ სხდომაზე.

36.2. დახურულ სხდომაზე სადისერტაციო კომისიის წევრები, თავდაპირველად, ინდივიდუალურად აფასებენ სადისერტაციო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციას და სამეცნიერო კამათში დოქტორანტის მონაწილეობას.

36.3. სადისერტაციო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციის და სამეცნიერო კამათში დოქტორანტის მონაწილეობის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და ამ დებულებით.

36.4. სადისერტაციო ნაშრომის საჯარო პრეზენტაციისა და სამეცნიერო კამათში დოქტორანტის მონაწილეობის შეფასების მიზნით სადისერტაციო კომისიის მდივანს გამოჰყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე).

36.5. დაცვის კომისია საჯარო დაცვის შედეგებს აფასებს მაქსიმუმ 70 ქულით, ამ დებულებითა და შესაბამისი შეფასების ფორმით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. სადისერტაციო ნაშრომის ერთიანი საბოლოო შეფასება გამოითვლება რეცენზენტების შეფასებისა და საჯარო დაცვის შეფასების ქულათა შეკრებით და შეადგენს მაქსიმუმ 100 ქულას, ამ დებულების 37-ე მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

36 6. სხდომის დასრულებისთანავე სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე კომისიის დასაბუთებულ საბოლოო გადაწყვეტილებას აცხადებს საჯაროდ.

მუხლი 37. სადისერტაციო ნაშრომის ერთიანი საბოლოო შეფასება

37.1. რეცენზენტი სადისერტაციო ნაშრომს აფასებს მაქსიმუმ 30 ქულით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად (დანართი # 9; # 9.1)

37.2. დაცვის კომისიის წევრები დისერტაციის საჯარო დაცვის შედეგებს აფასებენ ინდივიდუალურად და ფარულად, მაქსიმუმ 70 ქულით, ამ დებულებითა და შესაბამისი შეფასების ფორმებით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად (დანართები №9.2 და №9.3)

37.3 სადისერტაციო კომისიის წევრთა შეფასების საფუძველზე განისაზღვრება საბოლოო ქულა - საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე. სადისერტაციო კომისიის წევრთა შეფასების ფორმას ხელს აწერს კომისიის თითოეული წევრი.

37.4 დისერტაციის შეფასების საბოლოო ქულა გამოითვლება სადისერტაციო კომისიის წევრების შეფასების (70 ქულა) საშუალო არითმეტიკულის და რეცენზენტების შეფასების (30 ქულა) საშუალო არითმეტიკულის ჯამით (100 ქულა). კომისიის წევრთა შეფასების ფორმას ხელს აწერს კომისიის თითოეული წევრი.

37.5 დისერტაციაში სტუდენტი დადებით შეფასებას იღებს, თუ იგი გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს - შეფასების ციფრობრივი ეკვივალენტის მიხედვით, შეფასების მაქსიმალური ქულის 60%-ს.

37.6 სადისერტაციო ნაშრომის 41–59 ქულით შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება აქვს, გადაამუშაოს სადისერტაციო ნაშრომი და განმეორებით წარადგინოს იგი საჯარო დაცვაზე შეფასების შედეგის ოფიციალურად გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) წლის ვადაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებისა და შესაბამისი ფინანსური ვალდებულებების გათვალისწინებით. სადისერტაციო ნაშრომის განმეორებითი დაცვა დასაშვებია მხოლოდ ერთხელ.

37.7 დოქტორანტმა სადისერტაციო ნაშრომის გადამუშავებისა და განმეორებითი დაცვის მოთხოვნით სკოლის სადისერტაციო საბჭოს უნდა მიმართოს შეფასების შედეგის ოფიციალურად, მათ შორის ელექტრონული ფორმით, გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

37.8. სადისერტაციო ნაშრომის 40 ქულით ან ნაკლებით შეფასების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის ხელახლა წარდგენის უფლებას. დოქტორანტის საბოლოო შეფასება ფორმდება ქულობრივად და სიტყვიერად, ამ მუხლით განსაზღვრული შეფასების სისტემის შესაბამისად.
37.9. სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება. სადისერტაციო ნაშრომის დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 60 ქულა.
37.10. სადისერტაციო ნაშრომის დადებითი შეფასება (P — დაიცვა) განისაზღვრება შემდეგი სისტემით:
ა) ფრიადი (summa cum laude) — შესანიშნავი ნაშრომი — 91–100 ქულა;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) — შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება — 81–90 ქულა;
გ) კარგი (cum laude) — შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება — 71–80 ქულა;
დ) საშუალო (bene) — შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს — 61–70 ქულა;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) — შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს — 60 ქულა.
37.11. სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითი შეფასება (F — ვერ დაიცვა) განისაზღვრება შემდეგი სისტემით:
ა) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) — შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს — 41–59 ქულა. დოქტორანტს უფლება აქვს სადისერტაციო ნაშრომი გადაამუშაოს და ერთხელ განმეორებით წარადგინოს საჯარო დაცვაზე ამ მუხლის 37.6–37.7 პუნქტებით განსაზღვრული წესითა და ვადაში;
ბ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) — შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს საერთოდ არ აკმაყოფილებს — 40 ქულა და ნაკლები. დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის ხელახლა წარდგენის უფლებას.
37.12 დაცვის კომისიის თავმჯდომარე სხდომის დასრულებისთანავე საჯაროდ აცხადებს სადისერტაციო ნაშრომის ერთიან საბოლოო შეფასებას. დოქტორანტს უფლება აქვს გაეცნოს დაცვის კომისიის წევრებისა და რეცენზენტების შეფასებებს.
37.13 .დისერტაციის დაცვაზე, მის მსვლელობასა და მის საბოლოო შედეგებზე კომისიის მდივანი ადგენს დისერტაციის დაცვის ოქმს, რაზედაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.
37.14. სადისერტაციო ნაშრომი მისი წარმატებით დაცვიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ნაშრომის ბეჭდური და ელექტრონული (PDF) ვერსიები გადაეცემა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას. აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი არ გაიცემა სადისერტაციო ნაშრომის გამოქვეყნებამდე.

მუხლი 38. სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურის გასაჩივრება

38.1. დოქტორანტი უფლებამოსილია გაასაჩივროს სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცესში ამ დებულებით განსაზღვრული პროცედურის დარღვევა ან შეფასების კრიტერიუმების გამოყენებასთან, შეფასების დასაბუთებასთან ან ერთიანი დასკვნითი შეფასების გამოთვლასთან დაკავშირებული საკითხი შესაბამისი შეფასების ან გადაწყვეტილების ოფიციალურად, მათ შორის ელექტრონული ფორმით, გაცნობიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში. დასაბუთებული საჩივარი წარედგინება უნივერსიტეტის პრეზიდენტს.
38.2. სადისერტაციო ნაშრომის აკადემიური შინაარსი, რეცენზენტებისა და სადისერტაციო კომისიის პროფესიული ან აკადემიური მსჯელობა გასაჩივრებას არ ექვემდებარება. გასაჩივრების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ:
ა) სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირების, შეფასების ან დაცვის პროცესში ამ დებულებით განსაზღვრული პროცედურის დარღვევა;
ბ) წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების გამოუყენებლობა, არასწორად ან არათანმიმდევრულად გამოყენება;
გ) რეცენზენტების ან/და სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების საფუძველზე ერთიანი დასკვნითი შეფასების არასწორად გამოთვლა;
დ) შეფასების არასათანადო ან არასაკმარისი დასაბუთება;

ე) დოქტორანტისათვის არათანაბარი ან არასამართლიანი პირობების შექმნა;
ვ) ინტერესთა კონფლიქტი ან მიუკერძოებლობის მოთხოვნის დარღვევა;
ზ) სხვა არსებითი პროცედურული გარემოება, რომელმაც გავლენა მოახდინა ან შესაძლოა გავლენა მოეხდინა სადისერტაციო ნაშრომის შეფასების ან დაცვის შედეგზე.
38.3. საჩივარში უნდა მიეთითოს გასაჩივრებული შეფასება ან პროცედურული გადაწყვეტილება, გასაჩივრების კონკრეტული საფუძველი, შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები და დოქტორანტის მოთხოვნა. საჩივარს, არსებობის შემთხვევაში, უნდა დაერთოს შესაბამისი მტკიცებულებები.
38.4. საჩივრის მიღების შემდეგ მის დასაშვებობას ამოწმებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი ან მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი. საჩივარი დასაშვებია, თუ იგი:
ა) წარდგენილია ამ მუხლის 38.1 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში;
ბ) აკმაყოფილებს ამ მუხლის 38.3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს;
გ) ეხება ამ მუხლის 38.2 პუნქტით განსაზღვრულ საკითხს.
ვადის დარღვევით წარდგენილი საჩივარი შეიძლება მიღებულ იქნეს, თუ დოქტორანტი დაასაბუთებს ვადის საპატიო მიზეზით გაცდენას.
38.5. საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ მიიღება წერილობითი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომელიც დოქტორანტს ეცნობება, მათ შორის ელექტრონული ფორმით, გადაწყვეტილების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.
38.6. დასაშვებ საჩივარს განიხილავს არანაკლებ 3 (სამი) წევრისგან შემდგარი სააპელაციო კომისია, რომლის შემადგენლობას სამართლის სკოლის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი.
სააპელაციო კომისიის წევრებს უნდა ჰქონდეთ სამართლის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და შესაბამისი სამეცნიერო კომპეტენცია. კომისიის შემადგენლობაში არანაკლებ ერთი წევრი უნდა იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო ან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების წარმომადგენელი, რომელსაც კავკასიის უნივერსიტეტში არ უკავია აკადემიური ან ადმინისტრაციული თანამდებობა.
სააპელაციო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარესა და მდივანს.
38.7. სააპელაციო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც მონაწილეობდა:
ა) გასაჩივრებული სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელობაში ან თანახელმძღვანელობაში;
ბ) სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირებაში;
გ) სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვაში ან შეფასებაში;
დ) გასაჩივრებული პროცედურული გადაწყვეტილების მიღებაში.
სააპელაციო კომისიის წევრს არ უნდა ჰქონდეს დოქტორანტთან, მის ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან, რეცენზენტთან ან სადისერტაციო კომისიის წევრთან ინტერესთა კონფლიქტი. ასეთი გარემოების არსებობის შემთხვევაში წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება.
დოქტორანტი უფლებამოსილია შესაბამისი გარემოებების დასაბუთებით მოითხოვოს სააპელაციო კომისიის წევრის აცილება. აცილების საკითხს წყვეტს უნივერსიტეტის პრეზიდენტი ან მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.
38.8. სააპელაციო კომისია არ აფასებს სადისერტაციო ნაშრომის აკადემიურ შინაარსს, არ ახორციელებს სადისერტაციო ნაშრომის ხელახალ რეცენზირებას ან ქულობრივ შეფასებას და არ ანაცვლებს რეცენზენტებისა და სადისერტაციო კომისიის პროფესიულ და აკადემიურ მსჯელობას საკუთარი მსჯელობით.
სააპელაციო კომისია ამოწმებს:
ა) რეცენზირების, შეფასებისა და დაცვის პროცესის შესაბამისობას ამ დებულებასთან;
ბ) წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების გამოყენების სისწორესა და თანმიმდევრულობას;
გ) ერთიანი დასკვნითი შეფასების გამოთვლის სისწორეს;
დ) შეფასების სათანადოდ დასაბუთებას;
ე) პროცედურული თანასწორობისა და სამართლიანობის დაცვას;
ვ) ინტერესთა კონფლიქტის ან მიუკერძოებლობის დამაბრკოლებელი სხვა გარემოების არსებობას.
38.9. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია:

ა) გამოითხოვოს საჩივრის განხილვისათვის აუცილებელი დოკუმენტები, მათ შორის სადისერტაციო ნაშრომი, რეცენზიები, შეფასების ფორმები, დაცვის ოქმი, დაცვის აუდიო- ან ვიდეოჩანაწერი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სხვა შესაბამისი მასალა;
ბ) მიიღოს წერილობითი განმარტებები დოქტორანტისგან, ხელმძღვანელისგან/თანახელმძღვანელისგან, რეცენზენტებისგან, სადისერტაციო კომისიის წევრებისა და სხვა შესაბამისი პირებისგან;
გ) მოიწვიოს დოქტორანტი და სხვა შესაბამისი პირები სააპელაციო კომისიის სხდომაზე და მისცეს მათ მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა;
დ) საქმის სათანადო განხილვისათვის განახორციელოს სხვა მოქმედება, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობასა და ამ დებულებას.
38.10. სააპელაციო კომისია საჩივარს განიხილავს მისი დასაშვებად ცნობიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულის ან დამატებითი მასალების მოპოვების საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული ვადა უნივერსიტეტის პრეზიდენტის დასაბუთებული გადაწყვეტილებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღით, რის შესახებაც დოქტორანტს ეცნობება, მათ შორის ელექტრონული ფორმით.
38.11. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
ა) საჩივარი დატოვოს განუხილველად, თუ განხილვის პროცესში გამოვლინდა მისი დაუშვებლობის საფუძველი;
ბ) საჩივარი არ დააკმაყოფილოს;
გ) საჩივარი სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს და გააუქმოს გასაჩივრებული შეფასება ან პროცედურული გადაწყვეტილება;
დ) რეცენზირების პროცესში გამოვლენილი არსებითი პროცედურული დარღვევის შემთხვევაში გააუქმოს გასაჩივრებული შეფასება და სადისერტაციო ნაშრომი გადასცეს ახალ რეცენზენტს ან ახალ რეცენზენტებს ხელახალი რეცენზირებისათვის;
ე) საჯარო დაცვის პროცესში გამოვლენილი ისეთი არსებითი პროცედურული დარღვევის შემთხვევაში, რომელმაც გავლენა მოახდინა ან შესაძლოა გავლენა მოეხდინა დაცვის შედეგზე და რომლის გამოსწორებაც სხვა საშუალებით შეუძლებელია, გააუქმოს გასაჩივრებული შეფასება და განსაზღვროს განმეორებითი საჯარო დაცვის ჩატარება ახალი შემადგენლობის სადისერტაციო კომისიის წინაშე;
ვ) საკითხი ხელახალი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაუბრუნოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს ან პირს, სავალდებულო მითითებებით.
38.12. სააპელაციო კომისია ერთიან დასკვნით შეფასებას უშუალოდ ცვლის მხოლოდ აშკარა ტექნიკური ან არითმეტიკული შეცდომის გასწორების შემთხვევაში.
სხვა შემთხვევაში შეფასების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ ამ მუხლით განსაზღვრული ხელახალი რეცენზირების, განმეორებითი საჯარო დაცვის ან საკითხის ხელახალი განხილვის შედეგად.
საჩივრის დაკმაყოფილება თავისთავად არ იწვევს განმეორებითი საჯარო დაცვის ჩატარებას. განმეორებითი საჯარო დაცვა ინიშნება მხოლოდ ამ მუხლის 38.11 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში.
38.13. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს წერილობითი და დასაბუთებული. გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს:
ა) საჩივრის საგანი და დოქტორანტის მოთხოვნა;
ბ) დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები;
გ) განხილული მტკიცებულებები და მოსაზრებები;
დ) გადაწყვეტილების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები;
ე) მიღებული გადაწყვეტილება და მისი შესრულების წესი.
38.14. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება დოქტორანტს ეცნობება, მათ შორის ელექტრონული ფორმით, მისი მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.
სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი მექანიზმების ფარგლებში შემდგომ გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
38.15. საჩივრის წარდგენა არ აჩერებს გასაჩივრებული შეფასების ან გადაწყვეტილების მოქმედებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უნივერსიტეტის პრეზიდენტი, დოქტორანტის ინტერესების,

შესაძლო შედეგებისა და საჩივარში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მიიღებს გადაწყვეტილებას მისი მოქმედების დროებით შეჩერების შესახებ.

თავი VIII. აკადემიური ხარისხის მინიჭება

მუხლი 39. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

39.1. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია სკოლის სადისერტაციო საბჭოს გადაეცემა დისერტაციის დაცვიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში. სკოლის სადისერტაციო საბჭოს მდივანი ვალდებულია დოკუმენტაცია საბჭოს წევრებს გადასცეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.
39.2. სკოლის სადისერტაციო საბჭო სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაციას განიხილავს დისერტაციის ერთიანი საბოლოო შეფასების განსაზღვრიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში.
39.3. სკოლის სადისერტაციო საბჭო დოქტორანტს ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს, თუ:
ა) დოქტორანტმა შეასრულა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები;
ბ) სადისერტაციო ნაშრომი შეფასდა დადებითად და დოქტორანტმა მიიღო არანაკლებ 60 ქულა;
გ) დაცულია სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის, რეცენზირების, დაცვაზე დაშვებისა და საჯარო დაცვის ამ დებულებით განსაზღვრული პროცედურები;
დ) წარმოდგენილია ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელი სრული დოკუმენტაცია;
ე) გასულია შეფასებისა და დაცვის შედეგების გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადა და საჩივარი არ წარდგენილა ან დასრულებულია საჩივრის განხილვა.
39.4. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვისას სკოლის სადისერტაციო საბჭო ამოწმებს მხოლოდ:
ა) დოქტორანტის მიერ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესრულებას;
ბ) სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის, რეცენზირების, დაცვაზე დაშვებისა და საჯარო დაცვის პროცედურების დაცვას;
გ) დაცვის დოკუმენტაციის სისრულესა და სათანადოდ გაფორმებას;
დ) ხარისხის მინიჭებისათვის კანონმდებლობით, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამითა და ამ დებულებით განსაზღვრული ფორმალური წინაპირობების შესრულებას.
39.5. სკოლის სადისერტაციო საბჭო არ აფასებს სადისერტაციო ნაშრომის აკადემიურ შინაარსს, არ ახორციელებს ნაშრომის ხელახალ რეცენზირებას ან ქულობრივ შეფასებას და არ არის უფლებამოსილი საკუთარი აკადემიური მსჯელობით შეცვალოს ან გადასინჯოს რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის შეფასება.
39.6. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. საბჭოს სხდომას ესწრება დაცვის კომისიის მდივანი.
39.7. ამ მუხლის 39.3 პუნქტით განსაზღვრული წინაპირობების შესრულების შემთხვევაში სკოლის სადისერტაციო საბჭო იღებს დოქტორანტისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას. საბჭოს წევრის მიერ ხმის მიცემა უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ამ მუხლის 39.4 პუნქტით განსაზღვრული საკითხების შემოწმების შედეგებს.
39.8. თუ გამოვლინდა გამოსწორებადი დოკუმენტური ან პროცედურული ხარვეზი, სკოლის სადისერტაციო საბჭო აჩერებს საკითხის განხილვას, განსაზღვრავს ხარვეზის გამოსწორების გონივრულ ვადას და საკითხს ხელახლა განიხილავს ხარვეზის გამოსწორების შემდეგ.
39.9. სკოლის სადისერტაციო საბჭო დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე უარს ამბობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) დოქტორანტს არ შეუსრულებია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო მოთხოვნები;

ბ) სადისერტაციო ნაშრომს არ მიუღია ამ დებულებით განსაზღვრული დადებითი შეფასება;
გ) გამოვლინდა არსებითი და გამოუსწორებელი პროცედურული დარღვევა;
დ) არ არსებობს ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელი დოკუმენტი ან დადასტურდა არასწორი ან გაყალბებული მონაცემის წარდგენა;
ე) არ არის შესრულებული კანონმდებლობით, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით ან ამ დებულებით განსაზღვრული ხარისხის მინიჭების სხვა სავალდებულო წინაპირობა.
39.10. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს წერილობითი და დასაბუთებული. გადაწყვეტილებაში მიეთითება უარის კონკრეტული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, შესაბამისი მტკიცებულებები და გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი.
39.11. დოქტორანტს უფლება აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილება მისი ოფიციალურად, მათ შორის ელექტრონული ფორმით, გაცნობიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გაასაჩივროს უნივერსიტეტის პრეზიდენტთან.
39.12. საჩივარს განიხილავს უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ შექმნილი არანაკლებ 3 (სამი) წევრისაგან შემდგარი კომისია. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც მონაწილეობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებაში ან რომელსაც დოქტორანტთან, მის ხელმძღვანელთან ან შეფასების პროცესში მონაწილე პირთან ინტერესთა კონფლიქტი აქვს.
39.13. საჩივრის განმხილველი კომისია არ აფასებს სადისერტაციო ნაშრომის აკადემიურ შინაარსს და არ ცვლის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის აკადემიურ შეფასებას. კომისია ამოწმებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შესაბამისობას კანონმდებლობასთან, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასა და ამ დებულებასთან და საჩივარს განიხილავს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
39.14. საჩივრის განმხილველი კომისია უფლებამოსილია:
ა) არ დააკმაყოფილოს საჩივარი;
ბ) სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს საჩივარი, გააუქმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საკითხი ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნოს სკოლის სადისერტაციო საბჭოს;
გ) გამოსწორებადი ტექნიკური, დოკუმენტური ან პროცედურული ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში განსაზღვროს მისი გამოსწორებისა და საკითხის ხელახალი განხილვის წესი.
39.15. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების ან მის მინიჭებაზე უარის შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება სკოლის სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმით.
39.16. სკოლის სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმი და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის დოკუმენტაცია სკოლაში ინახება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებიდან 6 (ექვსი) წლის განმავლობაში, რის შემდეგაც გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს.

მუხლი 40. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი
40.1. დოქტორის აკადემიურ ხარისხს ადასტურებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი და სკოლის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართით.
40.2. დიპლომის გაცემამდე დოქტორანტზე შეიძლება გაიცეს ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მუხლი 41. სადისერტაციო ნაშრომის გამოქვეყნების ვალდებულება
სკოლა ვალდებულია, დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ, ერთი თვის ვადაში დისერტაციის თითო ბეჭდური ეგზემპლარი და მისი ელექტრონული ვერსია გადასცეს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, ასევე ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას.

თავი IX. დასკვნითი დებულებები

მუხლი 42. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

42.1. სკოლის სადოქტორო (სადისერტაციო) საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორს დოქტორის აკადემიური ხარისხი ჩამოერთმევა სადისერტაციო საქმის წარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენის, მონაცემების გაყალბების, პლაგიატისა და აკადემიური პატიოსნების სხვა ნორმების დარღვევის შემთხვევაში, რის შესახებაც გამოიცემა უნივერსიტეტის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანება.

42.2. თუ პლაგიატი ან დისერტაციის დოკუმენტაციის გაყალბება დადგინდა დისერტაციის დაცვის შემდეგ ნებისმიერ დროს, სადისერტაციო საბჭო ვალდებულია ბათილად ცნოს მინიჭებული აკადემიური ხარისხი და გააუქმოს შესაბამისი დიპლომი, რის შესახებაც გამოიცემა უნივერსიტეტის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანება.

42.3. დისერტაციის პლაგიატზე შემოწმების წესები რეგულირდება "პლაგიატის ამოცნობის და თავიდან არიდების პროგრამაში („ტურნიტინში") სტუდენტთა ნაშრომის შემოწმების წესით".

მუხლი 43. დასკვნითი დებულებები

43.1 მოცემული დებულების მოთხოვნები ვრცელდება კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ყველა დოქტორანტზე.

43.2 წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ წინადადების დასმის უფლება აქვს სამართლის სკოლის საბჭოს. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სამართლის სკოლის დეკანი სკოლის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას დასამტკიცებლად წარუდგენს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტს.

43.3 წინამდებარე დებულება ძალაში შედის კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანების გამოცემისთანავე.

სამართლის სკოლის დოქტორანტის კანდიდატის განაცხადის ფორმა

კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტს

აპლიკანტი: ---------- ---------- ----------

სახელი გვარი
პირადი ნომერი

ფაქტობრივი მისამართი: ----------

ელ-ფოსტა:---------- ტელ. ნომერი: ----------

საჭირო დოკუმენტაცია (დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად):

□ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ან პასპორტის ასლი; უცხოენოვანი დოკუმენტის შემთხვევაში — ქართულენოვანი თარგმანი და დამოწმება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

□ დებულების მე-9 მუხლით განსაზღვრული აკადემიური კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომისა და დიპლომის დანართის სათანადოდ დამოწმებული ასლები;

□ თუ დიპლომი ჯერ არ არის გაცემული — აკადემიური ხარისხის მინიჭების ცნობა და პროგრამის სრულად დასრულებისა და არანაკლებ 120 ECTS კრედიტის დაგროვების დამადასტურებელი აკადემიური მოსწრების ოფიციალური დოკუმენტი;

□ სამართლის ორ ნაწილად განხორციელებული სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში — ორივე ნაწილის სრულად დასრულების, ჯამურად არანაკლებ 120 ECTS კრედიტის დაგროვების, სამაგისტრო ნაშრომის წარმატებით დაცვისა და კვლევის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი;

□ დებულების 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ გარდამავალ შემთხვევაში — სამართლის მაგისტრის დიპლომი და 2026 წლის 1 სექტემბრამდე არანაკლებ 120 ECTS-იან სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვისა და მისი სრულად დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტები;

□ უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში — სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტი; შესაბამის შემთხვევაში — კვალიფიკაციის მაგისტრის ხარისხთან გათანაბრების დოკუმენტი;

□ ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი: IELTS ≥ 6.0, TOEFL ≥ 78, სხვა საერთაშორისო B2 სერტიფიკატი, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მოქმედი სერტიფიკატი ან ბოლო ორი წლის განმავლობაში დასრულებული ინგლისურენოვანი პროგრამის დამადასტურებელი დოკუმენტი; დოკუმენტის არქონის შემთხვევაში — უნივერსიტეტის შიდა გამოცდა;

□ კანდიდატისათვის, რომლის მშობლიური ენა ქართული არ არის — ქართული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის სერტიფიკატი ან უნივერსიტეტის შიდა გამოცდის შედეგი;
□ ავტობიოგრაფია (CV);
□ არჩეულ სფეროში სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ორი სპეციალისტის რეკომენდაცია;
□ სამოტივაციო წერილი;
□ არანაკლებ ერთი სამეცნიერო ნაშრომის/პუბლიკაციის, სამეცნიერო-კვლევით პროექტში ან ღონისძიებაში მონაწილეობის ან შესაბამის სფეროში არანაკლებ ორწლიანი პროფესიული საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
□ სადოქტორო კვლევითი პროექტი — კვლევის განაცხადი (დანართი №2);
□ ფოტოსურათი უნივერსიტეტში მოქმედი საქმისწარმოების წესით განსაზღვრული ფორმით;
□ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი — კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში;
□ მობილობის შემთხვევაში — ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის ასლი, აკადემიური მოსწრების ოფიციალური დოკუმენტი, გავლილი სასწავლო/კვლევითი კომპონენტების სილაბუსები ან მათი შინაარსის დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა მოთხოვნილი დოკუმენტაცია.
კანდიდატს შეუძლია დამატებით წარმოადგინოს პედაგოგიური, პროფესიული ან სამეცნიერო გამოცდილებისა და შესაძლებლობების შეფასებისათვის მნიშვნელოვანი სხვა დოკუმენტები. უნივერსიტეტი უფლებამოსილია მოითხოვოს დოკუმენტის დედანი ან დამატებითი ინფორმაცია.

კავკასიის უნივერსიტეტში თქვენს მიერ წარმოდგენილი განცხადება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შესაძლოა შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებსაც. გაცნობებთ, რომ თქვენი პერსონალური მონაცემები უნივერსიტეტის მხრიდან დამუშავდება თქვენთან სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნებისათვის, რა დროსაც შესაძლოა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის პირობებში მოხდეს მათი ნაწილის გასაჯაროება ან მესამე პირებისთვის გადაცემა.
იმ შემთხვევაში, თუ ეთანხმებით ზემოთ აღნიშნულს, გთხოვთ, შემოხაზოთ ,,თანახმა ვარ“ და ხელმოწერით დაადასტუროთ

თანახმა ვარ ხელმოწერა .....

სააპლიკაციო ფორმის შევსებით ვადასტურებ მოცემული ინფორმაციის სისწორეს. გთხოვთ, განიხილოთ ჩემი კანდიდატურა სამართლის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვასთან დაკავშირებით.

სახელი და გვარი (სრულად)

ხელმოწერა

თარიღი
დანართები

სადოქტორო კვლევითი პროექტის განაცხადის ფორმა დანართი №2

კვლევითი განაცხადის ფორმა

1. პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მოტივაცია
(აღწერეთ თქვენი კვლევითი ინტერესების სფერო და პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მოტივაცია). სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 150)

2. საკვლევი თემა/პრობლემა
(განსაზღვრეთ თქვენი საკვლევი თემა/პრობლემა და დაასაბუთეთ მისი აქტუალურობა). სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 150)

3. ლიტერატურის მიმოხილვა
(წარმოადგინეთ ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს საკვლევი თემის/პრობლემის შესახებ არსებულ ცოდნას და ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას). სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 500)

4. კვლევის მიზანი, საკვლევი კითხვა/კითხვები ან/და ჰიპოთეზა
(განსაზღვრეთ თქვენი კვლევის მიზანი, საკვლევი კითხვა/კითხვები, ჰიპოთეზა (საჭიროების შემთხვევაში). სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 150)

5. კვლევის მეთოდოლოგია
(აღწერეთ კვლევის მეთოდოლოგია, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება კვლევის მიზნის მიღწევა, საკვლევი კითხვისთვის პასუხების ჩამოყალიბება ან/და ჰიპოთეზის უარყოფა/დადასტურება). სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 300

6. ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა
(წარმოადგინეთ ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა)

7. კვლევის მოსალოდნელი შედეგები
(განსაზღვრეთ კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული დანიშნულება). სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 300

აპლიკანტის სახელი, გვარი ----------
ხელმოწერა ----------
თარიღი ----------

სადოქტორო კვლევითი განაცხადის შეფასების უწყისი

დარგობრივი კომისიის წევრი (სახელი, გვარი) ----------
აპლიკანტის სახელი და გვარი ----------
სადოქტორო კვლევითი განაცხადის სათაური ----------
აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი სადოქტორო კვლევითი განაცხადი ფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

• **პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მოტივაცია** - *რამდენად ნათლად არის ჩამოყალიბებული დოქტორანტის კვლევითი ინტერესები და პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მოტივაცია.*

• **საკვლევი თემა/პრობლემა** - *რამდენად მკაფიოდ არის განსაზღვრული საკვლევი თემა/პრობლემა; რამდენად სწორად, თანმიმდევრულად და საკმარისად არის დასაბუთებული მისი სიახლე, ინოვაციურობა, აქტუალურობა;*

• **ლიტერატურის მიმოხილვა** - *რამდენად თანმიმდევრულია მიმოხილვა, რამდენად სწორად არის შერჩეული წყაროები, რამდენად საკმარისად ასახავს მიმოხილვა საკვლევი თემის შესახებ არსებულ ცოდნას და ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას;*

• **კვლევის მიზანი, საკვლევი კითხვა/ები ან/და ჰიპოთეზა** - *რამდენად სწორად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული კვლევის მიზანი, რამდენად სწორად და ნათლად არის ჩამოყალიბებული საკვლევი საკვლევი კითხვა/ები ან/და ჰიპოთეზა);*

• *კვლევის მეთოდოლოგია - რამდენად სწორად არის შერჩეული მეთოდოლოგია, რამდენად სრულად და მკაფიოდ არის აღწერილი მეთოდოლოგია;*

• **ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა** - *რამდენად თანმიმდევრულია ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა;*

• **კვლევის მოსალოდნელი შედეგები** - *რამდენად ნათლად არის ჩამოყალიბებული კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული დანიშნულება*

• **განაცხადის ენა და სტილი** - *რამდენად თანმიმდევრულია არგუმენტაცია და მსჯელობა, რამდენად არის დაცული აკადემიური ენისა და სტილის სტანდარტები.*

სადოქტორო განაცხადის მონახაზის თითოეული კრიტერიუმი ფასდება ხუთქულიანი სარეიტინგო სკალის მიხედვით, გარდა კვლევის მიზნის, რომელიც ფასდება 10 ქულიანი სისტემით. სარეიტინგო სკალაზე ქულები განლააგებულია ყველაზე მაღალი (5 ქულა - ძალიან კარგი) ყველაზე დაბალ ქულამდე (0 ქულა - მიუღებელი). კვლევის მიზანი, საკვლევი კითვა/ჰიპოთეზა ფასდება 10 ქულიანი სისტემით. სადოქტორო განაცხადის მონახაზის ჯამური სარეიტინგო ქულა დაანგარიშდება თითოეულ კრიტერიუმში მიღებული სარეიტინგო ქულათა საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლებით. სადოქტორო კვლევითი განაცხადის მაქსიმალური ჯამური სარეიტინგო ქულა არის 5, ხოლო მინიმალური ბარიერი - 3.

სადოქტორო კვლევითი განაცხადის შეფასების კრიტერიუმები	40					
პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მოტივაცია	5					
საკვლევი თემა/პრობლემა	5					
ლიტერატურის მიმოხილვა	5					
კვლევის მიზანი, საკვლევი კითხვა/ები ან/და ჰიპოთეზა	10					
ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა	5					
კვლევის მოსალოდნელი შედეგები	5					
განაცხადის ენა და სტილი	5					

- *რამდენად ნათლად არის ჩამოყალიბებული დოქტორანტის კვლევითი ინტერესები და პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მოტივაცია.*
- *რამდენად მკაფიოდ არის განსაზღვრული საკვლევი თემა/პრობლემა; რამდენად სწორად, თანმიმდევრულად და საკმარისად არის დასაბუთებული მისი სიახლე, ინოვაციურობა, აქტუალურობა;*
- *რამდენად თანმიმდევრულია მიმოხილვა, რამდენად სწორად არის შერჩეული წყაროები, რამდენად საკმარისად ასახავს მიმოხილვა საკვლევი თემის შესახებ არსებულ ცოდნას და ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას;*
- *- რამდენად სწორად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული კვლევის მიზანი, რამდენად სწორად და ნათლად არის ჩამოყალიბებული საკვლევი საკვლევი კითხვა/ები ან/და ჰიპოთეზა);*
- *კვლევის მეთოდოლოგია - რამდენად სწორად არის შერჩეული მეთოდოლოგია, რამდენად სრულად და მკაფიოდ არის აღწერილი მეთოდოლოგია;*
- *რამდენად თანმიმდევრულია ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურა;*
- *რამდენად ნათლად არის ჩამოყალიბებული კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული დანიშნულება*
- *რამდენად თანმიმდევრულია არგუმენტაცია და მსჯელობა, რამდენად არის დაცული აკადემიური ენისა და სტილის სტანდარტები.*

კონკურსანტის შეფასების ფორმა

დანართი №4

კომისიის წევრის სახელი, გვარი						აკადემიური ხარისხი			
		გასაუბრების მაქსიმალური ქულა 100					სავარაუდო გადაწყვეტილება		
	კონკურსანტი	მაგისტრატურის აკადემიური მოსწრება (10ქულა)	სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ან სამუშაო გამოცდილება ან (30 ქულა)	კვლევითი განაცხადის შეფასება (40 ქულა)	პრეზენტაციელურობა (20 ქულ)	ქულათა ჯამი	დიახ	არა	
1									
2									
3									
4									
5									

დანართი № 5.1

დოქტორანტის თემატური სემინარის სამეცნიერო ხელმძღვანელის

შეფასების ფორმა

---------- სამეცნიერო ხელმძღვანელი

---------- ნაშრომის სათაური

---------- დოქტორანტის გვარი, სახელი

შერჩეული თემისა და პრობლემის აქტუალურობა	მაქსიმუმ 5 ქულა	
ნაშრომის სტრუქტურა	მაქსიმუმ 5 ქულა	
კვლევის მეთოდოლოგია და შერჩეული სამეცნიერო ლიტერატურა	მაქსიმუმ 5 ქულა	
კვლევის საბოლოო შედეგები	მაქსიმუმ 10ქულა	
წყაროების გამოყენების სიზუსტე და აკადემიური წერის კულტურა	მაქსიმუმ 5 ქულა	
ჯამი	30 ქულა	

შემფასებლის ხელმოწერა: ----------

თარიღი: ----------

შენიშვნა: 1. ეს ფორმა შევსებული და ხელმოწერილი სკოლის ადმინისტრაციას დოქტორანტის მიერ ბარდება სემინარის დაცვის თარიღის განსაზღვარმდე.

დანართი №5.2

დოქტორანტის თემატური სემინარის რეცენზენტის

შეფასების ფორმა

---------- რეცენზენტი

---------- სათაური

შერჩეული თემისა და პრობლემის აქტუალურობა	მაქსიმუმ 5 ქულა	
ნაშრომის სტრუქტურა, ინფორმაციის სამართლებრივად გამოყენება, აკადემიური წერის კულტურა	მაქსიმუმ 5 ქულა	
კვლევის მეთოდოლოგია, მეთოდები და შერჩეული სამეცნიერო ლიტერატურა	მაქსიმუმ 10 ქულა	
კვლევის საბოლოო შედეგები	მაქსიმუმ 10 ქულა	
ჯამი	30 ქულა	

შემფასებლის ხელმოწერა: ----------

თარიღი: ----------

შენიშვნა: 1. ეს ფორმა შევსებული და ხელმოწერილი სკოლის ადმინისტრაციას დოქტორანტის მიერ ბარდება სემინარის დაცვის თარიღის განსაზღვარმდე.

დანართი №5.3

კომისიის წევრის მიერ დოქტორანტის თემატურ სემინარის

შეფასების ფორმა

---------- კომისიის წევრის გვარი, სახელი

---------- სათაური

---------- დოქტორანტის გვარი, სახელი

შერჩეული თემისა და პრობლემის აქტუალურობა	მაქსიმუმ 5 ქულა	
ნაშრომის სტრუქტურა	მაქსიმუმ 5 ქულა	
კვლევის მეთოდოლოგია და შერჩეული სამეცნიერო ლიტერატურა	მაქსიმუმ 5 ქულა	
კვლევის საბოლოო შედეგები	მაქსიმუმ 10ქულა	
წყაროების გამოყენების სიზუსტე და აკადემიური წერის კულტურა	მაქსიმუმ 5 ქულა	
პრეზენტაციის უნარი	მაქსიმუმ 5 ქულა	
რეცენზენტის შენიშვნებზე და კომისიის შეკითხვებზე გაცემული პასუხების დასაბუთება და არგუმენტირებულობა	მაქსიმუმ 5 ქულა	
ჯამი	40 ქულა	

შემფასებლის ხელმოწერა: ----------

თარიღი: ----------

დანართი №5.4

თემატური სემინარის ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების ქულობრივი განაწილება

თემატური სემინარის ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების კრიტერიუმები: 30 ქულა

1. შერჩეული თემისა და პრობლემის აქტუალურობა- 5 ქულა	
5 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა ლოგიკურადაა განმარტებული და დასაბუთებული.
4 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა ლოგიკურადაა განმარტებული, მაგრამ აკლია სიცხადე/დასაბუთება.
3 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა განმარტებულია, მაგრამ ბოლომდე არ არის დასაბუთებული
2 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა ზედაპირულად და არაარგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული.
1 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა ჩამოყალიბებულია არაკვალიფიციურად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.
0 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა არ არის ჩამოყალიბებული.
2. ნაშრომის სტრუქტურა - 5 ქულა	
5 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა ზედმიწევნით პასუხობს თემის სათაურს.
4 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა პასუხობს თემის სათაურს, მაგრამ საჭიროებს დაზუსტებას.
3 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა ნაწილობრივ პასუხობს თემის სათაურს.
2 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა არ არის სათანადო დონეზე გადამუშავებული და გაანალიზებული.
1 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა აკლია შესაბამისობა და ხარისხი.
0 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა საერთოდარ შეესაბამება კვლევის მოთხოვნებს.
3. კვლევის მეთოდოლოგია, მეთოდები და შერჩეული სამეცნიერო ლიტერატურა- მაქსიმუმ 5 ქულა	
5 ქულა	კვლევის მეთოდები კომპლექსურად, კვალიფიციურად და სრულადაა შერჩეული. შერჩეული მეთოდოლოგიის საშუალებით მაგისტრანტი წარმატებით შეძლებს უპასუხოს კვლევისძირითად პრობლემატიკას, ხოლო შერჩეული მასალა და სამეცნიერო ლიტერატურა სრულად შეესაბამება კვლევის მოთხოვნებს.
4 ქულა	კვლევის მეთოდები კვალიფიციურადაა შერჩეული. შერჩეული მეთოდოლოგიის საშუალებით მაგისტრანტი შეძლებს უპასუხოს კვლევის ძირითად პრობლემატიკას, ხოლო შერჩეული მასალა და სამეცნიერო ლიტერატურა შეესაბამება კვლევის მოთხოვნებს, მაგრამსაჭიროებს შევსებას.
3 ქულა	კვლევის მეთოდები არასრულადაა შერჩეული. შერჩეული მეთოდოლოგიის საშუალებით მაგისტრანტი ვერ შეძლებს სრულად უპასუხოს კვლევის ძირითად პრობლემატიკას, ხოლო შერჩეული მასალა და სამეცნიერო ლიტერატურა მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს კვლევის მოთხოვნებს.
2 ქულა	შერჩეული მეთოდოლოგია მოძველებულია და შეუსაბამოა თემასთან. მაგისტრანტი ვერშეძლებს უპასუხოს კვლევის ძირითად პრობლემატიკას, ხოლო შერჩეული მასალა და

	სამეცნიერო ლიტერატურა არ არის სათანადო დონეზე გადამუშავებული და გაანალიზებული.
1 ქულა	კვლევის მეთოდები შერჩეულია არაკვალიფიციურად, ხოლო შერჩეული მასალა და სამეცნიერო ლიტერატურა არის შემთხვევითი, აკლია შესაბამისობა და ხარისხი.
0 ქულა	კვლევის მეთოდები საერთოდ არ არის შერჩეული, ხოლო შერჩეული მასალა და სამეცნიეროლიტერატურა საერთოდ არ შეესაბამება კვლევის მოთხოვნებს.
4. კვლევის საბოლოო შედეგები - მაქსიმუმ 10 ქულა	
10 ქულა	შედეგები სრულად შეესაბამება დასახულ მიზნებს და ამოცანებს; დასკვნები მკაფიო, არგუმენტირებული და ლოგიკურად ჩამოყალიბებულია; ნაშრომი აჩვენებს თემის სწორად გააზრებას და არჩეული საკითხის შინაარსობრივ სრულყოფილებას.
9 ქულა	შედეგები მკაფიოდ აჯამებს ნაშრომის ძირითად საკითხებს; დასკვნები დასაბუთებულია და არგუმენტაცია თანმიმდევრულია, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროებს მცირე დაზუსტებას.
8 ქულა	შედეგები ზუსტად გამოხატავს კვლევის მიზანს, მაგრამ ზოგიერთ დასკვნაში არგუმენტაცია არასაკმარისად სრულადაა წარმოდგენილი.
7 ქულა	შედეგები ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული, თუმცა დასკვნები ზოგადადაა აღწერილი და არ აქვს მკაფიო აქცენტი კვლევის მიზნებზე.
6 ქულა	შედეგები ნაწილობრივ უკავშირდება კვლევის მიზნებს; დასკვნები ზოგადია და მოითხოვს დამატებით განმარტებას ან არგუმენტაციას.
5 ქულა	შედეგები ფორმალურად არის წარმოდგენილი და მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს ნაშრომის შინაარსს; დასკვნები არ არის სრულად დამაჯერებელი.
4 ქულა	შედეგები ზედაპირულადაა აღწერილი; დასკვნები ფრაგმენტულია და კავშირი თემასთან სუსტია.
3 ქულა	შედეგები ბუნდოვანია; დასკვნები არ ეყრდნობა ნაშრომის ძირითად ნაწილს და არგუმენტაცია არასაკმარისია.
2 ქულა	შედეგები და დასკვნები დაუზუსტებელია; მათ შორის არ არის მკაფიო ლოგიკური კავშირი.
1 ქულა	დასკვნები მხოლოდ ფორმალურადაა წარმოდგენილი და არ ასახავს კვლევის მიზნებს.
0 ქულა	შედეგები და დასკვნები საერთოდ არ არის წარმოდგენილი ან არ უკავშირდება ნაშრომის თემას.
5. წყაროების გამოყენების სიზუსტე და აკადემიური წერის კულტურა - მაქსიმუმ 5 ქულა	
5 ქულა	ყველა გამოყენებული წყარო და ციტატა სათანადოდ და კეთილსინდისიერად არის მითითებული; ტექსტი გამართულია როგორც ენობრივად, ისე სტილისტურად; აზრები თანმიმდევრულად და მკაფიოდ არის გადმოცემული; გამოყენებულია სწორი ტერმინოლოგია და დაცულია აკადემიური წერის სტანდარტები.
4 ქულა	წყაროები და ციტატები ძირითადად სწორადაა მითითებული, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ფიქსირდება მცირე ფორმალური უზუსტობები; ტექსტი გამართულია, სტილი თანმიმდევრულია და ტერმინოლოგია გამოყენებულია სწორად, მცირე ხარვეზების მიუხედავად.
3 ქულა	ზოგიერთი წყაროს მითითება არასრულია ან ციტირების წესები ბოლომდე არ არის დაცული; ტექსტში შეინიშნება მცირე გრამატიკული ან სტილისტური უზუსტობები, თუმცა ნაშრომის საერთო შინაარსი და ლოგიკური გამართულობა შენარჩუნებულია.
2ქულა	წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის სათანადოდ მითითებული ან ციტირების წესი დარღვეულია; ტექსტში მრავლადაა გრამატიკული და ტერმინოლოგიური შეცდომები, რაც ართულებს წაკითხვას და არღვევს ტექსტის თანმიმდევრობას.

1 ქულა	წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის სათანადოდ მითითებული ან ციტირების წესი დარღვეულია; ტექსტში მრავლადაა გრამატიკული და ტერმინოლოგიური შეცდომები, რაც ართულებს წაკითხვას და არღვევს ტექსტის თანმიმდევრობას.
0 ქულა	გამოყენებული მასალა გაურკვეველი ან არასანდო წარმოშობისაა; წყაროები და ციტატები საერთოდ არ არის მითითებული; ტექსტი დაუმუშავებელია, ტერმინოლოგია არასწორია და შინაარსი პრაქტიკულად გაუგებარია.

რეცენზენტის შეფასების კრიტერიუმები:
30 ქულა

1. შერჩეული თემისა და პრობლემის აქტუალურობა- 5 ქულა	
5 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა ლოგიკურადაა განმარტებული და დასაბუთებული
4 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა ლოგიკურადაა განმარტებული, მაგრამ აკლია სიცხადე/დასაბუთება
3 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა განმარტებულია, მაგრამ ბოლომდე არ არის დასაბუთებული
2 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა ზედაპირულად და არაარგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული
1 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა ჩამოყალიბებულია არაკვალიფიციურად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე
0 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა არ არის ჩამოყალიბებული
2. ნაშრომის სტრუქტურა, ინფორმაციის სამართლებრივად გამოყენება, აკადემიური წერის კულტურა -5 ქულა	
5 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა ზედმიწევნით პასუხობს თემას. ტექსტში გამოყენებული ინფორმაციასამართლებრივ ჩარჩოშია, სხვისი ნაშრომებიდან ამონარიდები და ციტატები სწორადაა მითითებული; ნაშრომი დაწერილია შეცდომების გარეშე, გამართულად.
4 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა პასუხობს თემას, მაგრამ საჭიროებს დაზუსტებას. სხვისი ნაშრომებიდანამონარიდები და ციტატები კეთილსინდისიერადაა მითითებული; ნაშრომი დაწერილია შეცდომების გარეშე, სწორადაა გამოყენებული შესაბამისი ტერმინოლოგია.
3 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა ნაწილობრივ პასუხობს თემას, ინფორმაციის მცირე ნაწილის წყაროარაა მითითებული, ხოლო ციტირება ეთიკურად გამართულია; ნაშრომი დაწერილია უმნიშვნელო შეცდომებით, სწორადაა გამოყენებული შესაბამისი ტერმინოლოგია.
2 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა არ არის სათანადო დონეზე გადამუშავებული და გაანალიზებული, ინფორმაციის საკმაოდ დიდი ნაწილის წყარო დაუდგენელია, ხოლო ციტატების გარკვეულინაწილის წყარო არაკვალიფიციურადაა მინიშნებული; ტექსტში არსებული გრამატიკული შეცდომები ხელს უშლის წაკითხვას, ტექსტი გამართული არაა სტრუქტურულად.
1 ქულა	ნაშრომის სტრუქტურას აკლია შესაბამისობა და ხარისხი. ციტატები წყაროების გარეშეა მოყვანილი; ტექსტი შეიცავს უამრავ ტერმინოლოგიურ და აზრობრივ შეცდომებს, რის გამოც მისი შინაარსის გაგება გართულებულია.
1 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა საერთოდ არ შეესაბამება კვლევის მოთხოვნებს. გამოყენებულიინფორმაცია გაურკვეველი წარმოშობისაა, ციტატები წყაროების გარეშეა მოყვანილი; ტერმინები არასწორია და პრაქტიკულად მისი შინაარსი გაუგებარია.
3. კვლევის მეთოდოლოგია, მეთოდები და შერჩეული სამეცნიერო ლიტერატურა- მაქსიმუმ 10ქულა	

10 ქულა	კვლევის მეთოდები შერჩეულია კომპლექსურად და კვალიფიციურად; გამოყენებული მიდგომები სრულად შეესაბამება თემას და უზრუნველყოფს კვლევის მიზნების სრულ მიღწევას; შერჩეული ლიტერატურა და წყაროები მრავალმხრივია, ხარისხიანი და რელევანტური.
9 ქულა	გამოყენებული მეთოდები სწორადაა შერჩეული და დაკავშირებულია კვლევის მიზნებთან; ლიტერატურა შერჩეულია მიზანმიმართულად და თემასთან შესაბამისად, თუმცა საჭიროებს მცირე გაფართოებას ან დამატებით წყაროებზე მითითებას.
8 ქულა	მეთოდოლოგია შეესაბამება თემას და უზრუნველყოფს ძირითადი საკითხების ანალიზს, თუმცა გარკვეული ასპექტები მოითხოვს დამატებით დაზუსტებას ან მაგალითებით გამყარებას; ლიტერატურა ძირითადად რელევანტურია.
7 ქულა	კვლევის მეთოდები შერჩეულია საერთო დონეზე და დაკავშირებულია თემასთან, თუმცა მეთოდოლოგიური ახსნა არასაკმარისად არის წარმოდგენილი; ლიტერატურა მეტწილად შესაბამისია, მაგრამ ზოგიერთ საკითხზე ზედაპირულია.
6 ქულა	გამოყენებული მეთოდები ნაწილობრივ შეესაბამება კვლევის მიზნებს; ლიტერატურა შერჩეულია ფრაგმენტულად და სრულად ვერ უზრუნველყოფს კვლევის მოთხოვნებს.
5 ქულა	კვლევის მეთოდოლოგია აღწერილია ზოგადად და არ არის გამოკვეთილი კონკრეტული მიდგომები; ლიტერატურა შეზღუდულია და მოიცავს მხოლოდ ზოგად წყაროებს.
4 ქულა	შერჩეული მეთოდოლოგია არასაკმარისად შეესაბამება თემას; გამოყენებული ლიტერატურა ზედაპირულადაა გაანალიზებული და არ ქმნის სანდო საფუძველს კვლევისათვის.
3 ქულა	კვლევის მეთოდოლოგია დაუხვეწავია ან არასწორადაა შერჩეული; ლიტერატურა შეზღუდულია და თემასთან შესაბამისობა სუსტად არის წარმოჩენილი.
2 ქულა	გამოყენებული მეთოდები არ არის გამართული; ლიტერატურა შემთხვევითია და აკლია შინაარსობრივი შესაბამისობა თემასთან.
1 ქულა	მეთოდოლოგია არაკვალიფიციურადაა წარმოდგენილი; გამოყენებული მასალა და წყაროები თემასთან შეუსაბამოა.
0 ქულა	კვლევის მეთოდოლოგია საერთოდ არ არის განსაზღვრული; გამოყენებული ლიტერატურა და მასალა არ უკავშირდება თემას და არ აკმაყოფილებს კვლევის მოთხოვნებს.
4. კვლევის საბოლოო შედეგები - მაქსიმუმ 10 ქულა	
10 ქულა	შედეგები სრულად შეესაბამება დასახულ მიზნებს და ამოცანებს; დასკვნები მკაფიო, არგუმენტირებული და ლოგიკურად ჩამოყალიბებულია; ნაშრომი აჩვენებს თემის სწორად გააზრებას და არჩეული საკითხის შინაარსობრივ სრულყოფილებას.
9 ქულა	შედეგები მკაფიოდ აჯამებს ნაშრომის ძირითად საკითხებს; დასკვნები დასაბუთებულია და არგუმენტაცია თანმიმდევრულია, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროებს მცირე დაზუსტებას.
8 ქულა	შედეგები ზუსტად გამოხატავს კვლევის მიზანს, მაგრამ ზოგიერთ დასკვნაში არგუმენტაცია არასაკმარისად სრულადაა წარმოდგენილი.

7 ქულა	შედეგები ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული, თუმცა დასკვნები ზოგადადაა აღწერილი და არ აქვს მკაფიო აქცენტი კვლევის მიზნებზე.
6 ქულა	შედეგები ნაწილობრივ უკავშირდება კვლევის მიზნებს; დასკვნები ზოგადია და მოითხოვს დამატებით განმარტებას ან არგუმენტაციას.
5 ქულა	შედეგები ფორმალურად არის წარმოდგენილი და მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს ნაშრომის შინაარსს; დასკვნები არ არის სრულად დამაჯერებელი.
4 ქულა	შედეგები ზედაპირულადაა აღწერილი; დასკვნები ფრაგმენტულია და კავშირი თემასთან სუსტია.
3 ქულა	შედეგები ბუნდოვანია; დასკვნები არ ეყრდნობა ნაშრომის ძირითად ნაწილს და არგუმენტაცია არასაკმარისია.
2 ქულა	შედეგები და დასკვნები დაუზუსტებელია; მათ შორის არ არის მკაფიო ლოგიკური კავშირი.
1 ქულა	დასკვნები მხოლოდ ფორმალურადაა წარმოდგენილი და არ ასახავს კვლევის მიზნებს.
0 ქულა	შედეგები და დასკვნები საერთოდ არ არის წარმოდგენილი ან არ უკავშირდება ნაშრომის თემას.

თემატური სემინარის ნაშრომის დაცვის კომისიის წევრთა შეფასების კრიტერიუმები:
40 ქულა

1. შერჩეული თემისა და პრობლემის აქტუალურობა- 5 ქულა	
5 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა ლოგიკურადაა განმარტებული და დასაბუთებული.
4 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა ლოგიკურადაა განმარტებული, მაგრამ აკლია სიცხადე/დასაბუთება.
3 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა განმარტებულია, მაგრამ ბოლომდე არ არის დასაბუთებული
2 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა ზედაპირულად და არაარგუმენტირებულადაა ჩამოყალიბებული.
1 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა ჩამოყალიბებულია არაკვალიფიციურად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.
0 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა არ არის ჩამოყალიბებული.
2. ნაშრომის სტრუქტურა - 5 ქულა	
5 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა ზედმიწევნით პასუხობს თემის სათაურს.
4 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა პასუხობს თემის სათაურს, მაგრამ საჭიროებს დაზუსტებას.
3 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა ნაწილობრივ პასუხობს თემის სათაურს.
2 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა არ არის სათანადო დონეზე გადამუშავებული და გაანალიზებული.
1 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა აკლია შესაბამისობა და ხარისხი.
0 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა საერთოდარ შეესაბამება კვლევის მოთხოვნებს.
3. კვლევის მეთოდოლოგია, მეთოდები და შერჩეული სამეცნიერო ლიტერატურა- მაქსიმუმ 5 ქულა	

5 ქულა	კვლევის მეთოდები კომპლექსურად, კვალიფიციურად და სრულადაა შერჩეული. შერჩეული მეთოდოლოგიის საშუალებით მაგისტრანტი წარმატებით შეძლებს უპასუხოს კვლევისძირითად პრობლემატიკას, ხოლო შერჩეული მასალა და სამეცნიერო ლიტერატურა სრულად შეესაბამება კვლევის მოთხოვნებს.
4 ქულა	კვლევის მეთოდები კვალიფიციურადაა შერჩეული. შერჩეული მეთოდოლოგიის საშუალებით მაგისტრანტი შეძლებს უპასუხოს კვლევის ძირითად პრობლემატიკას, ხოლო შერჩეული მასალა და სამეცნიერო ლიტერატურა შეესაბამება კვლევის მოთხოვნებს, მაგრამსაჭიროებს შევსებას.
3 ქულა	კვლევის მეთოდები არასრულადაა შერჩეული. შერჩეული მეთოდოლოგიის საშუალებით მაგისტრანტი ვერ შეძლებს სრულად უპასუხოს კვლევის ძირითად პრობლემატიკას, ხოლო შერჩეული მასალა და სამეცნიერო ლიტერატურა მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს კვლევის მოთხოვნებს.
2 ქულა	შერჩეული მეთოდოლოგია მოძველებულია და შეუსაბამოა თემასთან. მაგისტრანტი ვერშეძლებს უპასუხოს კვლევის ძირითად პრობლემატიკას, ხოლო შერჩეული მასალა და სამეცნიერო ლიტერატურა არ არის სათანადო დონეზე გადამუშავებული და გაანალიზებული.
1 ქულა	კვლევის მეთოდები შერჩეულია არაკვალიფიციურად, ხოლო შერჩეული მასალა და სამეცნიერო ლიტერატურა არის შემთხვევითი, აკლია შესაბამისობა და ხარისხი.
0 ქულა	კვლევის მეთოდები საერთოდ არ არის შერჩეული, ხოლო შერჩეული მასალა და სამეცნიეროლიტერატურა საერთოდ არ შეესაბამება კვლევის მოთხოვნებს.
4. კვლევის საბოლოო შედეგები - მაქსიმუმ 10 ქულა	
10 ქულა	შედეგები სრულად შეესაბამება დასახულ მიზნებს და ამოცანებს; დასკვნები მკაფიო, არგუმენტირებული და ლოგიკურად ჩამოყალიბებულია; ნაშრომი აჩვენებს თემის სწორად გააზრებას და არჩეული საკითხის შინაარსობრივ სრულყოფილებას.
9 ქულა	შედეგები მკაფიოდ აჯამებს ნაშრომის ძირითად საკითხებს; დასკვნები დასაბუთებულია და არგუმენტაცია თანმიმდევრულია, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროებს მცირე დაზუსტებას.
8 ქულა	შედეგები ზუსტად გამოხატავს კვლევის მიზანს, მაგრამ ზოგიერთ დასკვნაში არგუმენტაცია არასაკმარისად სრულადაა წარმოდგენილი.
7 ქულა	შედეგები ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული, თუმცა დასკვნები ზოგადადაა აღწერილი და არ აქვს მკაფიო აქცენტი კვლევის მიზნებზე.
6 ქულა	შედეგები ნაწილობრივ უკავშირდება კვლევის მიზნებს; დასკვნები ზოგადია და მოითხოვს დამატებით განმარტებას ან არგუმენტაციას.
5 ქულა	შედეგები ფორმალურად არის წარმოდგენილი და მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს ნაშრომის შინაარსს; დასკვნები არ არის სრულად დამაჯერებელი.
4 ქულა	შედეგები ზედაპირულადაა აღწერილი; დასკვნები ფრაგმენტულია და კავშირი თემასთან სუსტია.
3 ქულა	შედეგები ბუნდოვანია; დასკვნები არ ეყრდნობა ნაშრომის ძირითად ნაწილს და არგუმენტაცია არასაკმარისია.
2 ქულა	შედეგები და დასკვნები დაუზუსტებელია; მათ შორის არ არის მკაფიო ლოგიკური კავშირი.
1 ქულა	დასკვნები მხოლოდ ფორმალურადაა წარმოდგენილი და არ ასახავს კვლევის მიზნებს.
0 ქულა	შედეგები და დასკვნები საერთოდ არ არის წარმოდგენილი ან არ უკავშირდება ნაშრომის თემას.
5. წყაროების გამოყენების სიზუსტე და აკადემიური წერის კულტურა - მაქსიმუმ 5 ქულა	
5 ქულა	ყველა გამოყენებული წყარო და ციტატა სათანადოდ და კეთილსინდისიერად არის მითითებული; ტექსტი გამართულია როგორც ენობრივად, ისე სტილისტურად; აზრები თანმიმდევრულად და მკაფიოდ არის გადმოცემული; გამოყენებულია სწორი

	ტერმინოლოგია და დაცულია აკადემიური წერის სტანდარტები.
4 ქულა	წყაროები და ციტატები ძირითადად სწორადაა მითითებული, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ფიქსირდება მცირე ფორმალური უზუსტობები; ტექსტი გამართულია, სტილი თანმიმდევრულია და ტერმინოლოგია გამოყენებულია სწორად, მცირე ხარვეზების მიუხედავად.
3 ქულა	ზოგიერთი წყაროს მითითება არასრულია ან ციტირების წესები ბოლომდე არ არის დაცული; ტექსტში შეინიშნება მცირე გრამატიკული ან სტილისტური უზუსტობები, თუმცა ნაშრომის საერთო შინაარსი და ლოგიკური გამართულობა შენარჩუნებულია.
2 ქულა	წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის სათანადოდ მითითებული ან ციტირების წესი დარღვეულია; ტექსტში მრავლადაა გრამატიკული და ტერმინოლოგიური შეცდომები, რაც ართულებს წაკითხვას და არღვევს ტექსტის თანმიმდევრობას.
1 ქულა	წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის სათანადოდ მითითებული ან ციტირების წესი დარღვეულია; ტექსტში მრავლადაა გრამატიკული და ტერმინოლოგიური შეცდომები, რაც ართულებს წაკითხვას და არღვევს ტექსტის თანმიმდევრობას.
0 ქულა	გამოყენებული მასალა გაურკვეველი ან არასანდო წარმოშობისაა; წყაროები და ციტატები საერთოდ არ არის მითითებული; ტექსტი დაუმუშავებელია, ტერმინოლოგია არასწორია და შინაარსი პრაქტიკულად გაუგებარია.
6. პრეზენტაციის უნარი - მაქსიმუმ 5 ქულა	
5ქულა	პრეზენტაციისას შინაარსობრივი, ფორმალური მხარე სრულყოფილია და აუდიტორიასთან კონტაქტი მაღალია. საკითხი ზუსტად არის დასმული და გადმოცემულია ამომწურავად, ჩატარებულია ღრმა ანალიზი და გაკეთებულია არგუმენტირებული დასკვნები. მაღალია პროექტის ვიზუალური გაფორმება და მაგისტრანტი სრულად ამყარებს აუდიტორიასთან ურთიერთობას და ყველა კითხვაზე ავლენს საფუძვლიან ცოდნას;
4 ქულა	შინაარსობრივი, ფორმალური მხარე სრულყოფილია და პრეზენტაციისას აუდიტორიასთან კონტაქტი მაღალია. საკითხი ზუსტადაა დასმული და გადმოცემულია ამომწურავად, ჩატარებულია ღრმა ანალიზი და გაკეთებულია არგუმენტირებული დასკვნები. მაღალია პროექტის ვიზუალური გაფორმება და მაგისტრანტი ამყარებს აუდიტორიასთან ურთიერთობას, მაგრამ ყველა კითხვაზე ვერ ავლენს საფუძვლიან ცოდნას;
3 ქულა	შინაარსობრივი მხარე სრულყოფილია, ფორმალური მხარე კი არასრულყოფილი. პრეზენტაციისას აუდიტორიასთან კონტაქტი დაბალია. საკითხი ზუსტად არის დასმული, მაგრამ არ არის გადმოცემული ამომწურავად. დოქტორანტს უჭირს აუდიტორიასთან ურთიერთობა, უმეტეს კითხვაზე ვერ ავლენს საფუძვლიან ცოდნას;
2 ქულა	შინაარსობრივი, ფორმალური მხარე არასრულყოფილია და პრეზენტაციისას აუდიტორიასთანკონტაქტი დაბალია. საკითხი ზუსტად არის დასმული, მაგრამ არ არის გადმოცემული ამომწურავად. საშუალოა პროექტის ვიზუალური გაფორმება, დოქტორანტს უჭირს აუდიტორიასთან ურთიერთობა, ავლენს მწირ ცოდნას;
1 ქულა	შინაარსობრივი, ფორმალური მხარე არასრულყოფილია. გადმოცემულია მხოლოდ ზოგიერთი საკითხი. მაგისტრანტი ვერ ახდენს მასალის პრეზენტაციას.
0 ქულა	პრეზენტაცია არაეფექტიანად არის შესრულებული და მაგისტრანტი საუბრობს თემისაგან გასხვავებულ საკითხებზე.
7. რეცენზენტის შენიშვნებზე და კომისიის შეკითხვებზე გაცემული პასუხების სიზუსტე და არგუმენტირებულობა- მაქსიმუმ 5 ქულა	
5ქულა	სტუდენტი დამაჯერებლად და არგუმენტირებულად პასუხობს კომისიის შეკითხვებს, მას სიღრმისეულად აქვს გააზრებული პასუხები რეცენზენტის შენიშვნებსა და რეკომენდაციებზე.

4 ქულა	სტუდენტი დამაჯერებლად პასუხობს კომისიის შეკითხვებს, თუმცა ზოგიერთ პასუხს აკლიაარგუმენტაცია. სტუდენტს გააზრებული აქვს პასუხები რეცენზენტის შენიშვნებზე და რეკომენდაციებზე.
3 ქულა	სტუდენტი პასუხობს კომისიის შეკითხვებს, თუმცა პასუხებს აკლია დამაჯერებლობა და არგუმენტაცია. რეცენზენტის შენიშვნებსა და რეკომენდაციებზე ყველა პასუხი გააზრებული არ არის.
2 ქულა	კომისიის შეკითხვებზე პასუხები არადამაჯერებელია და აკლია არგუმენტაცია. სტუდენტს არ აქვსგააზრებული და დამაჯერებლად ვერ პასუხობს რეცენზენტის შენიშვნებსა და რეკომენდაციებს.
1 ქულა	სტუდენტი გააზრებულად ვერ პასუხობს კომისიის მიერ დასმულ შეკითხვებს. არ არის სწორიპასუხები რეცენზენტის შენიშვნებსა და რეკომენდაციებზე.
0 ქულა	სტუდენტი ვერ პასუხობს კომისიის მიერ დასმულ შეკითხვებს, არ აქვს პასუხები რეცენზენტისშენიშვნებსა და რეკომენდაციებზე.

დანართი №6

დებულება
კავკასიის სამართლის სკოლის
დოქტორანტის მიერ თემატური სემინარის
გაფორმების, წარდგენისა და შეფასების წესის შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

წინამდებარე დებულება შემუშავებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული „კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების" შესაბამისად და განსაზღვრავს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტის მიერ თემატური სემინარის გაფორმების, წარდგენისა და შეფასების წესს.

მუხლი 2. თემატური სემინარი

2.1. კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტის მიერ თემატური სემინარის სტანდარტული ვერსია უნდა გაფორმდეს A4 ფორმატის თაბახის ფურცელზე, რომელსაც თან უნდა ახლდეს ორიგინალი ხელმოწერის თავფურცელი. იგი იბეჭდება ოთხ ეგზემპლარად და ბარდება სკოლის ადმინისტრაციას აკინძული სახით.

2.2. დოქტორანტი ამზადებს ორ თემატურ სემინარს და იცავს კომოსიის წინაშე.

2.3. დოქტორანტი არჩევს თემატური სემინარის თემას, წერს და იცავს სადისერტაციო თემას სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით და კონსულტაციით. სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებული თემის სათაურს დოქტორანტი განცხადების ფორმით წარმოადგენს რეგისტრაციის შემდეგ სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა, აღნიშნულს განიხილავს და თემის აქტუალურობაზე ვიზირებას აძლევს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/ სადოქტორო პროგრამის ადმინისტრაციული დირექტორი.

2.4. დოქტორანტის თემატური სემინარის თემა არ უნდა შეადგენდეს სადისერტაციო თემის ნაწილს.

თავი II
თემატური სემინარის გაფორმება

მუხლი 3. თემტური სემინარის მოცულობა და სტრუქტურა

3.1. თემატური სემინარის მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 50 და არაუმეტეს 65 გვერდისა, გაფორმებული წარმოდგენილი ინსტრუქციის შესაბამისად. რაოდენობაში იგულისხმება ყველა აკინძული გვერდი.

3.2. თემატური სემინარი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე ორთოგრაფიული, სტილისტური და გრამატიკული შეცდომების გარეშე.

3.3. თემატური სემინარის სტრუქტურის შერჩევა წარმოებს ავტორის მიერ თემატიკის მიხედვით.

3.4. თემატური სემინარი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ^2 სიმკვრივის ქაღალდზე, ორიენტაცია – ვერტიკალური. ბეჭდვა წარმოებს მხოლოდ ერთ გვერდზე. ფოტოსურათები და სხვა განსაკუთრებული დანიშნულების ცხრილები შესაძლებელია შესრულებულ იქნას A4 ფორმატის ფოტოგრაფიულ ქაღალდზე. უფრო დიდი ფორმატის თაბახის გამოყენების შემთხვევაში (მაგ. ცხრილებისათვის) დასაშვებია ნებისმიერი ფორმატის გამოყენება, მხოლოდ აღნიშნული გვერდები არ უნდა აიკინძოს ძირითად ტექსტთან ერთად.

3.5. თემატური სემინარის გვერდის ველი ზედა და ქვედა კიდიდან 2 სმ-ით უნდა იყოს დაშორებული, მარცხენა კიდიდან - 3 სმ-ით, მარჯვენა კიდიდან - 1.5 სმ-ით.

3.6. თემატური სემინარის ტექსტის ძირითადი ნაწილი უნდა შესრულდეს Sylfaen შრიფტით, ზომით 12. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში გამოყენებულ უნდა იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. თავის სათაურის შრიფტის ზომა 14 Bold, ქვეთავის სათაურისა 12 Bold. თავის სათაური ტექსტისგან

გამოიყოფა 3 ინტერვალის გამოტოვებით, ქვეთავის სათაური თავის სათაურსა და ტექსტისგან გამოიყოფა 2-2 ინტერვალის გამოტოვებით. შემჭიდროვებული ტიპის შრიფტები არ მიიღება. ტექსტის ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით.
3.7. თემატური სემინარის ყველა გვერდი უნდა იქნას დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ასევე დაუშვებელია გვერდების განმეორება. გვერდის ნომრების შრიფტის მინიმალური ზომა არის 10. შესავალი გვერდები, გარდა სატიტულო გვერდისა, ინომრება ქვედა მარჯვენა კიდეში დაბალი რეგისტრის რომაული ციფრებით (I, II, III და ა. შ.). ნაშრომის სხვა დანარჩენი ნაწილი ინომრება არაბული ციფრებით. გვერდის ნომერი ფურცლის ქვედა კიდიდან დაშორებული უნდა იყოს 1.3 სმ–ით, ხოლო მარჯვენა კიდიდან 2.5 სმ–ით.
3.8. ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. მცირე ზომის სექციებისათვის (შინაარსი, ცხრილების ნუსხა, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა და სხვა) აიღება ინტერვალი 1. აბზაცები ერთმანეთისგან გამოიყოფა თითო ინტერვალის გამოტოვებით, ცხრილები და გრაფიკები ტექსტისგან გამოიყოფა 2-2 ინტერვალის გამოტოვებით.
3.9. თემატური სემინარი ყველა თავის და ქვეთავის დასახელება უნდა იქნას ჩართული სარჩევში. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან.
3.10. სადისერტაციო ნაშრომში აბრევიატურის გამოყენებისას, პირველ შემთხვევაში ის უნდა იყოს გაშიფრული, რის შემდეგაც ფრჩხილებში მიეთიება აბრევიატურა, რომელიც შემდგომ იქნება გამოყენებული (მაგ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (შედგომში - სსკ); ამავე პრინციპით სათაურის ერთზე მეტად გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია აბრივიატურის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემოკლება სიმბოლოთა სრულიად უჩვეულო კომბინაციას ქმნის.
3.11. სადისერტაციო ნაშრომში სქოლიო უნდა განთავსდეს გვერდის ბოლოს. შრიფტის ზომა – 10 პუნქტი. სქოლიოს გვერდის ბოლოში განთავსებისას ნუმერაცია წარმოებს არაბული ციფრებით.
ძირითად ტექსტში ბიბლიოგრაფიული სქოლიოს მითითება წარმოებს „ფუტნოტის“ პრინციპით.

მუხლი 4. სქოლიოს გაფორმების წესი
4.1. სამართლებრივი აქტის გამოყენებისას აუცილებელია სქოლიოში მიეთითოს მისი სრული დასახელება და წყარო, რომელშიც ის გამოქვეყნდა, აგრეთვე თარიღი და გვერდი.
4.2. ლიტერატურული წყაროების გამოყენებისას აუცილებელია მიეთითოს:
ა. წიგნისთვის - ავტორის (ავტორების) გვარი, სახელის ინიციალი, წიგნის სათაური (უბრჭყალებოდ), ნაწილის, ტომის ნომერი (თუ საჭიროა), გამოცემის ადგილი, წელი, გვერდი (გვ.-ს გარეშე).
ბ. კრებულის სტატიისთვის - სტატიის ავტორის (ავტორების) გვარი, სახელის ინიციალი, სტატიის სათაური (უბრჭალებოდ), კრებულის სახელწოდება (უბრჭალებოდ), მითითებით, თუ ვისი რედაქციით გამოდის, ნაწილის, ტომის ნომერი (თუ საჭიროა), გამოცემის ადგილი, წელი, გვერდი (გვ.-ს გარეშე).
გ. ჟურნალის სტატიისთვის - სტატიის ავტორის (ავტორების) გვარი, სახელის ინიციალი, სტატიის სათაური (უბრჭალებოდ), პერიოდიკის სახელი შემოკლებით (ჟურნ., გაზ.,) სახელწოდება (ბრჭყალებში) ნომერი, წელი (თვე, რიცხვი), გვერდი (გვ.-ს გარეშე); უცხოური წყაროების ყველა ბიბლიოგრაფიული ელემენტი უნდა მიეთითოს ორიგინალის ენაზე, ან იმ ენაზე, რომელზეც მას ეცნობა ავტორი (შესაბამისი ოფიციალური თარგმანის მითითებით).
დ. სქოლიოში აუცილებელია ერთიანი სისტემის დაცვა: ავტორი და ნაშრომის სათაური გამოიკვეთოს სიტყვათა სხვადასხვა დახრილობით (მაგ., ავტორი - დახრით, დანარჩენი ინფორმაცია - გამართულად, ასევე დახრით მიეთითოს ყველა გამოყენებული გვარი, მაგ., რედაქტორის), ამავე დროს, ყველა ერთეული (გარდა გვარისა და სახელის ინიციალისა) ერთმანეთისგან გამოიყოფა მძიმით და სქოლიოს ბოლოს დაისმის წერტილი.
✓ *ივანიძე მ.,* ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში. თბ., 2016, 342.
✓ *შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ.,* სასჯელაღსრულების სამართალი (სახელმძღვანელო) თბ., 2014, 472.
ე. მასალა, რომელიც მოპოვებულია ინტერნეტის საშუალებით, საჭიროებს შესაბამისი ინტერნეტგვერდისა და ბოლო განახლების თარიღის მითითებას; სტატიის შემთხვევაში უნდა მიეთითოს ავტორის გვარი, სტატიის სათაური, ინტერნეტგვერდი, თარიღი. სამკუთხედ ფრჩხილებში

(<....>) მიეთითება ელექტრონული მისამართი, კვადრატულ ფრჩხილებში ([....]) კი ბოლო განახლების თარიღი.
ვ. საერთაშორისო სასამართლოსა და სხვა ქვეყნების გადაწყვეტილებებისათვის:
Court of Justice
მაგ. Case 16/62, Van Gen en Loos, [1963] ECR 95.
European Court of Human Right
მაგ. Kostovski v. The Netherlands, [1990] ECHR (Ser. A.), 221.
International Court of Justice
მაგ. Maritime Delimitation and territorial Questions Between Qatar and Bahrin, [1995] ICJ Report.
საქმეებისა და მათი გადაწყვეტილებების ტექსტში გამოიყენება ქართულად, სრულად კი ორიგინალის ენაზე შეიძლება იქვე მიეწეროს, ან სქოლიოში მიეთითოს შემდეგი თანმიმდევრობით: მხარე მხარის წინააღმდეგ, წელი, გამომქვეყნებელი ორგანო, გვერდი, სასამართლო.
მაგ. დიდი ბრიტანეთის სასამართლოებისთვის: საქმე არგელი არგელის წინაღმდეგ (Arggyll v Argyll, [1967] 1 Ch 302, 324, 332)).
აშშ-ის სასამართლოებისთვის: საქმე ბრაუნი განათლების საბჭოს წინააღმდეგ (Brown v Board of Education, 347 US 483 (19540))
ზ. ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებისათვის აუცილებელია ოფიციალური ეროვნული სტილის შენარჩუნება. ერთგვაროვანი ეროვნული მიდგომის არარსებობის შემთხვევაში ავტორმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი წესით: საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებების გამოყენებისას უნდა გამოიყოს შემთხვევები - 1. გადაწყვეტილება გამოქვეყნებულია, 2. შესაძლებელია მისი გაცნობა ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში, 3. ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში - და ჩამოყალიბდეს ერთიანი მიდგომები.
თ. საერთაშორისო ორგანიზაციათა დოკუმენტების დამოწმების წესი გამოიყენება იმ სტილით, რომელიც გამოყენებულია ოფიციალურად საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ (იხ. ოფიციალური ვებ-გვერდები).
ი. კონვენციები და საერთაშორისო ხელშეკრულებები მიეთითება, მაგ.: 1985 Vienna Convention for the Protection of the Ozone Layer.
კ. უცხოური ტერმინები და გამოთქმები უნდა გადმოიცეს სქოლიოში, თუ ნაშრომის უშუალო მიზანი არ არის ტერმინის წარმოშობის დადგენა.
ლ. ქართული ტექსტისთვის უნდა გამოვიყენოთ ,,ქვედა'' და ,,ზედა'' (,,...'') ბრჭყალები, უცხოენოვანი ტექსტისთვის - ,,ზედა'' ('...'') ბრჭყალები.
მ. ციტირებული ტექსტის ბოლოს სასვენი ნიშნები - წერტილი, ორწერტილი, წერტილ-მძიმე, კითხვისა და ძახილის ნიშნები - დაისმის ბრჭყალის წინ, როცა ისინი ასრულებენ წინადადებას, თუ ბრჭყალის შემდეგ, კონტექსტის მიხედვით, თუ ეს ბრჭყალი ეკუთვნის ცალკეულ სიტყვას ან ფრაზას. როდესაც სიტყვასთან ერთად თავს იყრის ბრჭყალი, სასვენი ნიშანი და სქოლიოს ნიშანი, უნდა დავიცვათ შემდეგი თანმიმდევრობა: 1. ბრჭყალი, 2. სასვენი ნიშანი, 3. სქოლიოს ნიშანი; ციტირებული ტექსტის (წინადადების) ბოლოს კი: 1. სასვენი ნიშანი, 2. ბრჭყალი, 3. სქოლიოს ნიშანი. ერთად არ იწერება ორი ბრჭყალი. ფრჩხილების შემთხვევაში კი შეიძლება მათი განსხვავებული ფორმების გამოყენება.
ნ. სქოლიოში იმავე წყაროზე მითითებისას, რომელიც უკვე გამოყენებული იყო, საჭიროა გამოიყოს შემდეგი შემთხვევები:
1) ზუსტად წინა სქოლიოში მითითებული წყაროს ნაცვლად მიეთითება ,,იქვე''. ,,იქვეს'' შემდეგ კი (თუ საჭიროა) მიეთითება განსხვავებული მონაცემები (ტომი, წელი, გვერდი);
2) მანამდე მითითებული, მაგრამ არა წინამდებარე, წყაროს გამოყენებისას უნდა მიეთითოს ამ წყაროს სრული დასახელება შესაბამისი გვერდით.
5. თემატური სემინარის შემადგენელი ნაწილები
5.1. თემატური სემინარის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:
ა. ფორმალური ნაწილი:
ა.ა. სატიტულო გვერდი;
ა.ბ. ხელმოწერების გვერდი;
ა.გ. საავტორო უფლების გვერდი;
ა.დ. რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე;
ა.ე. სარჩევი;

ბ. შინაარსობრივი ნაწილი:
ბ.ა. შესავალი;
ბ.ბ. ძირითადი ტექსტი;
ბ.გ. დასკვნა.
გ. ბიბლიოგრაფია.
5.2. თემატური სემინარის დამატებითი ნაწილებია:
ა. ცხრილების ნუსხა;
ბ. დანართები.

მუხლი 5. თემატური სემინარის სატიტულო გვერდი
სატიტულო გვერდი (გარე ყდა) უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. იგი აუცილებლად უნდა მოიცავდეს თემატური სემინარის დასახელებას, ავტორისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელსა და გვარს. ასევე, ტექსტს „კავკასიის უნივერსიტეტი“, „ქ. თბილისი, 0102, საქართველო“. მასზე ასევე უნდა განთავსდეს თვე და წელი, როდესაც არის დანიშნული თემატური ნაშრომის მოხსენება. აღნიშნული გვერდის ნომერი არის (I), თუმცა იგი არ მიეთითება.

მუხლი 6. თემატური სემინარის საავტორო უფლების გვერდი
საავტორო უფლების გვერდი (გვერდი II) უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. თემატური სემინარის სტანდარტული ვერსიის ორიგინალს უნდა ჰქონდეს ავტორის ორიგინალი ხელმოწერა. აღნიშნული გვერდი განკუთვნილია იმისათვის, რომ კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას მიანიჭოს განკარგვის (არაკომერციული მიზნებით გავრცელების, რეფერირების და სხვა) უფლება. აღნიშნული გვერდი უნდა მოიცავდეს ტექსტს: „კავკასიის უნივერსიტეტი“, სკოლის ადმინისტრაციაში მისი წარდგენის წელს, ავტორის გვარს, სახელს, თემის დასახელებას, სკოლის დასახელებას, საძიებელ აკადემიურ ხარისხს. იგი ასევე უნდა მოიცავდეს სტანდარტულ ტექსტებს “ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოაღნიშნული დასახელების თემატური სემინარის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში, მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს კავკასიის უნივერსიტეტს“ და „ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და მთლიანი თემატური სემინარის ან/და მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.“

მუხლი 7. თემატური სემინარის რეზიუმე
რეზიუმე უნდა მოიცავდეს თემატური სემინარის მოკლე მიმოხილვას. მასში მკაფიოდ უნდა იყოს გადმოცემული შესრულებული სამუშაოს მოკლე შინაარსი და ძირითადი მიღწევები. რეზიუმე არ შეიცავს სქოლიოს, ცხრილებს, სქემებს, და სხვა. რეზიუმეს მოცულობა უნდა იყოს 200-დან 400 სიტყვამდე. სტრიქონებს შორის ინტერვალი აიღება ერთის ტოლად.

მუხლი 8. თემატური სემინარის შინაარსი
თემატური სემინარი უნდა შეიცავდეს სარჩევს (შინაარსს), სადაც მიეთითება შესავალი, ყველა თავი, ქვეთავი, დასკვნა, ბიბლიოგრაფია. ინტერვალი უნდა იყოს 1. შრიფტის ზომა - 12 პუნქტი. აბზაცებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 6-12 პუნქტი. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „ .“, „– “, „_ “.

მუხლი 9. თემატური სემინარის ტექსტი
9.1. ნაშრომის ძირითადი ტექსტი უნდა დაიყოს თავებად და სხვადასხვა დონის ქვეთავებად. იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შესავალს, ძირითად ტექსტსა და დასკვნას.
9.2. **შესავალი** თემატური სემინარის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა წარმოჩნდეს საკვლევი პრობლემატიკა, განისაზღვროს კვლევის აქტუალობა, მისი მიზანი და ამოცანები, ჩამოყალიბდეს

ჰიპოთეზა (ავტორისეული მეცნიერული ვარაუდი, რის დამტკიცებასაც ის კვლევის შედეგად მოელის), მეთოდოლოგია (გამოყენებული კვლევის მეთოდების რელევანტურობის დასაბუთებით და იმის ჩვენებით, თუ ნაშრომთან მიმართებით რა მიზნით იქნა გამოყენებული ყოველი კონკრეტული მეთოდი). შესავალის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის 5%-ს.

9.3. **ძირითადი ტექსტი** იყოფა თავებად და ქვეთავებად. მათში უნდა აისახოს კვლევის თეორიული კონტექსტი და თემასთან დაკავშირებული წყაროების მიმოხილვა, მათში განვითარებული წინააღმდეგობრივი იდეები, სადავო საკითხები, დეტალურად უნდა იქნას აღწერილი ჩატარებული კვლევა, გამოიკვეთოს მისი შედეგები, საკუთარი მეცნიერული მიგნებები, ახალი შეხედულებები და მიდგომები.

9.4. თემატური სემინარის შედეგების განსჯის სტრუქტურა დამოკიდებულია თემატური სემინარის თემატიკაზე და ავტორს უფლება აქვს იგი წარმოადგინოს მისთვის სასურველი ფორმით. იგი არ არის შეზღუდული ქვეთავების რაოდენობით.

9.5. დასკვნით ნაწილში კომპაქტურად ჯამდება კვლევის შედეგები, იკვეთება ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, წარმოჩნდება მეცნიერული სიახლე, განისაზღვრება რეკომენდაციები იმპლემენტაციის არეალისა და მათი გამოყენების ეფექტურობის ჩვენებით.

მუხლი 10. ბიბლიოგრაფიის შედგენის წესი

10.1. ბიბლიოგრაფია თემატურ სემინარში კონსოლიდირებული სახით უნდა იყოს წარმოდგენილი და ნუმერირებული.

10.2. უპირველესად უნდა განთავსდეს ქართულენოვანი ნორმატიული მასალა (მიღების თარიღის მითითებით), შემდეგ ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა ანბანური წესით. ქართულენოვან სამეცნიერო წყაროებს უნდა მოსდევდეს ქართულენოვანი სასამართლო გადაწყვეტილებები (უახლესიდან უძველესისკენ). ქართულენოვანი წყაროების შემდეგ, იმავე თანმიმდევრობით უპირველესად განთავსდება უცხოენოვანი ნორმატიული მასალა, უცხოენოვანი სამეცნიერო წყაროები, ელექტრონული ბმულები და უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებები. სამეცნიერო ლიტერატურის ბოლოს მიეთითება შესაბამისი გვერდები. ერთიდაიმავე წყაროს ნაშრომში სხვადასხვა გვერდების მითითებით რამდენჯერმე გამოყენების შემთხვევაში, ბიბლიოგრაფიაში ერთხელ მიეთითება შესაბამისი წყარო და ყველა გვერდის ჩამონათვალი, რომელთა გამოყენებაც განხორციელდა ნაშრომში.

მუხლი 11. თემატური სემინარის დამატებითი ნაწილები

11.1. თუ თემატურ სემინარს თან ერთვის ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების ნუსხა, იგი უნდა განთავსდეს ნაშრომის შესავალ ნაწილში სარჩევის (შინაარსის) შემდეგ. ინტერვალი უნდა იყოს 1.5. აბზაცი, რომლის სიგრძეც აღემატება ერთ სტრიქონს, ინტერვალის ზომად აიღება 1. შრიფტის ზომა უნდა იყოს 12. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „.“, „–“, „_“.

11.2. ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების შემცველობა, ადგილმდებარეობა და ფორმატირება განპირობებულია ნაშრომის სპეციფიკით. სხვა ლიტერატურული წყაროებიდან აღებული ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების გამოყენებისას არ უნდა იქნას დარღვეული საავტორო უფლებები. ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები და სქემები აიგება შავ–თეთრად, ასევე დასაშვებია ფერადი დიაგრამებისა და ილუსტრაციების გამოყენება.

11.3. ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების დასახელებები უნდა განთავსდეს უშუალოდ მათ თავზე ან ბოლოში. შრიფტის ზომად გამოყენებული უნდა იქნას ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომაზე 1 პუნქტით ნაკლები. დასაშვებია ნახევრად მუქი შრიფტის გამოყენება. ინტერვალი აიღება 1–ის ტოლი.

11.4. ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები, ილუსტრაციები და მათი დასახელებები შეიძლება განთავსდეს როგორც ძირითად ტექსტში, ისე ცალკეულ ინდივიდუალურ გვერდზე დანართების სახით. ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები და ილუსტრაციები ტექსტიდან დაცილებული უნდა იყოს 1.5-2 სმ-ით. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია ფურცლის ჰორიზონტალური ორიენტაცია. ჰორიზონტალური გვერდების მინდორი და გვერდის ნუმერაცია უნდა იყოს ვერტიკალური გვერდების ანალოგიური.

11.5. თუ თემატურ სემინარს დანართების სახით თან ერთვის მონაცემთა ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები და ილუსტრაციები, ისინი უნდა განთავსდეს ნაშრომში ბიბლიოგრაფიის შემდეგ. ამასთან, ძირითად ტექსტში არსებული მონაცემთა ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემების და ილუსტრაციების ნუმერაცია წარმოებს გამჭოლად. დანართში არსებული ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემების და ილუსტრაციების ნუმერაცია იწყება თავიდან.
11.6. თემატურ სემინარში გამოყენებული ისეთი აბრევიატურებისათვის, რომელიც არ არის საყოველთაოდ მიღებული, სასურველია ავტორის მიერ მოცემულ იქნას მათი ჩამონათვალი და ახსნა, რაც ნაშრომს ადვილად აღსაქმელს გახდის. გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა თემატურ სემინარში უნდა განთავსდეს შესავალ ნაწილში ნაშრომის სარჩევის (შინაარსის) ან ცხრილების ნუსხის შემდეგ.
11.7. ავტორის სურვილის მიხედვით შესაძლებელია ნაშრომს დაერთოს ანბანური საძიებელი. ანბანური საძიებელი უნდა განთავსდეს ნაშრომის შესავალ ნაწილში სარჩევის (შინაარსის) ან ცხრილების ნუსხის ან გამოყენებული აბრევიატურების ნუსხის შემდეგ.

მუხლი 12. თემატურ სემინარის ელექტრონული ვერსია
თემატური სემინარი უნდა ჩაიწეროს pdf ფორმატში CD-ROM დისკზე ან მეხსიერების ბარათზე. დისკზე უნდა იქნას მითითებული ავტორის სახელი და თემატური სემინარის დასახელება.

თავი III
თემატური სემინარის წარდგენა

მუხლი 13. თემატური სემინარის წარდგენა და რეცენზირება
1. თემატურ სემინარზე შემოდგომის სემესტრის რეგისტრაციის შემთხვევაში წარმოდგენის ბოლო ვადა არის 20 დეკემბერი, გაზაფხულის სემესტრის შემთხვევაში - 20 მაისი.
2.თემატური სემინარი სკოლის ადმინისტრაციას გადაეცემა 4 (ოთხ) აკინძულ და 1 ელექტრონულ ეგზემპლარად.
3.თემატურ სემინარს თან უნდა ერთვოდეს ხელმძღვანელის შეფასების ფორმა, წერილობითი დასკვნა და ასევე დასკვნა იმის შესახებ, რომ turnitinis პროგრამაზე ნაშრომის შემოწმების შედეგედ არ გამოვლინდა პლაგიატის შემთხვევა.
4.თემატური სემინარი დაცვაზე არ დაიშვება ნაშრომი, ხელმძღვანელის 13.3. მუხლში გათვალისწინებული დასკვნების გარეშე.
5. სამართლის სკოლა წარმოდგენილ ნაშრომს რეცენზიისათვის უგზავნის შესაბამისი კომპეტენციის სამართლის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირს, რომელიც წარმოადგენს ნაშრომის შეფასების ფორმას და წერილობით დასკვნას არა უგვიანეს 10 დღისა.
6. თემატური სემინარის საჯარო დაცვაზე დაშვების წინაპირობაა შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულის 59%-იანი მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა. შუალედური შეფასება გამოითვლება თემატური სემინარის ხელმძღვანელისა და რეცენზენტის მიერ მინიჭებული ქულების შეკრებით და შეადგენს მაქსიმუმ 60 ქულას.
7. თუ თემატურმა სემინარმა ვერ გადალახა შუალედური შეფასების მინიმალური (59%) ზღვარი, სტუდენტი განმეორებით უნდა დარეგისტრირდეს აღნიშნულ კომპონენტზე.

მუხლი 14. თემატური სემინარის კომისია
14.1. სამართლის სკოლის დეკანი თემატური სემინარის დასაცავად, დაცვამდე 15 დღით ადრე, ქმნის კომისიას.
14.2. კომისია შედგება 5 წევრისაგან, რომლებსაც აქვთ შესაბამისი მიმართულების დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. თემატური სემინარის ხელმძღვანელი და რეცენზენტი დასკვნითი შეფასების განსაზღვრაში არ მონაწილეობენ; ისინი კომისიის სხდომას შეიძლება დაესწრონ სათათბირო ხმის უფლებით.
14.3. კომისიას ხელმძღვანელობს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი.
14.4. კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება სულ მცირე კომისიის სამი წევრი.

მუხლი 15. თემატური სემინარის დაცვის პროცედურა

15.1. თემატური სემინარის დაცვა ხორციელდება კომისიის საჯარო სხდომაზე. დაცვის თარიღი, დრო და ჩატარების ადგილი, ხოლო დისტანციური ფორმით ჩატარების შემთხვევაში — დასწრების შესაბამისი ელექტრონული ინფორმაცია, წინასწარ განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

15.2. პრეზენტაციის (სლაიდების) ელექტრონული ვერსია ეგზავნება დოქტორანტურის აკადემიურ მენეჯერს ნაშრომის განხილვამდე 2 დღით ადრე. ნაშრომის ყდაში ჩასმული ორი ეგზემპლარი, წარმატებით დაცვის შემთხვევაში, ბარდება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას.

15.3. თემატური სემინარის დაცვა ხორციელდება მოწესრიგებულ გარემოში. კომისიის თითოეულ წევრისთვის მზადდება ფირნიში გვარის, სახელისა და სამეცნიერო ხარისხის მითითებით;

15.4. სხდომას ხსნის და ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის და რეცენზენტის წერილობით დასკვნებს წარმოადგენენ თემატური სემინარის ხელმძღვანელი და რეცენზენტი, ხოლო მათი არ ყოფნის შემთხვევაში - კომისიის თავმჯდომარე. დასკვნები თან ერთვის სხდომის ოქმს. წერილობითი დასკვნები უნდა შეიცავდეს რეკომენდაციას თემატური სემინარის დაცვაზე დაშვების თაობაზე.

15.5. აღნიშნულის შემდეგ, სიტყვა გადაეცემა დოქტორანტს, რომელიც წარმოადგენს განხორციელებული კვლევის შედეგებს როგორც ზეპირი მოხსენების, ისე სლაიდების საშუალებით. მოხსენების ხანგრძლივობას განსაზღვრავს კომისია;

15.6. მოხსენების შემდეგ, კომისიის თავმჯდომარე ხსნის სამეცნიერო დისკუსიას (კითხვა-პასუხის რეჟიმი). სამეცნიერო დისკუსიის შემდეგ, სიტყვა ეძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელს. კომისიის წევრები და კომისიის თავმჯდომარე სიტყვით გამოდიან სურვილისამებრ;

15.7. დოქტორანტს ეძლევა საბოლოო სიტყვის თქმის უფლება, რის შემდეგაც კომისიის თავმჯდომარის თხოვნით, დამსწრე საზოგადოება ტოვებს აუდიტორიას და კომისიის წევრები იწყებენ დადგენილი ფორმატით მოხსენების შეფასებას (ანკეტების შევსებას);

15.8. თემატური სემინარის შეფასების საბოლოო ქულა გამოცხადდება დოქტორანტის თანდასწრებით;

15.9. თემატური სემინარის დაცვის, მის მსვლელობის და საბოლოო შეფასების თაობაზე უნდა გაფორმდეს თემატური სემინარის დაცვის ოქმი. სხდომის ოქმი, პრეზენტაციისა და ნაშრომის ელექტრონული ვერსია ბარდება სამართლის სკოლის დეკანს, სხდომის ჩატარებიდან 7 დღის ვადაში.

მუხლი 16. თემატური სემინარის შეფასება

16.1. თემატური სემინარი წარმატებით დასრულებულად ითვლება, თუ დოქტორანტი ცალ-ცალკე გადალახავს შუალედური და დასკვნითი შეფასებებისათვის განსაზღვრულ მინიმალურ კომპეტენციის ზღვრებს და შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულათა ჯამით მიიღებს არანაკლებ 60 ქულას. ერთიანი საბოლოო შეფასება გამოითვლება შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულათა შეკრებით.

16.2. თემატური სემინარი ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შუალედური შეფასების ფარგლებში თემატური სემინარის ხელმძღვანელი ნაშრომს აფასებს მაქსიმუმ 30 ქულით (დანართი №5.1), ხოლო რეცენზენტი — მაქსიმუმ 30 ქულით (დანართი №5.2). მათი შეფასებების ქულათა ჯამი წარმოადგენს შუალედურ შეფასებას, რომლის მაქსიმალური ქულაა 60. დასკვნითი შეფასების ფარგლებში კომისია საჯარო დაცვას აფასებს მაქსიმუმ 40 ქულით (დანართი №5.3); კომისიის წევრთა მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკული წარმოადგენს დასკვნით შეფასებას. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 24 ქულა. თემატური სემინარის შეფასების დეტალური კრიტერიუმები და ქულობრივი აღწერები განსაზღვრულია დანართი №5.4-ით. თემატური სემინარი მოიცავს 20 ECTS კრედიტს — 500 საათს, მათ შორის: ნაშრომის მომზადება და პრეზენტაცია — 25 საათი; ხელმძღვანელთან კონსულტაცია — 30 საათი; დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობა — 445 საათი.

16.3. თემატური სემინარის უარყოფითად შეფასების შემთხვევები და შედეგები განისაზღვრება შემდეგნაირად: ა) თუ დოქტორანტი ვერ გადალახავს შუალედური შეფასებისათვის განსაზღვრულ მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს, იგი საჯარო დაცვაზე არ დაიშვება და განმეორებით რეგისტრირდება შესაბამის სასწავლო კომპონენტზე; ბ) თუ დოქტორანტი საჯარო დაცვაზე მიიღებს დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის 41%-დან 59%-ის ჩათვლით შეფასებას, მას უფლება აქვს, უნივერსიტეტის შესაბამისი სამართლებრივი აქტითა და სასწავლო პროცესის ვადებით განსაზღვრული წესით, ერთხელ წარადგინოს ნაშრომი დამატებით საჯარო დაცვაზე; გ) თუ

დოქტორანტი საჯარო დაცვაზე მიიღებს დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის 0%-დან 40%-ის ჩათვლით შეფასებას, მას უფიქსირდება შეფასება „F“ და კარგავს იმავე ნაშრომზე მუშაობის უფლებას.

ბ) თემატურ სემინარში უარყოფითი (0%-40%ის) შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს გაუფორმდება შეფასება F და იგი კარგავს იმავე ნაშრომზე მუშაობის უფლებას. უარყოფითად შეფასებული ნაშრომის ერთი პირი და კომისიის წევრთა წერილობითი შეფასებები შესანახად გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს.

დანართი №7

ინსტრუქცია
კავკასიის სამართლის სკოლის
დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის
მოცულობის, ფორმატის, სტილისა და სხვა ტექნიკური მონაცემების შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ინსტრუქციის რეგულირების სფერო
წინამდებარე ინსტრუქცია შემუშავებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული "კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების" შესაბამისად და განსაზღვრავს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის მოცულობის, ფორმატის, სტილისა და სხვა ტექნიკური მონაცემების წესს.

მუხლი 2. სადისერტაციო ნაშრომი
2.1. სადისერტაციო ნაშრომი არის დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგი. სადისერტაციო ნაშრომი უნდა ასახავდეს კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგ(ებ)ს, რომელსაც გააჩნია თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობა და წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში.
2.2. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი უნდა შესრულდეს ორთოგრაფიული, სტილისტური და გრამატიკული შემცდომების გარეშე, წინამდებარე ინსტრუქციით დადგენილი ფორმისა და წესის მიხედვით.
2.3. დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომის ოთხ აკინძულ ბეჭდურ პირს და მის ელექტრონულ ვერსიას წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს „კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით" განსაზღვრული წესითა და ვადებით.

თავი II. სადისერტაციო ნაშრომის გაფორმება
მუხლი 3. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა
3.1. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს, დისერტაციის ტექსტის არანაკლებ 120 და არაუმეტეს 200 გვერდისა, გაფორმებული წარმოდგენილი ინსტრუქციის შესაბამისად.
3.2. სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურის შერჩევა წარმოებს ავტორის მიერ თემატიკის მიხედვით.
3.3. სადისერტაციო ნაშრომი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ^2 სიმკვრივის ქაღალდზე. ორიენტაცია – ვერტიკალური. ბეჭდვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ერთ გვერდზე. ფოტოსურათები და სხვა განსაკუთრებული დანიშნულების ცხრილები შესაძლებელია შესრულებულ იქნას A4 ფორმატის ქაღალდზე. უფრო დიდი თაბახის ფურცლის გამოყენების შემთხვევაში (მაგ. სქემებისათვის) დასაშვებია ნებისმიერი ფორმატის გამოყენება, მხოლოდ აღნიშნული გვერდები არ უნდა აიკინძოს ძირითად ტექსტთან ერთად.
3.4. სადისერტაციო ნაშრომის გვერდის ველი ზედა და ქვედა კიდიდან 2 სმ-ით უნდა იყოს დაშორებული, მარცხენა კიდიდან - 3 სმ-ით, მარჯვენა კიდიდან - 1.5 სმ-ით.
3.5. სადისერტაციო ნაშრომის ტექსტის ძირითადი ნაწილი უნდა შესრულდეს Sylfaen შრიფტით, ზომით 12. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში გამოყენებულ უნდა იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. თავის სათაურის შრიფტის ზომა 14 Bold, ქვეთავის სათაურის - 12 Bold. თავის სათაური ტექსტისგან გამოიყოფა 3 ინტერვალის გამოტოვებით, ქვეთავის სათაური თავის სათაურსა და ტექსტისგან გამოიყოფა 2-2 ინტერვალის გამოტოვებით. შემჭიდროვებული ტიპის შრიფტები არ მიიღება. ტექსტის ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით.
3.6. სადისერტაციო ნაშრომის ყველა გვერდი უნდა იქნას დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ასევე დაუშვებელია გვერდების განმეორება. გვერდის ნომრების შრიფტის მინიმალური ზომა არის 10. შესავალი გვერდები, გარდა

სატიტულო გვერდისა, ინომრება ქვედა მარჯვენა კიდეში დაბალი რეგისტრის რომაული ციფრებით (I, II, III და ა. შ.). სადისერტაციო ნაშრომის სხვა დანარჩენი ნაწილი ინომრება არაბული ციფრებით. გვერდის ნომერი ფურცლის ქვედა კიდიდან დაშორებული უნდა იყოს 1.3 სმ–ით, ხოლო მარჯვენა კიდიდან 2.5 სმ–ით.

3.7. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. მცირე ზომის სექციებისათვის (შინაარსი, ცხრილების ნუსხა, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა და სხვა) აიღება ინტერვალი 1. აბზაცები ერთმანეთისგან გამოიყოფა თითო ინტერვალის გამოტოვებით, ცხრილები და გრაფიკები ტექსტისგან გამოიყოფა 2-2 ინტერვალის გამოტოვებით.

3.8. სადისერტაციო ნაშრომის ყველა თავის და ქვეთავის დასახელება უნდა იქნას ჩართული სარჩევში. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან.

3.9. სადისერტაციო ნაშრომში აბრევიატურის გამოყენებისას, პირველ შემთხვევაში ის უნდა იყოს გაშიფრული, რის შემდეგაც ფრჩხილებში მიეთიება აბრევიატურა, რომელიც შემდგომ იქნება გამოყენებული (მაგ.: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (შედგომში - სსკ); ამავე პრინციპით სათაურის ერთზე მეტად გამოყენების შემთხვევაში, აუცილებელია აბრივიატურის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემოკლება სიმბოლოთა სრულიად უჩვეულო კომბინაციას ქმნის.

3.10. სადისერტაციო ნაშრომში სქოლიო უნდა განთავსდეს გვერდის ბოლოს. შრიფტის ზომა – 10 პუნქტი. სქოლიოს გვერდის ბოლოში განთავსებისას ნუმერაცია წარმოებს არაბული ციფრებით. ძირითად ტექსტში ბიბლიოგრაფიული სქოლიოს მითითება წარმოებს „ფუტნოტის“ პრინციპით.

მუხლი 4. სქოლიოს გაფორმების წესი

4.1. სამართლებრივი აქტის გამოყენებისას აუცილებელია სქოლიოში მიეთითოს მისი სრული დასახელება და წყარო, რომელშიც ის გამოქვეყნდა, აგრეთვე თარიღი და გვერდი.

4.2. ლიტერატურული წყაროების გამოყენებისას აუცილებელია მიეთითოს:

ა. წიგნისთვის - ავტორის (ავტორების) გვარი, სახელის ინიციალი, წიგნის სათაური (უბრჭყალებოდ), ნაწილის, ტომის ნომერი (თუ საჭიროა), გამოცემის ადგილი, წელი, გვერდი (გვ.-ს გარეშე).

ბ. კრებულის სტატიისთვის - სტატიის ავტორის (ავტორების) გვარი, სახელის ინიციალი, სტატიის სათაური (უბრჭალებოდ), კრებულის სახელწოდება (უბრჭალებოდ), მითითებით, თუ ვისი რედაქციით გამოდის, ნაწილის, ტომის ნომერი (თუ საჭიროა), გამოცემის ადგილი, წელი, გვერდი (გვ.-ს გარეშე).

გ. ჟურნალის სტატიისთვის - სტატიის ავტორის (ავტორების) გვარი, სახელის ინიციალი, სტატიის სათაური (უბრჭალებოდ), პერიოდიკის სახელი შემოკლებით (ჟურნ., გაზ.,) სახელწოდება (ბრჭყალებში) ნომერი, წელი (თვე, რიცხვი), გვერდი (გვ.-ს გარეშე); უცხოური წყაროების ყველა ბიბლიოგრაფიული ელემენტი უნდა მიეთითოს ორიგინალ ენაზე, ან იმ ენაზე, რომელზეც მას ეცნობა ავტორი (შესაბამის ოფიციალური თარგმანის მითითებით).

დ. სქოლიოში აუცილებელია ერთიანი სისტემის დაცვა: ავტორი და ნაშრომის სათაური გამოიკვეთოს სიტყვათა სხვადასხვა დახრილობით (მაგ., ავტორი - დახრით, დანარჩენი ინფორმაცია - გამართულად, ასევე დახრით მიეთითოს ყველა გამოყენებული გვარი, მაგ., რედაქტორის), ამავე დროს, ყველა ერთეული (გარდა გვარისა და სახელის ინიციალისა) ერთმანეთისგან გამოიყოფა მძიმით და სქოლიოს ბოლოს დაისმის წერტილი.

✓ *ივანიძე მ.,* ალტერნატიული სასჯელები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში. თბ., 2016, 342.

✓ *შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ.,* სასჯელაღსრულების სამართალი (სახელმძღვანელო) თბ., 2014, 472.

ე. მასალა, რომელიც მოპოვებულია ინტერნეტის საშუალებით, საჭიროებს შესაბამისი ინტერნეტგვერდისა და ბოლო განახლების თარიღის მითითებას; სტატიის შემთხვევაში უნდა მიეთითოს ავტორის გვარი, სტატიის სათაური, ინტერნეტ გვერდი, თარიღი. სამკუთხედ ფრჩხილებში (<....>) მიეთითება ელექტრონული მისამართი, კვადრატულ ფრჩხილებში ([....]) კი ბოლო განახლების თარიღი.

ვ. საერთაშორისო სასამართლოსა და სხვა ქვეყნების გადაწყვეტილებებისათვის:

Court of Justice

მაგ. Case 16/62, Van Gen en Loos, [1963] ECR 95.

European Court of Human Right
მაგ. Kostovski v. The Netherlands, [1990] ECHR (Ser. A.), 221.
International Court of Justice
მაგ. Maritime Delimitation and territorial Questions Between Qatar and Bahrin, [1995] ICJ Report.
საქმეებისა და მათი გადაწყვეტილებების ტექსტში გამოიყენება ქართულად, სრულად კი ორიგინალის ენაზე შეიძლება იქვე მიეწეროს, ან სქოლიოში მიეთითოს შემდეგი თანმიმდევრობით: მხარე მხარის წინააღმდეგ, წელი, გამომქვეყნებელი ორგანო, გვერდი, სასამართლო.
მაგ. დიდი ბრიტანეთის სასამართლოებისთვის: საქმე არგელი არგელის წინააღმდეგ (Arggyll v Argyll, [1967] 1 Ch 302, 324, 332)).
აშშ-ის სასამართლოებისთვის: საქმე ბრაუნი განათლების საბჭოს წინააღმდეგ (Brown v Board of Education, 347 US 483 (19540))
ზ. ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებისათვის აუცილებელია ოფიციალური ეროვნული სტილის შენარჩუნება. ერთგვაროვანი ეროვნული მიდგომის არარსებობის შემთხვევაში, ავტორმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი წესით: საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებების გამოყენებისას უნდა გამოიყოს შემთხვევები - 1. გადაწყვეტილება გამოქვეყნებულია, 2. შესაძლებელია მისი გაცნობა ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში, 3. ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში - და ჩამოყალიბდეს ერთიანი მიდგომები.
თ. საერთაშორისო ორგანიზაციათა დოკუმენტების დამოწმების წესი გამოიყენება იმ სტილით, რომელიც გამოყენებულია ოფიციალურად საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ (იხ. ოფიციალური ვებ-გვერდები).
ი. კონვენციები და საერთაშორისო ხელშეკრულებები მიეთითება, მაგ.: 1985 Vienna Convention for the Protection of the Ozone Layer.
კ. უცხოური ტერმინები და გამოთქმები უნდა გადმოიცეს სქოლიოში, თუ ნაშრომის უშუალო მიზანი არ არის ტერმინის წარმოშობის დადგენა.
ლ. ქართული ტექსტისთვის უნდა გამოვიყენოთ ,,ქვედა'' და ,,ზედა'' („...'') ბრჭყალები, უცხოენოვანი ტექსტისთვის - ,,ზედა'' ('...'') ბრჭყალები.
მ. ციტირებული ტექსტის ბოლოს სასვენი ნიშნები - წერტილი, ორწერტილი, წერტილ-მძიმე, კითხვისა და ძახილის ნიშნები - დაისმის ბრჭყალის წინ, როცა ისინი ასრულებენ წინადადებას, თუ ბრჭყალის შემდეგ, კონტექსტის მიხედვით, თუ ეს ბრჭყალი ეკუთვნის ცალკეულ სიტყვას ან ფრაზას. როდესაც სიტყვასთან ერთდროულად თავს იყრის ბრჭყალი, სასვენი ნიშანი და სქოლიოს ნიშანი, უნდა დავიცვათ შემდეგი თანმიმდევრობა: 1. ბრჭყალი, 2. სასვენი ნიშანი, 3. სქოლიოს ნიშანი; ციტირებული ტექსტის (წინადადების) ბოლოს კი: 1. სასვენი ნიშანი, 2. ბრჭყალი, 3. სქოლიოს ნიშანი. ერთად არ იწერება ორი ბრჭყალი. ბრჩხილების შემთხვევაში კი შეიძლება მათი განსხვავებული ფორმების გამოყენება.
ნ. სქოლიოში იმავე წყაროზე მითითებისას, რომელიც უკვე გამოყენებული იყო, საჭიროა გამოიყოს შემდეგი შემთხვევები:
1) ზუსტად წინა სქოლიოში მითითებული წყაროს ნაცვლად მიეთითება ,,იქვე''. ,,იქვეს'' შემდეგ კი (თუ საჭიროა) მიეთითება განსხვავებული მონაცემები (ტომი, წელი, გვერდი);
2) მანამდე მითითებული, მაგრამ არა წინამდებარე, წყაროს გამოყენებისას უნდა მიეთითოს ამ წყაროს სრული დასახელება შესაბამისი გვერდით.

მუხლი 5. სადისერტაციო ნაშრომის შემადგენელი ნაწილები
5.1. სადისერტაციო ნაშრომის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:
ა. ფორმალური ნაწილი:
ა.ა. სატიტულო გვერდი;
ა.ბ. ხელმოწერების გვერდი;
ა.გ. საავტორო უფლების გვერდი;
ა.დ. რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე;
ა.ე. სარჩევი;
ბ. შინაარსობრივი ნაწილი:
ბ.ა. შესავალი;
ბ.ბ. ძირითადი ტექსტი;

ბ.გ. დასკვნა.
გ. ბიბლიოგრაფია.
5.2. სადისერტაციო ნაშრომის დამატებითი ნაწილებია:
ა. ცხრილების ნუსხა;
ბ. დანართები;

მუხლი 6. სადისერტაციო ნაშრომის ფორმალური ნაწილი

6.1. სადისერტაციო ნაშრომის სატიტულო გვერდი (გარე ყდა) უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. იგი აუცილებლად უნდა მოიცავდეს სადისერტაციო ნაშრომის დასახელებას, ავტორისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელსა და გვარს ასევე, ტექსტს „დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“, „კავკასიის უნივერსიტეტი“, „ქ. თბილისი, საქართველო“. ამ გვერდის ნომერი არის (I), თუმცა იგი არ მიეთითება (დანართი 5).

6.2. სადისერტაციო ნაშრომის ხელმოწერების გვერდი (გვერდი (II)) უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. დისერტაციის წარმოსადგენ ვერსიის ყველა ეგზემპლარს უნდა ქონდეს ჰქონდეს ორიგინალი ხელმოწერები. ეს გვერდი უნდა მოიცავდეს შემდეგ ტექსტს: „კავკასიის უნივერსიტეტი“, „სამართლის სკოლა“, „ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით [გვარი სახელი] მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: [დასახელება] და ვაძლევთ რეკომენდაციას კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“, თარიღი. იგი უნდა იყოს დამოწმებული სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ყველა რეცენზენტის ხელმოწერით.

6.3. სადისერტაციო ნაშრომის საავტორო უფლების გვერდი (გვერდი (III)) უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. სადისერტაციო ნაშრომის სტანდარტული ვერსიის ორიგინალს უნდა ჰქონდეს ავტორის ე.წ. „ცოცხალი“ ხელმოწერა. აღნიშნული გვერდი განკუთვნილია იმისათვის, რომ კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას მიანიჭოს მიზნობრივი განკარგვის (არაკომერციული-საგანმანათლებლო მიზნებით გავრცელების და რეფერირების) უფლება. აღნიშნული გვერდი უნდა მოიცავდეს ტექსტს: „კავკასიის უნივერსიტეტი“, სადისერტაციო საბჭოში მისი წარდგენის წელს, ავტორის გვარს, სახელს, თემის დასახელებას, სკოლის დასახელებას, საძიებელ აკადემიურ ხარისხს, იგი ასევე უნდა მოიცავდეს სტანდარტულ ტექსტებს “ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოაღნიშული დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში, მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს კავკასიის უნივერსიტეტს“ და „ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საავტორო მომიჯნავე უფლებებს. ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.“

6.4. სადისერტაციო ნაშრომის რეზიუმე უნდა მოიცავდეს მის მოკლე მიმოხილვას. მასში მკაფიოდ უნდა იყოს გადმოცემული შესრულებული სამუშაოს მოკლე შინაარსი. რეზიუმე არ შეიცავს სქოლიოს, ცხრილებს, ნახაზებს, სქემებს, და სხვა. რეზიუმეს მოცულობა უნდა იყოს 500-დან 800 სიტყვამდე. სადისერტაციო საბჭოს უფლება აქვს მოახდინოს რეზიუმეს გავრცელება როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით. სტრიქონებს შორის ინტერვალი აიღება ერთის ტოლად. რეზიუმე შესრულებული უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენაზე. თუ სადისერტაციო ნაშრომი სხვა ენაზეა შესრულებული, მაშინ რეზიუმე უნდა დაერთოს ქართულ ენაზე.

6.5. სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეიცავდეს სარჩევს, სადაც მიეთითება შესავალი, ყველა თავი, ქვეთავი, დასკვნა, ბიბლიოგრაფია. ინტერვალი უნდა იყოს 1. შრიფტის ზომა - 12 პუნქტი. აბზაცებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 6-12 პუნქტი. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „ .“, „– “, „_“.

მუხლი 7. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ნაწილი

7.1. სადისერტაციო ნაშრომის ტექსტი უნდა შეიცავდეს შესავალს, ძირითად ტექსტსა და დასკვნას.

7.2. შესავალი სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა წარმოჩნდეს საკვლევი პრობლემატიკა, განისაზღვროს კვლევის აქტუალობა, მისი მიზანი და ამოცანები, ჩამოყალიბდეს

ჰიპოთეზა (ავტორისეული მეცნიერული ვარაუდი, რის დამტკიცებასაც ის კვლევის შედეგად მოელის), მეთოდოლოგია (გამოყენებული კვლევის მეთოდების რელევანტურობის დასაბუთებით და იმის ჩვენებით, თუ ნაშრომთან მიმართებით, რა მიზნით იქნა გამოყენებული ყოველი კონკრეტული მეთოდი). შესავალის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის 5%-ს.

7.3. ძირითადი ტექსტი იყოფა თავებად და ქვეთავებად. მათში უნდა აისახოს კვლევის თეორიული კონტექსტი და მათში განვითარებული წინააღმდეგობრივი იდეები, სადავო საკითხები, დეტალურად უნდა იქნას აღწერილი ჩატარებული კვლევა, გამოიკვეთოს მისი შედეგები, საკუთარი მეცნიერული მიგნებები, ახალი შეხედულებები და მიდგომები.

7.4. კვლევის შედეგების განსჯის სტრუქტურა დამოკიდებულია სადისერტაციო ნაშრომის თემატიკაზე და ავტორს უფლება აქვს იგი წარმოადგინოს მისთვის სასურველი ფორმით. იგი არ არის შეზღუდული ქვეთავების რაოდენობით.

7.5. დასკვნით ნაწილში ჯამდება კვლევის შედეგები, იკვეთება ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, წარმოჩნდება მეცნიერული სიახლე და აქტუალობა, განისაზღვრება რეკომენდაციები იმპლემენტაციის არეალისა და მათი გამოყენების ეფექტიანობის ჩვენებით.

მუხლი 8. ბიბლიოგრაფიის შედგენის წესი

8.1. ბიბლიოგრაფია სადისერტაციო ნაშრომში კონსოლიდირებული სახით უნდა იყოს წარმოდგენილი და ნუმერირებული.

8.2. უპირველესად უნდა განთავსდეს ქართულენოვანი ნორმატიული მასალა (მიღების თარიღის მითითებით), შემდეგ ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა ანბანური წესით. ქართულენოვან სამეცნიერო წყაროებს უნდა მოსდევდეს ქართულენოვანი სასამართლო გადაწყვეტილებები (უახლესიდან უძველესისკენ). ქართულენოვანი წყაროების შემდეგ, იმავე თანმიმდევრობით უპირველესად განთავსდება უცხოენოვანი ნორმატიული მასალა, უცხოენოვანი სამეცნიერო წყაროები, ელექტრონული ბმულები და უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებები. სამეცნიერო ლიტერატურის ბოლოს მიეთითება შესაბამისი გვერდები. ერთი და იმავე წყაროს ნაშრომში სხვადასხვა გვერდების მითითებით რამდენჯერმე გამოყენების შემთხვევაში, ბიბლიოგრაფიაში ერთხელ მიეთითება შესაბამისი წყარო და ყველა გვერდის ჩამონათვალი, რომელთა გამოყენებაც განხორციელდა ნაშრომში.

მუხლი 9. სადისერტაციო ნაშრომის დამატებითი ნაწილები

9.1. თუ სადისერტაციო ნაშრომს თან ერთვის ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების ნუსხა, იგი უნდა განთავსდეს სადისერტაციო ნაშრომის შესავალ ნაწილში სარჩევის (შინაარსის) შემდეგ. ინტერვალი უნდა იყოს 1.5. აბზაცი, რომლის სიგრძეც აღემატება ერთ სტრიქონს, ინტერვალის ზომად აიღება 1. შრიფტის ზომა უნდა იყოს 12. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „.“, „–“, „_“.

9.2. ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების შემცველობა, ადგილმდებარეობა და ფორმატირება განპირობებულია ნაშრომის სპეციფიკით. სხვა ლიტერატურული წყაროებიდან აღებული ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების გამოყენებისას არ უნდა იქნას დარღვეული საავტორო უფლებები. ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები და სქემები აიგება შავ–თეთრად, ასევე დასაშვებია ფერადი დიაგრამებისა და ილუსტრაციების გამოყენება.

9.3. ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების დასახელებები უნდა განთავსდეს უშუალოდ მათ თავზე ან ბოლოში. შრიფტის ზომად გამოყენებული უნდა იქნას ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომაზე 1 პუნქტით ნაკლები. დასაშვებია ნახევრად მუქი შრიფტის გამოყენება. ინტერვალი აიღება 1–ის ტოლი.

9.4. ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები, ილუსტრაციები და მათი დასახელებები შეიძლება განთავსდეს როგორც ძირითად ტექსტში, ისე ცალკეულ ინდივიდუალურ გვერდზე დანართების სახით. ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები და ილუსტრაციები ტექსტიდან დაცილებული უნდა იყოს 1.5-2 სმ-ით. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ფურცლის ჰორიზონტალური ორიენტაცია. ჰორიზონტალური გვერდების მინდორი და გვერდის ნუმერაცია უნდა იყოს ვერტიკალური გვერდების ანალოგიური.

9.5. თუ სადისერტაციო ნაშრომს დანართების სახით თან ერთვის მონაცემთა ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები და ილუსტრაციები, ისინი უნდა განთავსდეს სადისერტაციო ნაშრომში ბიბლიოგრაფიის ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხის შემდეგ. ამასთან, ძირითად ტექსტში არსებული მონაცემთა ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემების და ილუსტრაციების ნუმერაცია წარმოებს გამჭოლად. დანართში არსებული ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემების და ილუსტრაციების ნუმერაცია იწყება თავიდან.
9.6. სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული ისეთი აბრევიატურებისათვის, რომელიც არ არის საყოველთაოდ მიღებული, სასურველია ავტორის მიერ მოცემული იქნას მათი ჩამონათვალი და ახსნა, რაც ნაშრომს ადვილად აღსაქმელს გახდის. გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა სადისერტაციო ნაშრომში უნდა განთავსდეს შესავალ ნაწილში სადისერტაციო ნაშრომის სარჩევის (შინაარსის) ან ცხრილების ნუსხის შემდეგ.
9.7. ავტორის სურვილის მიხედვით შესაძლებელია სადისერტაციო ნაშრომს დაერთოს ანბანური საძიებელი. ანბანური საძიებელი უნდა განთავსდეს სადისერტაციო ნაშრომის შესავალ ნაწილში სარჩევის (შინაარსის) ან ცხრილების ნუსხის ან გამოყენებული აბრევიატურების ნუსხის შემდეგ.

მუხლი 10. სადისერტაციო ნაშრომის საგამომცემლო ვერსია
10.1. დადებითი შეფასების შემთხვევაში წარმატებით დაცული სადისერტაციო ნაშრომი დისერტანტმა უნდა გამოაქვეყნოს ბეჭდური ფორმით.
10.2. ავტორს აქვს უფლება განახორციელოს სადისერტაციო ნაშრომის ოპტიმიზაცია გამომცემლობის შესაბამისი მოთხოვნებიდან გამომდინარე ისე, რომ არ დაირღვეს ნაშრომის ძირითადი სტრუქტურა.

მუხლი 11. სადისერტაციო ნაშრომის ელექტრონული ვერსია
სადისერტაციო ნაშრომი უნდა ჩაიწეროს *.pdf ფორმატში CD-ROM დისკზე ან USB ფლეშ მეხსირებაზე. დისკზე უნდა იქნას მითითებული ავტორის სახელი და დისერტაციის დასახელება.

დანართი №8

სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის ---------- სადისერტაციო ნაშრომის „----------“ შესახებ

1. სამეცნიერო ხელმძღვანელმა დოქტორანტი უნდა შეაფასოს სწავლის და კვლევის მიღწეული შედეგების - სასწავლო და კვლევითი კომპონენტების, ასევე კვლევის მიზნებისათვის განხორციელებული სამეცნიერო კვლევითი ვიზიტის/სტაჟირების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში (ფორუმები, კონფერენციები, სემინარები, ვორკშფები და ა.შ.) მონაწილეობის და სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული გამოქვეყნებული პუბლიკაციების - საფუძველზე (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 400 სიტყვა).
2. დადასტურებული უნდა იყოს სადისერტაციო ნაშრომის მნიშვნელობა და აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა. ინფორმაცია პლაგიატის/გაყალბებული მონაცემების თაობაზე (სიტყვების რეკომენდირებული რაოდენობა- 800 სიტყვა).

სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა:
თარიღი:

დანართი №9

სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტის

შეფასების ფორმა

---------- რეცენზენტი

---------- სათაური

შერჩეული თემისა და პრობლემის აქტუალურობა და სიახლე	მაქსიმუმ 5 ქულა	
ნაშრომის სტრუქტურა, ინფორმაციის სამართლებრივად გამოყენება, აკადემიური წერის კულტურა	მაქსიმუმ 5 ქულა	
კვლევის მეთოდოლოგია, მეთოდები და შერჩეული სამეცნიერო ლიტერატურა	მაქსიმუმ 10 ქულა	
კვლევის საბოლოო შედეგები	მაქსიმუმ 10 ქულა	

აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ქულობრივი შეფასების პარალელურად, გთხოვთ, წერილობით ჩამოაყალიბოთ თქვენი დასკვნა, შენიშვნები/კომენტარები *და საბოლოო პოზიცია, იმსახურებს თუ არა დოქტორანტი საძიებელ ხარისხს. ასევე, მონიშნოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.*

შემფასებლის ხელმოწერა: ----------
თარიღი: ----------

დანართი №9.1

რეცენზენტის შეფასების ფორმის
ქულათა განაწილება და აღწერა
30 ქულა

1. შერჩეული თემისა და პრობლემის აქტუალურობა და სიახლე- 5 ქულა	
5-4 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა და სიახლე ლოგიკურადაა განმარტებული და დასაბუთებული
4-3 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა და სიახლე ლოგიკურადაა განმარტებული, მაგრამ აკლია სიცხადე/დასაბუთება
3-2 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა და სიახლე განმარტებულია, მაგრამ ბოლომდე არ არის დასაბუთებული
2-1 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა და სიახლე ზედაპირულად და არაარგუმენტირებულადაჩამოყალიბებული
1-0 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა და სიახლე ჩამოყალიბებულია არაკვალიფიციურად, ყოველგვარიდასაბუთების გარეშე
0 ქულა	საკვლევი თემის აქტუალურობა და სიახლე არ არის ჩამოყალიბებული
2. ნაშრომის სტრუქტურა, ინფორმაციის სამართლებრივად გამოყენება, აკადემიური წერის კულტურა -5 ქულა	
5-4 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა ზედმიწევნით პასუხობს თემას. ტექსტში გამოყენებული ინფორმაციასამართლებრივ ჩარჩოშია, სხვისი ნაშრომებიდან ამონარიდები და ციტატები სწორადაა მითითებული; ნაშრომი დაწერილია შეცდომების გარეშე, გამართულად.
4-3 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა პასუხობს თემას, მაგრამ საჭიროებს დაზუსტებას. სხვისი ნაშრომებიდანამონარიდები და ციტატები კეთილსინდისიერადაა მითითებული; ნაშრომი დაწერილია შეცდომების გარეშე, სწორადაა გამოყენებული შესაბამისი ტერმინოლოგია.
3-2 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა ნაწილობრივ პასუხობს თემას, ინფორმაციის მცირე ნაწილის წყაროარაა მითითებული, ხოლო ციტირება ეთიკურად გამართულია; ნაშრომი დაწერილია უმნიშვნელო შეცდომებით, სწორადაა გამოყენებული შესაბამისი ტერმინოლოგია.
2-1 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა არ არის სათანადო დონეზე გადამუშავებული და გაანალიზებული, ინფორმაციის საკმაოდ დიდი ნაწილის წყარო დაუდგენელია, ხოლო ციტატების გარკვეულინაწილის წყარო არაკვალიფიციურადაა მინიშნებული; ტექსტში არსებული გრამატიკული შეცდომები ხელს უშლის წაკითხვას, ტექსტი გამართული არაა სტრუქტურულად.
1-0 ქულა	ნაშრომის სტრუქტურას აკლია შესაბამისობა და ხარისხი. ციტატები წყაროების გარეშეა მოყვანილი; ტექსტი შეიცავს უამრავ ტერმინოლოგიურ და აზრობრივ შეცდომებს, რის გამოც მისი შინაარსის გაგება გართულებულია.
0 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა საერთოდ არ შეესაბამება კვლევის მოთხოვნებს. გამოყენებულიინფორმაცია გაურკვეველი წარმოშობისაა, ციტატები წყაროების გარეშეა მოყვანილი; ტერმინები არასწორია და პრაქტიკულად მისი შინაარსი გაუგებარია.
3. კვლევის მეთოდოლოგია, მეთოდები და შერჩეული სამეცნიერო ლიტერატურა- მაქსიმუმ 10ქულა	

5-4 ქულა	კვლევის მეთოდები კომპლექსურად, კვალიფიციურად და სრულადაა შერჩეული. შერჩეული მეთოდოლოგიის საშუალებით მაგისტრანტი წარმატებით შემლებს უპასუხოსკვლევის ძირითად პრობლემატიკას, ხოლო შერჩეული მასალა და სამეციერო ლიტერატურა სრულად შეესაბამება კვლევის მოთხოვნებს.
4-3 ქულა	კვლევის მეთოდები კვალიფიციურადაა შერჩეული. შერჩეული მეთოდოლოგიის საშუალებით მაგისტრანტი შემლებს უპასუხოს კვლევის ძირითად პრობლემატიკას, ხოლოშერჩეული მასალა და სამეციერო ლიტერატურა შეესაბამება კვლევის მოთხოვნებს, მაგრამ საჭიროებს შევსებას.
3-2 ქულა	კვლევის მეთოდები არასრულადაა შერჩეული. შერჩეული მეთოდოლოგიის საშუალებით მაგისტრანტი ვერ შემლებს სრულად უპასუხოს კვლევის ძირითად პრობლემატიკას, ხოლო შერჩეული მასალა და სამეციერო ლიტერატურა მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს კვლევის მოთხოვნებს.
2-1 ქულა	შერჩეული მეთოდოლოგია მოძველებულია და შეუსაბამოა თემასთან. მაგისტრანტი ვერშემლებს უპასუხოს კვლევის ძირითად პრობლემატიკას, ხოლო შერჩეული მასალა და სამეცნიერო ლიტერატურა არ არის სათანადო დონეზე გადამუშავებული და გაანალიზებული.
1-0 ქულა	კვლევის მეთოდები შერჩეულია არაკვალიფიციურად, ხოლო შერჩეული მასალა და სამეცნიერო ლიტერატურა არის შემთხვევითი, აკლია შესაბამისობა და ხარისხი.
0 ქულა	კვლევის მეთოდები საერთოდ არ არის შერჩეული, ხოლო შერჩეული მასალა და სამეციეროლიტერატურა საერთოდ არ შეესაბამება კვლევის მოთხოვნებს.
4. კვლევის საბოლოო შედეგები - მაქსიმუმ 10 ქულა	
5-4 ქულა	დოქტორანტს კვლევის საბოლოო შედეგები ლოგიკური მსჯელობით აქვს დასაბუთებული. შესაძლებელია მაღალი თეორიული და გამოყენებითი მნიშვნელობის შედეგების მიღება.
4-3 ქულა	დოქტორანტს კვლევის საბოლოო შედეგები ლოგიკური მსჯელობით აქვს დასაბუთებული. შესაძლებელია სასწავლო და პრაქტიკული დანიშნულების შედეგების მიღება.
3-2 ქულა	დოქტორანტს კვლევის საბოლოო შედეგები ლოგიკური მსჯელობით აქვს დასაბუთებული. შესაძლებელია სასწავლო დანიშნულების შედეგების მიღება.
2-1 ქულა	დოქტორანტს კვლევის საბოლოო შედეგები ლოგიკური მსჯელობით ნაკლებად აქვს დასაბუთებული. შედეგების მიღება მოითხოვს დამატებით დაზუსტებას.
1-0 ქულა	დოქტორანტს კვლევის საბოლოო შედეგები ლოგიკური მსჯელობით არ აქვს დასაბუთებული. შედეგების მიღება საეჭვოა.
0 ქულა	დოქტორანტს არ გააჩნია შეხედულება კვლევის საბოლოო შედეგების შესახებ. რაიმე დანიშნულების მქონე შედეგების მიღება შეუძლებელია.

დანართი №9.2

დაცვის კომისიის წევრის მიერ დისერტაციის საჯარო დაცვის შეფასების ფორმა

---------- კომისიის წევრის გვარი, სახელი

---------- სათაური

---------- დოქტორანტის გვარი, სახელი

შერჩეული თემისა და პრობლემის აქტუალურობა და სიახლე	მაქსიმუმ 10 ქულა	
ნაშრომის სტრუქტურა და შინაარსობრივი თანმიმდევრობა	მაქსიმუმ 10 ქულა	
კვლევის მეთოდოლოგია, მეთოდები და შერჩეული სამეცნიერო ლიტერატურა	მაქსიმუმ 10 ქულა	
კვლევის საბოლოო შედეგები და დასკვნების დასაბუთებულობა	მაქსიმუმ 15ქულა	
წყაროების გამოყენების სიზუსტე და აკადემიური წერის კულტურა	მაქსიმუმ 10 ქულა	
პრეზენტაციის უნარი	მაქსიმუმ 7,5 ქულა	
რეცენზენტის შენიშვნებზე და კომისიის შეკითხვებზე გაცემული პასუხების სიზუსტე და არგუმენტირებულობა	მაქსიმუმ 7,5 ქულა	

შემფასებლის ხელმოწერა: ----------

თარიღი: ----------

დაცვის კომისიის წევრის მიერ დისერტაციის საჯარო დაცვის შეფასების ფორმის ქულათა განაწილება და აღწერა

დაცვის კომისია დისერტაციის საჯარო დაცვის შედეგებს აფასებს მაქსიმუმ 70 ქულით, დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. თითოეული წევრი აფასებს საჯარო დაცვას ინდივიდუალურად და ფარულად. დაცვის კომისიის შეფასება განისაზღვრება წევრთა მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულით. სადისერტაციო ნაშრომის ერთიანი საბოლოო შეფასება გამოითვლება დაცვის კომისიის შეფასებისა (მაქსიმუმ 70 ქულა) და რეცენზენტების შეფასებათა საშუალო არითმეტიკულის (მაქსიმუმ 30 ქულა) შეკრებით.

1. შერჩეული თემისა და პრობლემის აქტუალურობა და სიახლე — მაქსიმუმ 10 ქულა

10–9 ქულა – თემის აქტუალობა და სიახლე სრულად და ლოგიკურადაა დასაბუთებული; მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული პრობლემის არსი, ნათლად ჩანს კვლევის საჭიროება და პრაქტიკული მნიშვნელობა; არგუმენტები თანმიმდევრულია და მჭიდროდ უკავშირდება დისერტაციის მიზნებსა და ამოცანებს.
8–7 ქულა – თემის აქტუალობა და სიახლე აღწერილია და დასაბუთებულია, თუმცა ზოგიერთ ნაწილში აკლია სიცხადე ან არგუმენტების სიზუსტე; პრობლემის მნიშვნელობა ნაჩვენებია, მაგრამ საჭიროებს დამატებით განმარტებას ან კონკრეტიზაციას.
6–5 ქულა – თემის აქტუალობა და სიახლე წარმოდგენილია ზოგად დონეზე; პრობლემის არსი მხოლოდ ნაწილობრივ არის განმარტებული და კვლევის საჭიროება არასაკმარისად არის ნაჩვენები.
4–3 ქულა – თემის აქტუალობა და სიახლე ზედაპირულადაა განხილული; არგუმენტაცია სუსტია და კვლევის მიზნებთან კავშირი ბუნდოვანია.
2–1 ქულა – თემის აქტუალობა და სიახლე ფორმალურად არის მოხსენიებული და არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტებს.
0 ქულა – თემის აქტუალობა და სიახლე საერთოდ არ არის წარმოდგენილი ან არ უკავშირდება დისერტაციის შინაარსს.

2. ნაშრომის სტრუქტურა და შინაარსობრივი თანმიმდევრობა — მაქსიმუმ 10 ქულა

10–9 ქულა – ნაშრომის სტრუქტურა სრულად შეესაბამება თემას და კვლევის მიზნებს; ყველა თავი და ქვეთავი ლოგიკურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული; შინაარსი თანმიმდევრულია და არგუმენტაცია გამართულია.
8–7 ქულა – ნაშრომის სტრუქტურა ძირითადად სწორია და შეესაბამება თემას, თუმცა გარკვეულ ნაწილში საჭიროებს კორექტირებას ან სტრუქტურული ერთგვაროვნების უზრუნველყოფას.
6–5 ქულა – ნაშრომის სტრუქტურა ნაწილობრივ შეესაბამება თემას; ზოგიერთ თავში ან ქვეთას აკლია შინაარსობრივი თანმიმდევრობა და ლოგიკური კავშირი.
4–3 ქულა – ნაშრომის სტრუქტურა დაუხვეწავია; თემატური თანმიმდევრობა დარღვეულია და არგუმენტაცია არ არის საკმარისად გამართული.
2–1 ქულა – ნაშრომის სტრუქტურა არ არის გამართული და თემის არსთან კავშირი სუსტად არის გამოხატული; ტექსტში არ არის დაცული ლოგიკური თანმიმდევრობა.
0 ქულა – ნაშრომის სტრუქტურა საერთოდ არ შეესაბამება დისერტაციის მიზნებსა და კვლევის მოთხოვნებს.

3. კვლევის მეთოდოლოგია, მეთოდები და შერჩეული სამეცნიერო ლიტერატურა — მაქსიმუმ 10 ქულა

10–9 ქულა – გამოყენებული მეთოდოლოგია სრულად შეესაბამება კვლევის მიზნებსა და ამოცანებს; შერჩეული მეთოდები ურთიერთშეთანხმებულია და უზრუნველყოფს შედეგების სანდოობას; გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები შერჩეულია ხარისხიანად, მიზნობრივად და სრულად ასახავს კვლევის თემასა და მიზნებს.
8–7 ქულა – გამოყენებული მეთოდოლოგია შეესაბამება კვლევის მიზნებსა და ამოცანებს, თუმცა საჭიროებს გარკვეული ელემენტების დაზუსტებას ან დამატებითი, უფრო მრავალფეროვანი წყაროების ჩართვას. გამოყენებული მასალა ძირითადად რელევანტურია და ასახავს კვლევის შინაარსსა და მიზნებს.
6–5 ქულა – შერჩეული მეთოდები მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება კვლევის თემასა და მიზნებს; გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები არასაკმარისია და ვერ უზრუნველყოფს კვლევის სრულ სანდოობას; მეთოდოლოგიური ნაწილი საჭიროებს დახვეწას და შინაარსობრივ გადამუშავებას.
4–3 ქულა – შერჩეული მეთოდოლოგია თემასთან შეუსაბამოა ან მოძველებული; გამოყენებული ლიტერატურა ზედაპირულად არის გაანალიზებული და ვერ ქმნის მყარ საფუძველს კვლევის შედეგების დასაბუთებისთვის.
2–1 ქულა – კვლევის მეთოდოლოგია შერჩეულია არაკვალიფიციურად; გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები შემთხვევითია და არ შეესაბამება კვლევის მიზნებსა და თემატურ მიმართულებას; არგუმენტაციის სანდოობა და საფუძვლიანობა არასაკმარისია;
0 ქულა – კვლევის მეთოდოლოგია საერთოდ არ არის განსაზღვრული; გამოყენებული მასალა შემთხვევითია და არ უკავშირდება დისერტაციის მიზნებს, ამოცანებსა და შინაარსს.

4. კვლევის საბოლოო შედეგები და დასკვნების დასაბუთებულობა — მაქსიმუმ 15 ქულა

15–13 ქულა – კვლევის შედეგები სრულად შეესაბამება დისერტაციის მიზნებსა და ამოცანებს; დასკვნები მკაფიოა, არგუმენტირებულად არის ჩამოყალიბებული და ემყარება კვლევის ლოგიკურ მსვლელობას; ნაშრომში წარმოდგენილია თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე შედეგები, რომლებიც ასახავს დოქტორანტის დამოუკიდებელ კვლევით წვლილს.
12–10 ქულა – კვლევის შედეგები ლოგიკურია და ასახავს ძირითად მიზნებსა და ამოცანებს; დასკვნები დასაბუთებულია, თუმცა გარკვეული ნაწილები საჭიროებს დამატებით დაზუსტებას ან უფრო კონკრეტულ ფორმულირებას; კვლევის თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობა იკვეთება, მაგრამ არა სრულად.
9–7 ქულა – კვლევის შედეგები მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება დისერტაციის მიზნებსა და ამოცანებს; დასკვნები ზოგადია და არასაკმარისად აჩვენებს კვლევის მნიშვნელობას; არგუმენტაცია სუსტია ან ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი.
6–4 ქულა – შედეგები არასაკმარისად არის დასაბუთებული და არ წარმოაჩენს კვლევის მიზნებთან პირდაპირ კავშირს; დასკვნებში აკლია თანმიმდევრულობა და მიზეზ-შედეგობრივი ლოგიკა; კვლევის შინაარსი საჭიროებს არსებით გადამუშავებას.
3–1 ქულა – შედეგები ფორმალურად არის წარმოდგენილი და დასკვნები არ ეფუძნება კვლევის მასალას; დოქტორანტის ანალიზი და დასაბუთება სუსტად არის გამოხატული.
0 ქულა – კვლევის შედეგები და დასკვნები საერთოდ არ არის წარმოდგენილი ან არსებითად არ უკავშირდება დისერტაციის თემას.

5. წყაროების გამოყენების სიზუსტე და აკადემიური წერის კულტურა — მაქსიმუმ 10 ქულა

10–9 ქულა – წყაროები შერჩეულია მიზნობრივად და გამოყენებულია ნაშრომის შინაარსის დასაბუთებისა და არგუმენტაციის გასაძლიერებლად; ყველა ციტატა და მითითება ზუსტადაა წარმოდგენილი; ტექსტი გამართულია, აკადემიური სტილი დაცულია და ტერმინოლოგია გამოყენებულია ზუსტად.

8–7 ქულა – წყაროების გამოყენება ეთიკურად გამართულადაა განხორციელებული, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში აკლია ფორმალური სიზუსტე ან ერთგვაროვნება ციტირების წესებში; ტექსტი მკაფიო და ლოგიკურია.

6–5 ქულა – წყაროების ნაწილი მითითებულია არასრულად ან არასწორად; ციტირების ფორმატშია მცირე ხარვეზები; ტექსტში შეინიშნება უმნიშვნელო გრამატიკული ან სტილისტური შეცდომები, რომლებიც არ ზღუდავს შინაარსობრივ გამართულობას.
4–3 ქულა – წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი დაუზუსტებელია ან არასწორადაა მითითებული; ციტირების სტანდარტები დარღვეულია; ტექსტში არის გრამატიკული და ტერმინოლოგიური ხარვეზები, რაც ართულებს ნაშრომის აღქმას.
2–1 ქულა – წყაროები გამოყენებულია დაუზუსტებლად ან უმეტესად წყაროების მითითების გარეშე; ტექსტში მრავალი გრამატიკული და აზრობრივი შეცდომაა, აკადემიური წერის წესები დარღვეულია.
0 ქულა – ნაშრომი არღვევს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს; გამოყენებული მასალა არ ეფუძნება სანდო წყაროებს ან შეიცავს ფალსიფიკაციის ნიშნებს.

6. პრეზენტაციის უნარი — მაქსიმუმ 7.5 ქულა

7-7.5 ქულა - პრეზენტაცია ნათელი და შინაარსობრივად გამართულია. დოქტორანტი ზუსტად და თანმიმდევრულად გადმოსცემს ძირითადი თემის არსს, არგუმენტირებულად წარმოაჩენს კვლევის შედეგებს და ეფექტურად ურთიერთობს კომისიასა და აუდიტორიასთან. პრეზენტაცია გამოირჩევა სიზუსტით, დროის ეფექტური გამოყენებითა და ვიზუალური მასალის ხარისხით.
6 ქულა - პრეზენტაცია შინაარსობრივად გამართულია და თემის ძირითადი ნაწილები ნათლად არის წარმოდგენილი. თუმცა ზოგიერთ საკითხზე შეინიშნება სირთულე არგუმენტაციის ფორმულირებაში ან დროის მართვაში. აუდიტორიასთან კონტაქტი შენარჩუნებულია, მაგრამ არა მუდმივად.
4–5 ქულა - პრეზენტაცია საშუალო დონისაა. თემის ძირითადი შინაარსი გადმოცემულია, თუმცა ნაკლებადაა ხაზგასმული მთავარი არგუმენტები. პრეზენტაციის მიმდინარეობა არ არის თანმიმდევრული და დოქტორანტს ზოგჯერ უჭირს თემის ლოგიკური წარმოჩენა.
2–3 ქულა - პრეზენტაცია არასაკმარისადაა ორგანიზებული. დოქტორანტს უჭირს თემის შინაარსის სრული გადმოცემა და აუდიტორიასთან კომუნიკაცია. არგუმენტაცია სუსტი და დაულაგებელია, პრეზენტაციის სტრუქტურა არ არის გამართული.
1 ქულა - დოქტორანტი თემის მხოლოდ მცირე ნაწილს ასახავს და ვერ ახერხებს ნაშრომის შინაარსის პრეზენტაციას. გამოსვლა არ არის მიზანმიმართული და თემასთან კავშირი სუსტად ჩანს.
0 ქულა - პრეზენტაცია არ ჩატარებულა ან წარმოდგენილი გამოსვლა არ უკავშირდება სადისერტაციო ნაშრომის თემას.

რეცენზენტის შენიშვნებზე და კომისიის შეკითხვებზე გაცემული პასუხების სიზუსტე და არგუმენტირებულობა — მაქსიმუმ 7.5 ქულა

7.5 -7 ქულა – დოქტორანტი ზუსტად, არგუმენტირებულად და დამაჯერებლად პასუხობს როგორც რეცენზენტის შენიშვნებს, ისე კომისიის წევრთა შეკითხვებს; მისი პასუხები აჩვენებს თემის სრულ ცოდნასა და გააზრებას.
6 ქულა – დოქტორანტი პასუხობს შეკითხვებს ზუსტად და არსებითად, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში პასუხი არასრულია ან მოითხოვს დამატებით განმარტებას.
4–5 ქულა – დოქტორანტი პასუხობს შეკითხვებს, თუმცა ზოგი პასუხი ზედაპირულია ან არასაკმარისად განმარტებული; ზოგიერთ შემთხვევაში არგუმენტაცია გაუმართავია ან მკაფიოდ არ აჩვენებს ავტორის პოზიციას.
2–3 ქულა – დოქტორანტის პასუხები სუსტია და ვერ ასახავს დასმული შეკითხვების არსს; დასაბუთება არასაკმარისია და პასუხები არ ქმნის თემის ცოდნის შთაბეჭდილებას.
1 ქულა – დოქტორანტი ვერ პასუხობს კომისიის ძირითად შეკითხვებს ან პასუხები არ არის ზუსტი და არგუმენტირებული.
0 ქულა – დოქტორანტი არ პასუხობს კომისიის შეკითხვებს ან მის პასუხებს არანაირი კავშირი არ აქვს დისერტაციის თემასთან.

II. შეფასების წესი

დაცვის კომისიის თითოეული წევრი ავსებს ინდივიდუალურ ფორმას ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით. საბოლოო შეფასება განისაზღვრება კომისიის წევრთა მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლით. დაცვის ოქმში აისახება მიღებული საერთო ქულა და შესაბამისი შეფასება.

დანართი №10

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის ოქმი ფორმა

კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის ----------
(სახელი, გვარი)

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის ოქმი № ------

თარიღი, თბილისი

1.სხდომაზე დამსწრე საზოგადოება (სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების, შემფასებლებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების (გვარი, სახელი; დაწესებულება, აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობა) მითითება).

2.დღის წესრიგის ფორმულირება (---------- ფაკულტეტის „----------“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის --------- (სახელი, გვარი) სადისერტაციო ნაშრომის (დასახელება) დაცვა);

3.კენჭისყრის ჩატარება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ (მიუთითეთ მხარდამჭერ წევრთა რაოდენობა).

4.სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის გადაწყვეტილება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ (მიუთითეთ მხარდამჭერ წევრთა რაოდენობა).;

5.ინფორმაცია დოქტორანტის შესახებ (რეგლამენტი - არაუმეტეს 10 წუთი, წარადგენს კომისიის მდივანი).

6.დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა (რეგლამენტი - არაუმეტეს 30 წუთი; დოქტორანტის სიტყვა ერთვის ოქმს).

7.პირველი რეცენზენტის დასკვნა (რეცენზია) (რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; რეცენზია ერთვის ოქმს);

8.დოქტორანტის პასუხი პირველი რეცენზენტის დასკვნაზე (რეცენზიაზე) (რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; დოქტორანტის პასუხი ერთვის ოქმს; დისკუსია აღიწეროს ოქმში);

9.მეორე რეცენზენტის დასკვნა (რეცენზია) (რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; რეცენზია ერთვის ოქმს);

10.დოქტორანტის პასუხი მეორე რეცენზენტის დასკვნაზე (რეცენზიაზე) (რეგლამენტი - არაუმეტეს 15 წუთი; დოქტორანტის პასუხი ერთვის ოქმს; დისკუსია აღიწეროს ოქმში);

11.სამეცნიერო დისკუსია (თითოეული გამომსვლელის რეგლამენტი - არაუმეტეს 5 წუთი; დოქტორანტის პასუხი - არაუმეტეს 5 წუთი; სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების, დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლების და დოქტორანტის კითხვა-პასუხები აღიწეროს ოქმში).

12.სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების სიტყვა (ოქმს ერთვის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა; რეგლამენტი - არაუმეტეს 10 წუთი).

13.დოქტორანტის სიტყვა (რეგლამენტი - არაუმეტეს 5 წუთი).

14. დისერტაციის საჯარო დაცვის შეფასების პროცედურა — დაცვის კომისიის წევრები საჯარო დაცვას აფასებენ დახურულ სხდომაზე, ინდივიდუალურად და ფარულად, მაქსიმუმ 70 ქულით. ერთიანი საბოლოო შეფასება გამოითვლება რეცენზენტების შეფასებათა საშუალო არითმეტიკულისა და დაცვის კომისიის წევრთა შეფასებების საშუალო არითმეტიკულის შეკრებით.

შეფასების შედეგები:

პირველი რეცენზენტის შეფასება: ____ / 30 ქულა;

მეორე რეცენზენტის შეფასება: ____ / 30 ქულა;

რეცენზენტების შეფასებათა საშუალო არითმეტიკული: ____ / 30 ქულა;

დაცვის კომისიის წევრთა შეფასებების საშუალო არითმეტიკული: ____ / 70 ქულა;
ერთიანი საბოლოო შეფასება: ____ / 100 ქულა;
სიტყვიერი შეფასება: _____;
გადაწყვეტილება: დაიცვა / ვერ დაიცვა.
ოქმს ხელმოწერით ადასტურებს - სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივანი.

დანართი №11

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სემესტრული ანგარიში
(დებულების 23.10–23.14 პუნქტების შესაბამისად)

დოქტორანტის სახელი და გვარი	
სადოქტორო პროგრამა	
სადისერტაციო ნაშრომის სათაური	
სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი	
სასწავლო წელი და სემესტრი	
ანგარიშის პერიოდი	
ინდივიდუალური კვლევითი გეგმის დამტკიცების თარიღი	

I. ინდივიდუალური კვლევითი გეგმის შესრულების მდგომარეობა

№	დაგეგმილი საქმიანობა	შესრულებული სამუშაო/შედეგი	შესრულების მდგომარეობა	დამადასტურებელი დოკუმენტი

II. სადისერტაციო კვლევის ფარგლებში შესრულებული სამუშაო და მიღებული შედეგები

_____

_____

III. თემატური სემინარებისა და სხვა კვლევითი კომპონენტების შესრულების მდგომარეობა

_____

_____

IV. სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადებისა და გამოქვეყნების მდგომარეობა (სტატიის სათაური, ავტორობა/თანაავტორობა, ჟურნალი, რეცენზირების ან გამოქვეყნების სტატუსი, DOI/ბმული — არსებობის შემთხვევაში)

_____

_____

V. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა (ღონისძიება, თარიღი, ადგილი, მოხსენების სათაური და დამადასტურებელი დოკუმენტი)

_____

_____

VI. კვლევის პროცესში გამოვლენილი სირთულეები და მათი გადაჭრისათვის დაგეგმილი ღონისძიებები

_____

_____

VII. მომდევნო სემესტრში განსახორციელებელი საქმიანობა

_____

_____

VIII. სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის განმავითარებელი შეფასება და უკუკავშირი

შეფასებისას გაითვალისწინება ინდივიდუალური კვლევითი გეგმის შესრულება, სამუშაოს მოცულობა და ხარისხი, კვლევითი საქმიანობის თანმიმდევრულობა და აკადემიური კეთილსინდისიერების მოთხოვნების დაცვა.

□ კვლევითი პროგრესი დამაკმაყოფილებელია

□ კვლევითი პროგრესი ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელია და საჭიროებს გაუმჯობესებას

□ კვლევითი პროგრესი არადამაკმაყოფილებელია

გამოვლენილი ხარვეზები	
გასაუმჯობესებელი საქმიანობა	
დოქტორანტისათვის საჭირო მხარდაჭერა	
რეკომენდაციები	
შესრულების/განმეორებითი შეფასების ვადა	
განმეორებითი შეფასების შედეგი (საჭიროების შემთხვევაში)	

დოქტორანტის შენიშვნა/პოზიცია: _____

დოქტორანტის სახელი, გვარი და ხელმოწერა: _____ თარიღი: _____

სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის სახელი, გვარი და ხელმოწერა: _____ თარიღი: _____

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელისათვის წარდგენის თარიღი: _____

ადმინისტრაციული დირექტორისათვის წარდგენის თარიღი: _____

შენიშვნა: ხელმოწერილი ანგარიში და მასში ასახული წერილობითი განმავითარებელი შეფასება ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

დანართი №12

პროფესორის ასისტენტობის ხელმძღვანელის

შეფასების ფორმა

(ფასდება პროფესორის ასისტენტობის ხელმძღვანელის მიერ)

---------- ხელმძღვანელი პროფესორი

----------დოქტორანტის გვარი, სახელი

შეფასების კრიტერიუმი	**შეფასების ფარგლები**	**მიღებული ქულა**	**შენიშვნა**
სასწავლო თემატიკის შინაარსობრივი დამუშავება და სამართლებრივი ცოდნის აკადემიური დემონსტრირება	მაქსიმუმ 15		
სემინარის დაგეგმვა და ხელმძღვანელის ზედამხედველობით წარმართვა, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და აკადემიური კომუნიკაციის გამოყენება	მაქსიმუმ 15		
სასწავლო და შეფასების დავალებების პროექტებისა და შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების მომზადება	მაქსიმუმ 20		
სტუდენტთა ნამუშევრების შეფასებაში მონაწილეობა და ხელმძღვანელის ზედამხედველობით განმავითარებელი უკუკავშირის მომზადება	მაქსიმუმ 20		
ჯამური შეფასება	70		

შემფასებლის ხელმოწერა:

თარიღი:

დანართი №13

პროფესორის ასისტენტობის

შეფასების ფორმა

(ფასდება სკოლის შესაბამისი ადმინისტრაციული წარმომადგენლის მიერ)

---------- დოქტორანტის გვარი, სახელი

---------- ადმინისტრაციის წევრის გვარი, სახელი

შეფასების კრიტერიუმი	შეფასების ფარგლები %	მიღებული ქულა	შენიშვნა
ანგარიშის სისრულე, სტრუქტურა, მტკიცებულებებით გამყარება და საქმიანობის რეფლექსიური შეფასება	მაქსიმუმ 10		
განხორციელებული სასწავლო საქმიანობის შინაარსობრივი და პედაგოგიური ანალიზი	მაქსიმუმ 10		
ანგარიშის მკაფიო და პროფესიული წარდგენა და შეკითხვებზე დასაბუთებული პასუხი	მაქსიმუმ 10		
ჯამური შეფასება	30		

ჯამური შეფასება

შეფასების გამოთვლის წესი: პროფესორის ასისტენტობის ხელმძღვანელის შეფასება შეადგენს მაქსიმუმ 70 ქულას, ხოლო სკოლის შესაბამისი ადმინისტრაციული წარმომადგენლის შეფასება — მაქსიმუმ 30 ქულას. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა შუალედური შეფასების ფარგლებში არანაკლებ 42 ქულის, დასკვნითი შეფასების ფარგლებში არანაკლებ 18 ქულის და ერთიანი საბოლოო შეფასებით არანაკლებ 60 ქულის მიღება.

შემფასებლის ხელმოწერა:

თარიღი: